ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეათე

№ VIII

186

ა გ ვ ი ს ტ ო, 1903

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ტ ფ ი ლ ი ს ი
ტფილისში ეკ.ბ.ბ.ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозв. ценз. 5 Сентября 1903 г., Тифлисъ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	გვ
I—**ბრძოლის ველზე.**—მოთხრობა ოკტავ მირბოსი, თარგმანი თ. ს.	1
II—**ნაძირალნი.**—თხზულება ივ. ფრანკოსი, თარგმანი ნ. ყიფშიანისა. (დასასრული)	17
III—**ხალხის მტერი ანუ ეძიმი შტოკმანი.**—ხუთ მოქმედებიანი დრამა ჰენრიხიბსენისა, თარგმანი ივ. ბოლუმოდდვინოვისა (დასასრული)	57
IV—**შოთა რუსთაველი და მისი პოემა.**—ს. ქვარიანისა (დასასრული).	1
V—**უცხოეთის მიმოხილვა.**—მაკედონიის საქმე: ახალი აჯანყება, ბერძნების სამარცხვინო ქცევა, აჯანყებულების პროგრამა, ბოლგარია და მაკედონია, ვის შერჩენია წუთი სოფელი. ავსტრია და ოსმალეთი.	37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძოლის ველზე

მოთხრობა

ოგტავ მირბოსი

(ფრანგულით)

ჩვენი ჯარი ქალ. მანსში შეადგინეს დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით. თუ სადმე გამოუსადეგარი, საპყარი, ცხრილ-ქვეითანაბერტყა, უმაქნისი ვინმე იყო, ყველას ამ ჯარში მოუყარეს თავი. ვინ გინდათ, რომ ჯარისკაცად არ აეყვანათ: მილიციონერები, ტყის მცველნი, უცხენო ცხენოსანნი, თვით ჟანდარმები, ესპანელნი და, ასე გასინჯეთ, ვალახელნიც კი! ყველა ჯურის კაცი დომხალივით იყო შიგ არეული. ამ ალუფ-ხულს ჯარს უფროსად ერთი მოხუცი კაპიტანი დაუყენეს. ჩვენს უფროსს წინად ხელობად ისა ჰქონდა, რომ ჯარისკაცთა ტანი-სამოსისათვის უნდა ეზრუნა. ახლა, რაკი თვით ჯარი ჩააბარეს, ლეიტენანტ-კოლონელის ხარისხი მისცეს. იმ ხანებში ამნაირად დაწინაურება ამა თუ იმ კაცისა იშვიათი არ იყო. მეტი რა გზა ჰქონდათ: თავში ქვა უნდა ეცათ და ყოველის ღონისძიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით უნდა შეეხვიათ ის იარა, ვისსენბურგის და სედანის *) ზარბაზნებმა ფრანგის ხორცს რომ გაუჩინა. განა ერთსა და ორს რაზმს აკლდა კაპიტანი! ჩვენის რაზმის ლეიტენანტად ერთი ოცის წლის ახალგაზდა კაცი იყო, ფკრმკრთალი, სუსტი, იმდენად სუსტი, რომ რამდენსამე კილომეტრს გაივლიდა თუ არა, ქშენა აუვარდებოდა, ფეხები უკანა რჩებოდა და მთელი გზა დაჭრილთა ფურგონში იწვა. მისის პატრონის ბრალიცა! საკმაო იყო პირდაპირ შეგეხედნათ თვალებში, რომ მაშინვე სახე წამოჭარხლებოდა მორცხვ პატარძალივით. თავის დღეში ბრძანება არ გაუცია,—ეს ასე ჰქენითო, ეშინოდა, ვაი თუ შევსცდე და ყბადასაღები გავხდეო. რაკი ვიცოდით მისის მორცხვობისა და სისუსტის ამბავი, ყველანი დავსცინოდით; უეჭველია, იმისთვისაც ვუბედავდით დაცინვას, რომ კეთილის გულისა იყო და ხანდახან ჯარისკაცებს სიგარებსა და ზედმეტს ხორცს გვაძლევდა ხოლმე.

ამ ახალს ცხოვრებას ჩქარა შევეთვისე. სხვის ფეხის ხმამ ამიყოლია, ამ წრის ცეებ-ცხელებამ და აღელვებულმა ყოფამ მეც ჩამითრია. ჩვენის მხედრობის დამარცხებისა და საცოდაობის ამბავს რომ ვკითხულობდი, თავბრუ მესხმოდა, მთვრალ კაცსავით გონება მეკარგებოდა. მართალია, მთვრალივით ვიყავი გაბრუებული, მაგრამ ის კი არ მაგონდებოდა, რომ სამშობლოს ხიფათი მოელოდა, მტერი განაკარმტუტებას ემუქრებოდა. მანსში ერთი თთვე დავყავით, რომ შევემოსეთ, საომრად გავეწურთნეთ და სამიკიტნოებსა და სარისკიპოებში გვეხეტიალნა. ბოლოს, 3 ღვინობისთვეს, როგორც იყო, გზას გავუდექით.

ეს ალუფხული ხროვა მოწოწიალე ჯარისკაცთა, უუფროსო რაზმებისა, თავისნებით გასულ მაწანწალათა, ტანთჩაუცმელი, ნახევრად მშიერი, და უფრო ხშირად სრულებით უჭმე-

*) ქალ-ქებია, სადაც საფრანგეთის ჯარი გერმანელებმა დაამარცხეს 1870 წლის ბრძოლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, უწესრიგო, უკავშირო—ჩვენს ჯარს შეადგენდა. ყველა თავისთვის ჰფიქრობდა, ყველას ერთი ლა გრძნობა ამოძრავებდა,—თავშეუკავებელი, მხეცური ეგოიზმი! ერთს თავზე პოლიციელის ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული, მეორეს იმავ თავზე რალაც ყელსახვევი შემოეხვია, მისს ამხანაგს არტილერისტის ძიქვა ეცვა, ზევითა ტანის სამოსი კი სხვა რაზმის ფორმისა ჰქონდა. მივდიოდით ასე, ნაგლეჯუები, გამხეცებულნი და ღონე გამოლეულნი. თორმეტის დღის განმავლობაში სულ გზაზე ვიდექით, გაგიჟებულნი, თითქმის უსაგნოდ. დღეს რომ მარჯვნივ წავიდოდით, ხვალ მარცხნივ წაგვიყვანდნენ, განუწყვეტლივ ერთსა და იმავე წრეში ვტრიალებდით, გზა დაბნეულ და უმწყემსო ფარასავით. ჩვენი ალფრთოვანება და გულადობა ძალზე მოდუნდა. სამის კვირის განმავლობაში ტანჯვა ოღონდაც რომ საკმარისი იყო ამისთვის! ჯერ ზარბაზნის გრგვინვა და ტყვიების ზუზუნი არც კი გაგვეგონა, რომ ჩვენი ჯარი, მტრისაკენ მიმავალი, უკვე მტრისაგან დამარცხებულს და შემუსრულს დაემსგავსა. ერთმანეთს ვაწვებოდით, ვსრესდით, ყველა თავის შველას ვსცდილობდით. რამდენჯერ ჩემის თვალებითა ვნახე, რომ ჯარისკაცნი ტყვიებს გზაზე ჰყრიდნენ!

—რა თავში ვიხლი!—წამოიძახებდა ხოლმე ზოგი მათგანი,—თუ მაინცა და მაინც, ერთიც მეყოფა, ესეც იმისთვის, რომ ჩვენს კაპიტანს გადავაყლაპო, როცა კი ხმას ამოიღებს და გვეტყვის,—მტერს შეებითო!

საღამოობით, როცა ჯარი დაბანაკდებოდა, ზოგი ქვაბებს შემოუყუნცდებოდა გარშემო, ზოგიც სოველს ბუწკნარზე გაიშხლართებოდა და დაიწყებდა ფიქრს. საგანი მისის ფიქრისა სახლი იყო, საიდანაც ძალათი წამიათრიეს. ვინც მკლავლონიერი ახალგაზდა გვერია, სოფლელნი იყვნენ: ბევრს მათგანს, ზარბაზნის ყუმბარისაგან ნაფლეთად ქცეულს, საუკუნო ძილით ეძინა შავს მიწაში; ზოგიც, წელმოტეხილი, ჯარისკაცის აჩრდილივით, დაძრწოდა ტყესა და ველში და აღსასრულის დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოელოდა. სოფლად კი მარტო მოხუცნი იყვნენ დარჩენილნი, წელში უარესად მოხრილნი, და ცრემლ-შეუშრობელი ქალები. კალოზე ადამიანის ხმა არ ისმოდა; დაცარიელებულს მინდვრებზე, ახლა რომ ზედ ბალახ-ბულახი ამოდიოდა, მზის ჩასვლისას ვერ ნახავდით სამუშაოდან დაბრუნებულს გლეხებს და მათს დაღლილს ცხენებს. გრძელის ხმლებით შეიარაღებული კაცები მოდიოდნენ გლეხებთან და დღეს ცხენებს წაასხამდნენ, ხვალ ბოსლიდან ხვადაგს გამოიყვანდნენ,—კანონის სახელით. ამიტომ რომ ომს არა ჰყოფნიდა ადამიანის ხორცი, სჭიროდა პირუტყვებიც ჩაეყლაპა, მიწაც, ყველაფერი, რაც მშვიდობიანად სცხოვრობდა, რაც მუშაობითა და სიყვარულით სტკბებოდა და ხარობდა.

საბედისწერო ცეცხლი ბანაკისა ამ საცოდავ ჯარისკაცების გამხდარ სახეს და უღონო ზურგს ანათებდა, გულიგულში ყველას ერთი-ღა იმედი ულვივოდა: საცაა, ბრძოლა მოგვიხდება და გაქცევას მოვახერხებთ ან და თოფის კონდახს ჰაერში აგვაშვერინებენ მორჩილების ნიშნად და გერმანელების ციხეში ამოვყოფთ თავსაო!

ომის მოლოდინში ვსცდილობდით დაგვეცვა ის მხარე, სადაც ჩვენ მივდიოდით და რომელსაც მტერი ჯერ სრულებით არ უპირებდა თავდასხმას. საჭიროდ მიგვაჩნდა ხეები გვეჩეხნა და გზაზე დაგვეხორგა; საცა კი ხიდები შეგვხვდებოდა, ჰაერში ვაფეთქებდით; სოფლის თავში მიცვალებულებსაც არ ვასვენებდით და ჯებირებისათვის საფლავებსა ვსთხრიდით. მცხოვრებთ ხიშტის ცემით ძალას ვატანდით, რომ ისინიც მოგვხმარებოდნენ მათის ქონებისა და ავლადიდების განიავებაში. ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდით, ვაოხრებდით ყველაფერს; ყველა ჩვენა გვწყევლიდა. მახსოვს, ერთხელ ერთს მშვენიერს პარკში ძირს მოუჭრელი არაფერი დაგვიტოვებია ჯებირებისათვის, მაგრამ არც ის დაგვჭირდა და თავი მივანებეთ. ისე ვიქცეოდით, რომ მცხოვრებნი, დახმარების მაგივრად, მტრულად გვეკიდებოდნენ. საცა კი მივუახლოვდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, სახლის კარები უცბად იხურებოდა, გლეხები სურსათს მიწაში ჰმალავდნენ. ყველგან გვკრულავდნენ, ხელცარიელნი გვიხვდებოდნენ. ერთგან სახლის თახჩაში ღორის ხორცის შემწვარი ნაჭერი ვიპოვეთ და კინაღამ ერთმანეთი არ ავჩეხეთ,— არა მე მინდა, არა მეო. მეორეგან, გლეხს რამდენიმე გირვანქა ლორი ნეხვში დაემალა. გენერალმა რო გაუგო, თოფით დაახვრეტინა საწყალი კაცი,—როგორ გაბედა დამალვაო!

პირველ ნოემბერს მთელი დღე გზაში ვიყავით. ნაშუადღევის სამი საათი იყო, დუპის სადგურზე რომ მივედით. მისვლა და არეულობა ერთი იყო. უმეტესობამ რაზმს თავი მიანება, კალიასავით ქალაქს მოედო და მახლობელ სამიკიტნოებში შესცვივდა. მეღოროტოტენი ერთის საათის განმავლობაში აყვირებდნენ ღოროტოტოებს—დამწკრივდითო. ქალაქში ცხენოსნები გაგზავნეს გაქცეულთა მოსაყვანად, და მოყვანის მაგივრად, ისინიც სმას შერჩნენ. ამბობდნენ, ყველანი მატარებლით შანტრში უნდა წაგვასხან, პრუსიელთ მენტონი დაუქცევიათ და ახლა ჟუიში არიან დაბანაკებულნიო, მენტონის დაქცევას აპირებენო. ჩვენმა სერჟანტმა ერთს მოხელესა ჰკითხა ამბავი, მაგრამ იმან არაფერი ვიცი და არც არაფერი გამიგონიაო. კუნძივით მრგვალი, დაბალის ტანის გენერალი ცხენზე თავს ძლივას იმაგრებდა. ხან მარჯვნივ გააჭენებდა, ხან მარცხნივ, უნაგირზე რუმბივით ხტოდა; ულვაშებ-აბურძგნული, დალურჯებულის სახისა, ხელების შლით წამ-და-უწუმ გაიძახოდა:

— დასწყევლა ღმერთმა!... დასწყევლა ღმერთმა!...

მოსამსახურე ჯარის-კაცის დახმარებით ძირს ჩამოვიდა, ფეხები ძირს დათრეულ ხმლის თასმებში გაეხლართა. მაშინვე სადგურის უფროსს დაუძახა და ცხარედ დაუწყო ლაპარაკი. სადგურის უფროსი გაშტერებული შესცქეროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერი სად ჯანდაბაშია? — ჰკვიროდა გენერალი. — არა, სადა გდია ის ოხერი, ისა? ახლავე მომიყვანეთ!.. მასხარად მიგდებთ, თუ როგორაა თქვენი საქმე?

ქშინავდა, რაღასაც ბურდღუნებდა, ფეხებს ატყაპუნებდა, სადგურის უფროსს ლანძღავდა, ემუქრებოდა. შეეშინდა სადგურის უფროსს, მოკრძალებული სახე მიიღო; გენერალი უფროდა-უფრო აქნევდა ხელებს, მუქარას არ იშლიდა, ისე ორივე ტელეგრაფის კანტორაში შევიდნენ. ხანს არ გაუვლია, მოისმა ხმაურობა, ლაწა-ლუწი, გენერლის ყვირილიც მკაფიოდ ისმოდა. ბოლოს ბაქანზე გაგვამწკრივეს. ჩანთები ძირს გვეწყო, ხოლო თოფები ერთმანერთზე გადავაჯვარედინეთ ხიშტებით. დაღამდა. ცივი წვიმა მოდიოდა ნელა. რაც თავსხმამ დააკლო ჩვენს მაზარებს, ახლა ეს წვიმა გვისრულებდა. აქა-იქ რკინის გზის ლიანდაგზე პატარა მკრთალი სინათლე გააბჟუტებდა ხოლმე ჟამ და-ჟამ. ამ სინათლის შემდეგ ბნელად ჩნდებოდა საქონლის საწყობები და გროვა ვაგონებისა, მუშები რომ აწვებოდნენ კუთხეში მისაყენებლად.

დილით ყავა-ღა გადავყლაპეთ. ის იყო და ის! მთელი დღე პირში ნაწილი არ ჩაგვიშვია. სიარულისაგან მთელს ტანში მიწყვეტილები ვიყავით, შიმშილით მუცელი ვალალას გვაყრიდა. თანაც ჩვენს თავს ვეუბნებოდით: ეგ რა არის, სალამოზედაც უსადილოდ უნდა დავრჩეთო! მათარები დაგვიცარიელდა, ორცხობილა და ღორის ქონი გამოგველია, სურსათის ურემს წინადღითვე გზა აერია და აქამდე ვერ წამოგვწეოდა. ზოგიერთმა ჩვენთაგანმა ბუზღუნი დაიწყო, სხვები იმუქრებოდნენ. კარგს გუნებაზე არც აფიცრები იყვნენ, დაწყობილ თოფების წინ რომ დადიოდნენ, ყური მოიყრუეს, თითქო არც კი გაუგონიათ ჯარის კაცების დრტვინვაო. მე კი თავს ვინუგეშებდი, იქნება გენერალმა მოქალაქეთ უბრძანა და ჩვენთვის საჭმელ-სასმელი მოატანინოს მეთქი. მაგრამ იმედი მიცრუვდებოდა! წამი წამს მისდევდა; წვიმის წვეთებს ჩვენს ცარიელს ქვაბებში ტიტინი გაჰქონდა; გენერალი კი ისევ აგინებდა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგურის უფროსს და ეს უკანასკნელიც ჯავრს ტელეგრაფის მანქანაზე ყრილობდა. მანქანის ხმაც ჩქარი და არეული ხდებოდა... ჟამ-და-ჟამ ჩვენს სადგურზე მატარებლები გაჩერდებოდა ხოლმე, ჯარის კაცებით გატენილები. ზოგს გული გადაეღელა, თავშიშველა იყო ან და ყელსახვევი ჩამოსთრევდა გულზე, ზოგიც დამთვრალა და ქუდი მობრუნებულად ეხურა. მატარებლის გაჩერებისათანავე იმის ცდაში იყვნენ, საჩქაროზე ჩამომხტარიყვნენ: ან ბუფეტს ეძგერებოდნენ ან და უსირცხვილოდ ჰაერზე ჩერდებოდნენ... ვაგონში მყოფთა თავები ჭიანჭველასავით ირეოდა, მოისმოდა გინება, მარსელეზის სიმღერა, უწმაწური შაირები. მერე მათი გამყოლი ჩამოუვლიდა, ყველას დათვლიდა, ამას სადგურის ზარის ხმა მოჰყვებოდა, ლოკომოტივი ქშენას იწყებდა. ყოველივე ეს ერთმანეთში ირეოდა, ასე იტყოდით ჯოჯოხეთშია ვარო. ერთი სენმიშელელი ბიჭი გავიცან. გასიებული ქუთუთოები ცრემლით ევსებოდა, ახველებდა და პირიდან სისხლს კოშტ-კოშტად იღებდა. მიამბო, ყველანი მანსიდან მოვდივართო, გზა შეკრული იყო და კონერეში თორმეტი საათი დავრჩით უჭმელადაო. ვაგონში ტევა არ იყო, თავისუფლად ფეხებიც ვერ გავშალეთ, რომ, ცოტაც არი, თვალი მოგვეტყუებინაო. ესღა ვიცი, მეტი არაფერიო, მითხრა ახალგაზდა ჯარისკაცმა. ლაპარაკის თავიც კი არა ჰქონდა, ისე იყო დასუსტებული. ვაგონიდან ჩამოხტა და ბუფეტისაკენ წავიდა, რომ თბილი წყალი თვალებში შეესხა. ხელი ჩამომართვა და მითხრა, იმედი მაქვს პრუსიელები ტყვედ ჩამიგდებენ და ამ ტანჯვასაც მოვრჩებიო. მატარებელი დაინძრა და ღამის წყვდიადმა შთანთქა. თან მიჰყავდა ეს ფერწასული ყმაწვილები, ეს უკვე უომრად დამარცხებული ჯარისკაცები. საით კენ? იქითკენ, სადაც უსაგნო ჟლეტა და ჩეხვა მოელოდათ.

სიცივისაგან კბილი კბილზე არ მიდგებოდა. ყინულივით ცივი წვიმა დამდიოდა ტანზე, შიგ ძვალ-რბილში მატანდა და ასე მეგონა, საცაა მთელი სხეული გამიშეშდება და უგრძგობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გამიხდება მეთქი. ამასობაში ერთი მატარებელიც მოვიდა. საშინელი ოროინტრიალი ასტყდა. დრო ვიხელთე, რკინის გზის გამოღებულ კარებში გავძვერ და დავადექი გზას. ვეძებდი სახლს, თავშესაფარს, რომ გავმთბარვიყავ, პურის ყუა მეშოვნა ან კიდევ თვით არ ვიცი რა. სადგურის მახლობლად რაც სამიკიტნოები იყო, ყველას კარებზე დარაჯები ეყენა, რომ შიგ არავინ შეეშვათ... სამას ნაბიჯის მანძილზე სახლის სარკმელებს მოვკარ თვალი, ბნელაში ნაზად კრთოდა. ეს განათებული სარკმლები ადამიანის თვალებს დავადარე, კეთილს თვალებს. წარმოვიდგინე, ეს თვალები მეძახის, მიღიმის, მეალერსება-მეთქი... სახლი პატარა იყო, გზიდან რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე იდგა. გავექანე. . ერთს სერჟანტს ოთხი ჯარისკაცი ახლდა, ამ სახლთან იდგა და რალაზედა ; მალალის ხმით ილანძღებოდა, ჰყვიროდა. უცეცხლო ბუხართან ერთი მოხუცი იჯდა ჩალის დაბალ სკამზე. ნიდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, თავიც ხელებში ჩაედო. რკინის შანდალში ჩაცმული სანთელი ნახევარ პირისახეს უნათებდა, პირისახეს ნაოჭებით ღრმად დალარულს.

— ჰა, შეშას იძლევი, თუ არა, ჩქარა?—უყვიროდა სერჟანტი.

— რა ვქნა, რაც არა მაქვს, რა მოგცეთ,—უპასუხა მოხუცმა...—ეს რვა დღეა ჯარი შეუწყვეტლივ მიდის, რაც რამ მებადა, სულ წამართვეს-მეთქი, არ გესმისთ?

სკამზე უარესად მოიბუზა და გაპარულის ხმით წაიდუდუნა:

— არაფერი მაქვს... არა... არა!..

სერჟანტმა მხრები შეიშმუშნა.

— შენ, ეი, ნუ გაკერპდი, ბეხრეკა ძალლო... გეტყობა, პრუსიელების გასათბობად გვიმალავ შეშას! ფეხებზე მკიდია შენი პრუსიელები... გესმის, თუ არა?

მოხუცმა თავი დააკანტურა.

— აკი მოგახსენეთ, არა მაქვს-მეთქი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოსულმა სერჟანტმა ჯარის კაცებს უბრძანა სახლი გაეჩხრიკათ. სარდაფიდან მოკიდებული სხვენზედაც კი ავიდნენ, დაუთვალიერებელი ერთი კუნჭულიც არ დაუტოვებიათ. სარდაფში ბურალი დალვრილიყო და ნესტის სუნი იდგა, კასრებს სალტები მოჰშვებოდა, ყველგან ნაგავი ჰყარდა გულის ამრევად. ამან მოთმინების ფიალა აღუვსო სერჟანტს და სარკმლის შუშა თოფის კონდახით ჩალეწა.

— გვითხარი, შე ქოფაკო, სადა გაქვს შეშა, გვითხარი ჩქარა.

და თანაც ღონივრად შეანჯღრია მოხუცი. ისიც წაბარბაცდა და თავი კინალამ რკინის ნაჭას არ მიახალა.

— რა წყალში ჩავვარდე, არა მაქვს-მეთქი, არ გესმის?— განიმეორა დამშვიდებულის კილოთი საწყალმა მოხუცმა.

— მაშ ეგ არის, ჯიბრზე ხარ! შეშა არა გაქვს! თუ შეშა არა გაქვს, სკამები, განჯინა, ლოგინი ხომ გაქვს... თუ კიდევ არ გითქვამს, სადა გაქვს შეშა, სუყველაფერს დავსჭრი და შეშად ვაქცევ.

მოხუცს წინააღმდეგობა არ გაუწევია. გაფითრებულმა, თავის კანტურით ხელახლა განიმეორა:

— არა მაქვს შეშა!...

მინდოდა ჩავრეულიყავ და ორიოდ სიტყვა წავილულლულე; მაგრამ სერჟანტმა სიტყვა გამაწყვეტინა და ზიზღის თვალით ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— შენ აქ რალა გინდა, შე მუდრეგო, შენა?—შემომიტია,—ნება ვინ მოგცა რაზმს მოშორებოდი, შე მაწანწალა, შენა!... ახლავე მოტრიალდი და საჩქაროდ ისევ შენს ადგილას გაჩნდი.

მე ეს მითხრა და თან ჯარისკაცებს უბრძანა ყველაფერი დაელეწათ. რამდენსამე წუთში ლოგინი, სკამები, მაგიდა, განჯინა ნაფოტებად აქციეს. მოხუცი ლასლასით წამოდგა და ერთს კუთხეში მოიკუნტა. ბუხარში ცეცხლმა გიზგიზი დაიწყო. სერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანტმა სიცილით გული მიუფიცხა, მისს მაზარასა და ძიქვას ორთქლი აუვიდა. მოხუცი კი გულ-მაგრად უყურებდა როგორ იწოდა მისი უკანასკნელი ავლა-დიდება და თან ჯიუტად იძახდა:

— შეშა არა მაქვს!

მივედი სადგურზე.

გენერალი ტელეგრაფის კანტორიდან გამოვიდა, უარესად აღელვებული, უარესად წამოჭარხლებული, უარესად გამძაფრებული. რაღაც წაიბურტყუნა და ღონივრად შეინძრა. გაისმა ხმლების ჩხარუნი; ზოგი იძახდა, სხვები პასუხს აძლევდნენ; აფიცრები იქით-აქეთ ეწყვეტებოდნენ, ღოროტოტო დაუკრეს. ჩვენ კი არაფერი გვესმოდა, რა ხდებოდა. ჩანთები ზურგზე მოვიკიდეთ და მხარზედაც თოფები გადავიდევით. გვიბრძანეს.

— აბა, წინ... გასწით!..

უმოძრაოდ დგომისაგან სხეულის ნაწილები გაშეშებულები გვქონდა, თავები გვიბრუოდა, წამ-და-უწუმ ერთმანეთს ვეჯახებოდით, ასე შევუდექით გზას ბარბაცით ამ წვიმასა, ტალახსა და ღამის სიბნელეში, მარჯვნივ და მარცხნივ ყანები იყო გადაჭიმული, ბნელს სუდარაში გახვეული. ბნელაში ვაშლის ხეების კენწეროებსლა ვარჩევდით, ზევით აშვერილები თითქო აერში იკრუნჩხებიანო. დროგამოშვებით შორიდან ძაღლის ყეფა მოისმოდა. ყანების შემდეგ ტყე იწყებოდა, შავ-ბნელი, პირქუში, გზის გაღმა-გამოღმა კედელსავით ამართული. მერე სოფლები ჩნდებოდა, ძილში მყოფი. სოფელზე გავლაზე ჩვენის ფეხის ხმა უფრო მწუხარედ და სევდის ამშლელად გაისმოდა. აქა-იქ სარკმელები ჩქარა გაიღებოდა და ისევ საჩქაროდვე მიიხურებოდა, ხან შიგ თეთრი ლანდი გამოჩნდებოდა, გამოურკვეველი, შეშინებული... არც სიმღერა, არც ლაპარაკი, ზარდამცემი სიჩუმე იყო გამეფებული და ამ სიჩუმეს ჩვენი ნირშეუცვლელი, გამოზომილი ფეხის ხმა თუ-ღა არღვევდა.. ჩანთის რკინა ხორცში მერჭობოდა, თოფი ისე მამძიმებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თითქო გახურებული შანთი მაწვეს მხარზედაო... ერთხანს ისე მეგონა, გათლილ ქვებით დატვირთულ უშველებელს ურემში ვუბივარ და მეურმე სახრის ცემით ფეხებს მამტვრევს-მეთქი. ფეხები უკანა მრჩებოდა, წელში ოთხად ვიყავ მოხრილი, კისერწაგძელებულს ჩანთის ღვედი ყელში მიჭერდა, ქშენა ავარდნილი თავს ძალას ვატანდი და ფეხებს მივაფლატუნებდი... მაგრამ მალე ისე გავხდი, რომ არც კი მესმოდა რასა ვშვრებოდი. მაშინალურად მივდიოდი, გარინდებული, თითქო სიზმარში ვარო.. საშინელი რამეები მელანდებოდა... ვხედავდი შორს განათებულ გზას, სასახლეებით მოქარგულს, თვალის მომჭრელი ჭაღები ამ სასახლეებს ანათებდა. ჰაერში ლამაზი ყვავილები ჰქანაობდა, ღეროებს არხევდა, სასმელებით და ნაირ-ნაირ ხილით სავსე სუფრას აუარებელი ხალხი გარშემოხვევოდა. ყველა მღეროდა, მხიარულობდა. გულწარმტაცნი ბანოვანნი განათებულ ბუსნოზე კეკლუცად თამაშობდნენ, ძოწეულით მოსილნი. მუტრიბთა გუნდი, ახლად აყრილ ტყეში შეფარებული, საკრავებს ნაზად უკრავდა, ყვავილთა სიმშვენიერე თვალსა ჰხიბლავდა, შადრევანები წყლისა ჰაერს აგრილებდა...

— დადექით! — შემოგვძახა სერჟანტმა.

გავჩერდი და, ძირს რომ არ დავცემულვიყავ, გვერდში მდგომ ამხანაგს დავებღაუჭე... სიბნელეს და მხოლოდ სიბნელესა ვხედავდი. მივადექით ამართულ კარვების კარებს. ჩანთაში სამთელი დამქონდა ხოლმე, ხელად ამოვიღე, მოვუკიდე და დაიარავებულს ფეხებს შეხვევა დავუწყე. მერე ღანღალაგამოლეულ ძაღლსავით მივეგდე დასველებულს მიწაზე და მკვდრის ძილმა წამიღო. დაღლილობისაგან დავარდნილი ამხანაგები თან-და-თან გვეწეოდნენ ბანაკში. ხუთი მათგანი კვალწმინდად დაიკარგა და მათი ამბავი ვერავინ გაიგო. როცა კი დიდხანს მოგვიხდებოდა სიარული, სულ ასე გვემართებოდა ხოლმე; ზოგიერთნი, ავადმყოფნი ან სუსტნი, თხრილებში ვარდებოდნენ და შიგვე ჰკვდებოდნენ; სხვები კი სრულებით სტოვებდნენ ჯარსა და თავსა ჰშველიდნენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს რიჟრაჟისას ღოროტოტო დაუკრეს ჩვენს გასაღვიძებლად. იმ ღამეს ძალზე ცივოდა, წვიმას სულ არ გადაუღია და ქვეშ გასაშლელად ვერც თივა ვიშოვეთ და ველარც ჩალა. კარავიდან გამოსვლა მეტად გამიჭირდა; ერთხანს, სხვაფრივ რომ ვერ მოვახერხე, ჩოქით ვიარე, მუხლებში სრულებით მოწყვეტილი ვიყავ. ასოები დაბუხული მქონდა, რკინის ნაჭრებსავით; დამბლა დაცემულ კისერზე ‖თავს ველარ ვატრიალებდი, თვალები, თითქო აუარებელ ნემსებით დამჩხვლიტესო, სულ მეცრემლებოდა. ამავე დროს მხრებსა და თეძოებში აუტანელი ტკივილები ვიგრძენ. შევნიშნე, რომ ჩემს ამხანაგებსაც ჩემზე უარესი დღე ადგათ. სახე დამანჭულნი, ფერწასულნი მიდიოდნენ, ზოგი საცოდავად ჰკოჭლობდა, ზოგიც წელში მოხრილიყო, ბარბაცებდა და ყოველ ნაბიჯზე ბალახზე იშხლართებოდა. ყველა დაფეფხვილი, საზარელი სანახავი და ჩურჩხელასავით ტალახში იყო ამოვლებული. ზოგიერთს საშინელმა ტკივილებმა მოუარა, იკრუნჩხებოდა, სახე ემანჭებოდა და ორსავე ხელს მუცელზე იჭერდა. ზოგი სიცივეს აეტანა და კბილებს კბილებზე აცემინებდა. გარშემო მარტოოდენ ხველა, ქშენა, კვნესა და გმინავა ისმოდა. სოროდან კურდღელი გამოხტა, შეშინებული და ყურებ დაწყობილი გაიქცა, მაგრამ არც-კი ვისმე მოჰგონებია უკან გამოსდგომოდა, როგორც წინად ვშვრებოდით ხოლმე.. როცა ყველას გამოგვიძახეს, საჭმელი დაგვირიგეს, რადგან სურსათის ურემი როგორც იყო წამოგვეწია.. წვენი მოვხარშეთ და დაყმენდილ ძაღლებსავით შევსთქვლიფეთ.

ტკივილები არ მიცხრებოდა. წვენის შემდეგ თავბრუ დამეხვა, პირიდან მასაქმა და სიცივისაგან ავბაბანდი. ჩემს გარშემო ყველაფერმა ტრიალი დაიწყო... ტრიალებდა კარვები, ტყე, ველი, შორს ბუქნავდა სოფელი, რომლის ბუხრებიდან კომლი ამოდიოდა და შავს ჰაერში იფანტებოდა, ტრიალებდა ცა, რომლის ჭუჭყიანი ღრუბლები დაბლა მისცურავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლქვა-ბოლქვად. სერჟანტსა ვთხოვე ექიმს ვეჩვენები მეთქი.

კარვები გზის ორპირად იყო ჩამწკრივებული, უკანიდანაც ტყე ერტყა. ორის გზის ჯვარედინზე პატარა სახლი იდგა დაფეფხვილი და ჩალით დახურული, უპატრონო ჯიხურის მსგავსი, ავდარში სოფლის დარაჯნი შიგ თავს აფარებდნენ ხოლმე. აი ამ ქოხში გამართა ქირურგმა თავისი მოძრავი სახელდახელო საავადმყოფო. რომ საავადმყოფო იყო, იმით იცნობდით, რომ ერთის კედლის ფარლალაში ჟენევის ბაირაღი იყო ჩარჭობილი. სახლის წინ ბევრნი იდგნენ და შესვლის რიგს ელოდდნენ. მთელი რაზმი ქანცგაწყვეტილ, დალეულ არსებათა ზოგი ზეზე იდგა, თვალებ დაშტერებული, ზოგიც მიწაზე იჯდა, მოლეშილი, დაღვრემილი, მხრებ აწურული, ხელებში თავჩადებული. სიკვდილს უკვე ჩაეჭიდა თავისი ბასრი ჭანგები ამ გაცრეცილ სახეებისათვის, მათის გაფხავებულ ზურგისათვის, მათის უპატრონოდ დაკიდულ და სისხლისა და ტვინისაგან დაცლილ ასოებისათვის. ამათს საცოდაობას რო შევხედე, ჩემი საკუთარი ტანჯვა დამავიწყდა და გული ამიდუღდა. ამ ნაირად, სამი თთვე საკმაო შეიქმნა, რომ ეს მდევი ხალხი, შრომასა და დაღალვას შეჩვეული, გაეტეხნა, მიწასთან გაესწორებინა!.. სამი თთვე!.. გაილეწა კალო ამ ყმაწვილებისა, რომელთაც სიცოცხლე მაგრე სწყუროდათ, დედა მიწის ამ ლაღ შვილთა! შავს სამარისაკენ უკვე პირი ჰქნეს ამ ოცნებით სავსე და თავისუფლად გაზრდილ ყმაწვილებმა, ამდენი იმედი რომ ჰქონდათ ყველას მარჩენელ და პატრონ ბუნებისა. თუ მეზღვაური მოკვდა, მისი საფლავი ზღვაა ხოლმე; ტალღების ხმატკბილ ჩურჩულთან ერთად ბნელსა და სამარიდისო უფსკრულში ჰპოებს განსვენებასა. მაგრამ ესენი?.. შეიძლება რამდენისამე დღის უკან ეს ფეხშიშველა ნაგლეჯუები სადმე ტალახით სავსე თხრილში ჩასცვივდნენ, მაწანწალა ძაღლების კერძი გახდნენ, მეღამურ ფრინველთა საკორტნი-მეთქი... ისეთის ძმურის გრძნობით და სიბრალულით ამევსო გული, რომ მინდოდა ყველანი გულში ჩამეხუტებინა ეს საცოდავნი, ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ლეიბად გავგებოდი და საბნად დავხუროდი; ვინატრე,— და მერე რა გულით ვინატრე!—ასის ქალის ძუძუ გამომასხა, რძით გატიკნილი, რომ უსისხლო ტუჩებში ყველას ჩავუდოდა მოვაწოვო-მეთქი. ქოხში თითო-თითოდ შედიოდნენ. მაგრამ შესვლას არც კი აცლიდნენ, რომ მაშინათვე უკანვე აბრუნებდნენ ყვირილითა და ლანძღვა-გინებით... თქვენი წამლობა ჩემი საქმე არ არისო, ეუბნებოდა ქირურგი. საშინლად გაბრაზებულმა თავისი აფთექა მოიკითხა, მაგრამ ბარგში ვერსად იპოვეს.

— ჩემი აფთექა-მეთქი, თქვე ოხერ ტიალებო!—ჰყვიროდა ექიმი.—სად არის ჩემი აფთექა? ჩემი იარაღების ჩანთა... რა უყავით ჩემი ჩანთა? თქვენ არამზადებო, თქვენა!..

ერთს ჯარისკაცს მუხლის თავზე მუწუკი ჰქონდა. კოჭლობით გამობრუნდა და სიმწარისაგან თავზე თმას იგლეჯდა. ქირურგმა არცკი გასინჯა,—არაფერი გიჭირს, კარგადა ხარო. ჩემი რიგიც დადგა. საშინელმა კანკალმა ამიტანა. ქოხის ერთს ბნელს კუთხეში ოთხი ავადმყოფი ჩალაზე ეგდო ძაღლსავით, მეხუთე ხელებს აქნევდა, რაღასაც ჰბოდავდა; მეექვსე წამომჯდარიყო, თავჩაქინდრული ჰკვნესოდა და სასმელ წყალსა თხოულობდა, გაპარულის, ბავშვურის ხმით. ბუხრის წინ ავადმყოფების მომვლელი მოკუზულიყო, ხის შამფურზე ღორის სისხლის კუპატსა სწვამდა და ქონის სუნით ოთახის ჰაერს აყროლებდა... ექიმმა ზედაც არ შემომხედა და დაიღრიალა:

— ეს ვიღა მოთრეულა კიდევ?... მაწანწალები!... ერთი ორმოცდა ათი კილომეტრი უნდა გაიარო ფეხით, შე მაწანწალავ, აი მაშინ მოარჩები!.. გასწი, დამეკარგე აქედან.

ზედ კარებთან ერთი გლეხის დედაკაცი შემომეხეჩა და მკითხა:

— დედაშვილობას, ასემც ღმერთი გადღეგრძელებს, ექიმი აქა ბრძანდება?

— ქალები ღა მაკლდა!—დაიღრიალა ექიმმა, დედაკაცის ხმა რომ გაიგონა.—შენ რიღასთვის მობრძანებულხარ, ქალბატონო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკაცრაოდ, ბატონო ექიმო,—კრძალვით უთხრა დედაკაცმა.—ჩემი შვილი სალდათად გახლავსთ და იმის სანახავად გიახელით.

— რეებს მიჰქარავ; მე რა შენის შვილის ლალა ვგონივარ?...

დედაკაცმა ორივე ხელი ქოლგის ტარზე გადააჯვარედინა და შეშინებულის სახით გარშემო ოთახს თვალიერება დაუწყო.

— ბატონო, თქვენს მუხლებს ვენაცვალე, მითხრეს ძალიან ავად არის შენი შვილიო... გეახელით, იქნება თქვენთან გახლავსთ.

— შენი გვარი?

— რიბულიანთი გახლავართ, შენი ჭირიმე.

— რიბულო... რიბულო... იქნება იყოს... აი მანდ ავადმყოფები რო ჰყრია, იმათში ნახე...

ავადმყოფთა მომვლელმა, კუპატს რო აშიშხინებდა, მოიხედა.

— რიბულო?.. ის ხომ მოკვდა კიდეცა, სამი დღე იქმნება...

— ვუი ჩემს დამიწებასა, რა ესმის ჩემს ყურებსა... შვილო...—წამოიკივლა სასოწარკვეთილმა დედაკაცმა და გამხდარ სახეზე მკვდრის ფერმა გადაჰკრა...—რად მოკვდა?.. რითი მოკვდა, ჩემი ბიჭიკო, ჩემი ვარდის კონა, არ მეტყვით, ხალხნო, ქრისტეანენო? ვაი ამ დღის მომსწრესაც... შვილო!...

ექიმი მიჰვარდა და კარში გაუძახა.

— გასწი, დამეკარგე აქედან, კივილი არ გავიგონო... აკი გითხრეს, მოკვდაო.. მორჩა და გათავდა...

— ჩემი ბიჭიკო... ჩემი ბიჭიკო!...—მოსთქვამდა დედაკაცი და ცრემლად იღვრებოდა. მისს მაყურებელს გული ამი დუღდა.

მოვშორდი იქაურობას, ნაღვლიანი, იმ ზომამდე სასოწარკვეთილი, რომ ვსთქვი, ასეთს ცხოვრებას ის არა სჯობია, ერთბაშად მოვუღო ბოლო და სადმე ხეზე თავი ჩამოვიხრჩო ან თოფი ვიკრა თავში-მეთქი... ლასლასით მივდიოდი კარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაკენ, თავში ათასგვარი შავბნელი აზრი მიტრიალებდა. ერთის ფიჭვის ძირას ძლივას შევამჩნიე ერთი ჯარის კაცი: მუხლზე მუწუკი თვითონ გამოერწყო დანით. მთლად გაფითრებულს, ოფლი წურწურით ჩამორეცხდა შუბლზე და თან გასისხლიანებულს ჭრილობას იხვევდა მჩვრებით.

თ. ს.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაძირალნი

თხზულება

ივ. ფრანკოსი *)

VII

მთელი დღის მძიმე შთაბეჭდილებით ტანჯული მისი ფიქრები ირევოდნენ და წყდებოდნენ. თვალ წინ უტრიალებდნენ იმ დღეს ნახული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სურათები. ისინი სწვავდნენ მის ტვინს თავისის აშკარა უსამართლობით, უყინავდნენ სისხლს თვისის უსამზღვრო სისაძაგლით. მაგრამ ამ დროს წყვდიადი უფრო და უფრო ღრმად მოედო მის მხედველობას, აზრი თან-და-თან დაუწყნარდა, გაუმაგრდა და დაულაგდა, მეხსიერებამ დასძლია წარმოდგენილ სურათებს, სულმა მისმა ძლივს იხსნა თავი ამ ბნელი ხაფანგიდან და გაემართა მოციმციმე ვარსკვლავებისკენ, ანკარა წყლებისკენ, თავისუფალ, სანეტარო ქვეყნისკენ, რომელიც მან დღეს დილით დასტოვა, მახლას,—ვინ იცის, რამდენის ხნით!...

და ის ქვეყანა არას დროს არ სჩვენებია მას ისე კარგად, ისე მხიარულად, ისე თავისუფლად, როგორც სწორეთ უკანასკნელ დღეებში, როგორც კიდევ დღეს დილით! არას დროს მის სულს არ უგრძვნია ისეთი ძალა, ისეთი გამბედაობა, როგორც დღეს, სწორეთ იმ საშინელ, ღრმად დაცემ-ს დროს! არას დროს მას თავში არ მოსვლია იმდენი ბრწყინვალე იმე-

*) იხ. „მოამბე“ № მე-7-ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები მომავალზე, როგორც სწორეთ დღეს, რამდენიმე წამის წინათ მეხის დაცემამდინ, რომელმაც მთლად გაუქარწყლა ჯერ ჩასახული ოცნებები. არას დროს არ უბრწყინავს მისთვის სიყვარულის ვარსკვლავს ისე ცხოვლად, ისე ტკბილად, ისე მომხიბლავად, როგორც დღეს, იმ წუთის წინათ, როდესაც ის ჩაჰქრა... ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ...

მთელი თავისი სიცოცხლე სიღარიბესა და ხელმოკლეობაში გაატარა, იბრძოდა არსებობისთვის, სწავლისთვის. განათლება მიიღო ობოლმა, უდედ-მამოთ, საკუთარი შრომით. სიყრმიდგანვე მიეჩვია შრომას, შეიყვარა მეცნიერება და რაც მეტსა სწავლობდა, მით უფრო გულმხურვალედა ჰკიდებდა ხელსა. ყველაზე მეტს სიამოვნებას მაშინ გრძნობდა, როდესაც კარგს მასწავლებლებს შეხვდებოდა, რომლებიც ინტერესს აღუძრავდნენ, გამოიწვევდნენ მოწაფეში საკუთარს აზროვნობას, წაახალისებდნენ საკუთარ შრომაში. მეცნიერებასა, სამოსწავლო და სხვა და სხვა წიგნების კითხვაში გართულს არა სცალოდა თავის გარშემო ქვეყნიერობის გასაცნობად. ჯერ ისევ ბავშვი იყო, გიმნაზია რომ გაათავა. მაგრამ გამოსვლამდინვე დაუწყო გულმა და თვალებმა ტკივილი.

სწავლის დასრულების ატესტატი რომ მიიღო, ჯანზე მოსასვლელად ერთს თავისს ამხანაგთან წავიდა მთებში და იქ შეუყვარდა მისი და, განო. აქამდინ მისთვის უცნობმა გრძნობამ, ქალისადმი სიყვარულმა, გაიღვიძა მასში, ააჩქეფა მისი ყმაწვილი სისხლი, ნამდვილ ცხოვრებაში ჩაახედა და განუბნია თვალწინ მწიგნობრობის ბურუსი, რომლის იქით აქამდე ბუნდათ ჰხედავდა ნამდვილ ქვეყანას. ამას დაემატა ისიც, რომ უნივერსიტეტის ამხანაგებმა, რომელთ შორის ის მოხვდა, ახალი აზრები ჩააგონეს, გადუშალეს თვალ წინ ახალი შეხედულება ცხოვრებაზე, მიზანი მეცნიერებისა, განათლებისა და საზოგადოთ ადამიანის ყოველ გვარ ლტოლვილებისა. და ყოველი წარსული თვისი ეხლა სხვა თვალით დაინახა; გიმნაზიიდან გამოტანილი მრავალი რწმუნებანი განეფანტნენ დაუმჩნევლად. ეს იყო მძიმე ბრძოლა თავისს თავთან, ხანგრძლივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომკვეთი და მხოლოთ სიყვარული ამხნევებდა და აძლევდა იმას ძალას. ამასთან, განოც, რომელთანაც ამას გაცხარებული მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული, მასთან ერთად იმსჭვალებოდა იმავე აზრებით და ეს ურთიერთობა აძლევდა მათ ლონეს შემდეგი განვითარებისთვის უკვე შეგნებულ მიმართულებით. დასდეს აღთქმა—მთელი თავისი სიცოცხლე თავისუფლების ბრძოლისთვის შეეწირნათ: ებრძოლნათ იმ ხალხის თავისუფლებისთვის, რომელსაც სხვა ჰყავს მბრძანებელი, იმ კაცის თავისუფლებისთვის, რომელსაც ბორკილი აქვს გაყრილი სხვა ადამიანებისგან და უბედურათ დაწყობილ საზოგადო გარემოებისაგან, ებრძოლათ გულის და გონების, შრომისა, აზრის და მეცნიერების თავისუფლებისთვის. ერთად არჩევდნენ ამ ახალს, მაღალ აზრებს, ადევნებდნენ თვალ-ყურს მათს განვითარებას თავის დროის ცხოვრებაში, უხაროდათ თვისის იდეის ახალ მომხრეების შეძენა, ცდილობდნენ ეს იდეია და თვისი შეხედულება ცხოვრებაზე ერთად დაეკავშირებინათ.

ანდრიასთვის და განოსთვის სანეტარონი იყვნენ ეს წამები, როდესაც კაცი კაცს ეთანხმება საყვარელ აზრებში და მეგობრულად აწვდის ხელს უწმინდეს რწმუნების გაზიარებით! მაგრამ იმათ ორივეს რაღაცა აკლდათ კიდევ. თეორიულად მხურვალე კამათის შემდეგ, მათის კითხვების საპასუხოთ საუკეთესო თხზულების კითხვის შემდეგ, თვის-და უნებურად ჩასცქეროდნენ ხოლმე ერთმანეთს თვალებში, ღრმად, ღრმად, თითქო უფრო სხვა რამეს ამოკითხვა უნდათო, ვიდრე აზრთა შეთანხმებისა. თვალები მათი ცეცხლს აფრქვევდნენ, ცეცხლს, უფრო მხურვალეს, ვიდრე აზრთა დამტკიცების დროს, ტუჩები მათი თრთოდნენ არა მეცნიერული საბუთების სიტყვებით და სახე ეწოდათ არა სიმართლის მიგნების სიხარულით. სისხლი მეტად უდუღდათ; როდესაც ერთად შეიყრებოდნენ და ის იყო სხვა უდიდესი ძალა, რომელიც ერთს მეორისაკენა სძლევდა. და არა ერთხელ, კითხვის დროს, თეორეტიული კამათის შუა აჰკანკალებიათ ხმა და თან-და-თან მისწყვეტიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათრთოლებულ ტუჩებზე; ხელი ხელს ეძებდა, თვალები თვალებს და...

— ახ!—ჩუმათ დაიკვნესა ანდრიამ და მოუმატა სიარულს ბნელ ოთახში,—რათ განქრნენ ისე მალე ის წუთები, რატომ მეტ ხანს არ გასტანეს? რათ უნდა დაგშორებოდი სამუდამოთ, რათ უნდა დამეკარგნე, განო, ჩემო ბედნიერებავ?

მწარეთ გაიხსენა უჯიათი დევნა თავისი საყვარელი აზრებისა... ნახა თავისს თავი ციხეში, სამსჯავროს წინ,—თვალწინ წარმოუდგა გაზეთების ღვარძლიანი, ურიგო დაცინვა მისი აზრებისა და მისი სიყვარულისა. მთელი ტანით აცახცახდა ამ მოგონებაზე. მერე გაიხსენა თავისი დანაკარგი. განოს დედამამამ სახლიდან დაითხოვეს, აღუკრძალეს განოს ნახვა, მასთან მიწერ-მოწერა, უმალავდნენ წერილებს, საიდუმლოთ მიწერილებს, რომ ტანჯვის დროს რამდენიმე სიტყვა მაინც გაეზიარებინა საყვარელ არსებისათვის.

ამასაც მალე მოელო ბოლო... ორჯერ თუ სამჯერ, რამდენიმე წამით კიდევ გაუღიმა უწინდელმა ბედნიერებამ,—და შემდეგ კი დაუბნელდა მზე, დაუდგა ღამე მწუხარებისა, ეჭვებისა, სასოწარკვეთილებისა.... განო სხვას მიათხოვეს... ანდრიამ ავადმყოფობასთან ერთად დანაკარგსაც გაუძლო და ეხლა დამშვიდებული უცქეროდა ყველა ამას.

— რა ვუყოთ? განოს ქმარი კეთილი კაცია, წრფელი გულისა, არ შეავიწროებს იმის აზრებს, არ დაუხშობს გულს, განო ბედნიერია იმასთან, შეუყვარდა,—მე კი!.. მე რა ვარ უიმისოთ? ის ხომ სული იყო ჩემი, ჩემი ძალა, ჩემი იმედი,—ეხლა რალა ვარ? უსულო, ულონო, უიმედო? ლეში! ზეზეული ლეში! რაც ამ ქვეყანად ყველაზე მეტად მიყვარდა, ის მაყენებს მე მწუხარებას. მე რომ ის ჩემი სრულის გულით არ შემყვარებოდა, ეხლა შემეძლო სხვა შემეყვარებინა და მეპოვნა დაკარგული ბედნიერება! მე რომ მთელი ჩემის არსებით არ შემყვარებოდა თავისუფლება, არ ვიქნებოდი ეხლა მე ტყვეთ და ტყვეობაც არ იქნებოდა ჩემთვის ასეთი სამძიმო და საძაგელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გაიხსენა უკანასკნელი შეხვედრა განოსთან, უკვე გათხოვილთან, აი ეხლა ხან იყო, გუშინ, დღეს დილით!.. იმათი ლაპარაკი, იმათი სიხარული, მწუხარებასა და ნაღველში ერთად არეული,—ყველა ეს სტანჯავს მას, გულს უწვავს და უდაგავს... მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, რა ბედნიერი! იმ დროს იმან იგრძნო, რომ ძველი სიყვარული არ განელებულა, არ ჩამქრალა მის გულში, სცოცხლობს და ჰღვივის წინანდებურად, თავს დასტრიალებს მის აზრებს, როგორც უწინ, ჰხელმძღვანელობს ყოველ მის სურვილს, როგორც უწინ... ეს კია, რომ ეხლა უფრო ღრმად იგრძნო თავისი დანაკარგი, დროთი ოდნავ შეკრულმა ჭრილობამ ხელ-ახლა გახსნა პირი, ნაღვლითა და ავადმყოფობით მიყუჩებული სისხლი ისევ აუჩქეფდა,—მაგრამ რა? უწინდელ სიყვარულთან ერთად უწინდელი ღონეც იგრძნო, უწინდელი სურვილიც შრომისა თავისუფლებისთვის ბრძოლაში...

— განო, სიცოცხლე ჩემო, რა მიყავ ეს?—ეჩურჩულებოდა ანდრია ნეტარ ბედნიერებით მოშხამული.

— აბა მე რა გიყავ? შენ თითონ არ მითხარი, ჩემის მხრით თავისუფალი ხარო... მე კი რამდენი ტანჯვა-ვაება გამოვიარე შენი გულისთვის! მთელი წელიწადები!..

განო თვალთაგან ცრემლს აფრქვევს და ანდრია მას იკრავს გულში, თითქო უწინდელი მათი თავისუფალი სიყვარული სულაც არ მოსპობილიყოს.

— განო, ჩემო ბედნიერებავ, რა უყავი შენს თავს? შეგძლევს განა იმდენი ღონე, რომ ებრძოლო გარს შემორტყმულს უგვანობას? ავითარო გონება და იბრძოლო თავისუფლებისთვის, ჭეშმარიტებისთვის, როგორც ერთს დროს აღთქმა გვქონდა?

— მე წინანდელი არა დამვიწყებია რა, ჩემო კარგო, და არც დამავიწყდება თავის დღეში. ძალა კი საკმარისი მაქვს. ჩემი ქმარიც დამეხმარება!

— ჩემს გვერდით ვილა იქნება, განო? ვინ მომცემს მხარს და გამატარებს მარტოდ-მარტოს მძიმე გზაზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განო ეხვევა ანდრიას და ულიმის:

— ნუ შიშობ, ჩემო კარგო! ნუ სწუხარ! ყველაფერი მოეწყობა, ყველანი ბედნიერები ვიქნებით, ყველანი!..

ანდრიამ ხელი თავში იტაცა და მოუმატა სიარულს სატუსაღოში.

— ყველანი ბედნიერები ვიქნებით, ყველანი? არა, განო, ეგ შეცდომაა! ყველანი ბედნიერები მხოლოთ მომავალში იქნებიან, ბედნიერები იქნებიან მხოლოთ ჩვენი შორს ჩამომავალნი, რომელთაც არც კი ეცოდინებათ, თუ რამდენს იტანჯებოდნენ, რამდენს იტანდნენ მათი პაპა და პაპის პაპები, რომ მიენიჭებინათ მათთვის ბედნიერება! ჩვენ კი რა ვართ? წვეთები ზღვა-ხალხში! რად ვღირვართ ჩვენ? და ჩვენ გვინდა, რომ ბედნიერები ვიყვეთ, როდესაც გარშემო მილიონობით ცრემლით იბადებიან და იხოცებიან!.. არა, mein' Lieb', vir sollen beide elend sein! შენ ეს არა გჯერა? აი ნახავ!..

ანდრია კიდევ დადის და გაიცქირება გარშემო გაგანიერებული თვალებით, თითქო უნდაო, რომ მთლათ შეისვას ეს წყვდიადი. და ეგონა კიდეც, რომ წყვდიადი მართლა უჟღენთავს გულს, უვსებს მთლათ ნერვებს, ძვლებს, ძარღვებს, რომ სისხლი კი აღარა, შედედებული წყვდიადი სცემს ცივს ნაკადულად მის მკერდსა და გულში. კანკალმა აიტანა, თითქო გაშეშდა, მაგრამ ერთის წამით კი. უნდოდა თავიდან მოეშორებინა ის, რაც მას წარმოდგენის მიზეზი ეგონა,—მაგრამ მალე ნახა, რომ არ მოსჩვენებია, რომ ეს რეალური სინამდვილე იყო. და ანდრია დადიოდა და ისვამდა სხეულში ახალ ტალღებს ნელ-თბილი წყვდიადისას და ისიც ჟღენთავდა მას, როგორც ღრუბელს, მით სუნთქავდა, გრძნობდა მის ცივს ქროლვას ყელში, ფილტვებში, ყველგან და თან-და-თან შეღავათი ეძლეოდა. ტკივილი უყუჩდებოდა. მოგონებანი დაუცხრნენ. წარმოდგენა გაენაბა და აღარაფერს სურათს აღარ უხატავდა, არც დართვილულ მწუხარებისას, არც გასხივოსნებულ ბედნიერებისას, არც სიყვარულის ცეცხლით გამთბარისას. ყველაფერი დაუბუჟდა, ჩაკვდა, შესწყდა. ისეთი სიმჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტე იგრძნო, როგორც ზაფხულში საბანებელში. აი ჩაეშვა ძლივს ხელ-შესახებ, ანკარა, მსუბუქ ტალღებში, რომლებიც ჩუმ-ჩუმათ, ნელ-ნელა დასცურავენ მის გარშემო, ასათუთებენ მის ტანს. აი გაუგებლად, უტკენად გაუჭრეს მას ძარღვები და გადმოსჩქეფს მათგან სისხლი წყნარად, ტკბილად. გადმოსჩქეფს და ინთხევა ეს დაუდგრომელი, მოდუღარი, შფოთი სისხლი და სამაგიეროთ მის ძარღვებში ნელ-ნელა და დაუბრკოლებლად იწყობს დენას შედედებული, ნელ-თბილი სიბნელე. უკანასკნელ წვეთებთან ერთად მდუღარე ცრემლები წასკდა ანდრიას. შორეულმა ზარის ხმამ ჭექა-ქუხილივით დაარღვია გარშემო სიჩუმე და ჩაქუჩივით დაჭკრა ანდრიას შიგ ყურებში. ანდრია შეინძრა და გამოერკვა.

— მხოლოთ პირველი საათია და მე კი ასე დავიტანჯე, ცოცხალ-მკვდარი შევიქენი! წაიჩურჩულა ანდრიამ და ხელის ფათურით მოსძებნა ადგილი მიტროს გვერდით.

— თქვენა ხართ, ბატონო?—დაელაპარაკა გამოღვიძებული მიტრო,—აი აქ მოისვენეთ, მე ავდგები.

— არა, არა, საჭირო არ არის,—უპასუხა ანდრიამ,—ეს ადგილიც მეყოფა, აი შენს გვერდით!—და მიწვა მიტროსთან, ამის კისერზე ხელ-გადახვეული. არა, ფიცხი, შფოთი სისხლი სულ არ დასწურვია გულიდან, ცრემლმა ისევ წახეთქა თვალთაგან, მხურვალეთ დაუწყო მიტროს კოცნა და მისი მდუღარე ცრემლები ნაკადულივით გადმოუდინა პატარა ბიჭის ყმაწვილ სახეს, ანდრიას ძმას უბედურობით.

— რათა სტირით?—ჰკითხა ჩუმათ მიტრომ.

— იმიტომ, რომ უბედური ვარ, მიტრო!

— ნუ სტირით,—უპასუხა პატარამ,—როგორმე იქნება საშველი. აი მე, იქნება, თქვენზე უბედურიცა ვარ, მაგრამ არა ვსტირი!

წყვდიადი მძიმედ მოედო სატუსაღოს და თან დაიტანა თვისგან დაჩაგრული ყველას გული,—ის გულიც, რომელიც მშვიდად სცემდა, ისიც რომელიც ჰბორგავდა,—ის გულიც, რომელიც მწარედ სცემდა, ისიც, რომელიც ბედნიერადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლის პირად კი ჩახუტულებმა დაიძინეს ორმა ყმაწვილმი არსებამ და ისე მშვიდათ ეძინათ, თითქო არავითარი მწუხარება სიზმარათაც არ ზმანებიათო.

VIII

მეორე დღეს ტუსაღები ძალიან ადრე ადგნენ. სალდათმა დააღვიძა ყვირილითა და გინებით. სტებელსკი და დოროჟოველი მაშინვე გარეკეს კანცელარიებისა და დერეფნების დასაგველად, წყლის მოსატანად, საზოგადოთ „შინაური“ საქმის საკეთებლად. მოხუცი პანკო, მიტრო, გუშინდელი მოტირალი გლეხი,—ის ოპაკოიდან იყო,—და შავთმიანა ურია-ბიჭი ცოცხებით წავიდნენ ქალაქის დასაგველად.

სატუსაღოში დარჩნენ ანდრია, ბოვდური და მოხუცი ურია, რომელიც ჯერ ისევ თავით იწვა პირდაპირ სველ იატაკზე და გულიდან ნახველს იღებდა. ბოვდურიც არ ამდგარა და სულაც არა ჰფიქრობდა პირის დაბანას, მხოლოთ წყალი დალია და სიმსივნით ალაპლაპებული ფეხებით მივიდა და მიწვა ისევ თავის კუთხეში.

გარეთ თენდებოდა. მზე ბრწყინვალეთ ამოდიოდა მოწმენდილ ცაზე,—იქ, ციხის გარეთ ხალხი იღვიძებდა და სამუშაოს ხელს ჰკიდებდა; იღვიძებდნენ მათში ახალი იმედები, აპყრობდნენ ზეცას ლოცვას არსებითი პურისა, ჯანმრთელობისა, მშვიდი და წყნარი ცხოვრების მოსანიჭებლად. სატუსაღოში კი ეს არაფერი არ იყო. იქ ადამიანის გრძნობა მარტო ახალი ტანჯვისთვის იღვიძებდა; პირველი გაგონილი სიტყვები—ლანძღვისა იყო. პირველი ხმის ამოღება,—წყევლა-კრულვა.

—მეხიც დასცემიათ იმათ და იმათ ჩვეულებას!—ბუზღუნებდა თავისს კუთხეში ბოვდური. ... ათ საათამდინ მშიერი უნდა იყო, მინამ იქ ვიღაცა მეორე ადგომას ინებებდეს და იმ საცოდავი კრეიცერების დარიგებას! იმდენი ჭირი და ვარამი იმათ თავს, რამდენი კრეიცერიც მე აქ გადმომცეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატუსაღოში ისევ ის ბინდ-ბუნდი იყო, როგორც დღისით და ანდრიამ ისარგებლა თავისუფალი ადგილით, რომ ევლო სატუსაღოში, თუმცა ფეხები დაღლილობით ჯერ ისევ უკახკახებდა და თავიც დამძიმებული ჰქონდა. იმ ღამის შემდეგ თავს ისე გრძნობდა, თითქო ტანზე ნაკვერჩხალი შეუყრიათო და ეზიზღებოდა დაწოლა იმ აყროლებულ ლეიბებზე, რომელთა დამპალი ორთქლი თითქო კანში შესდის და უჟღენთავს სისხლს თვისის ჭუჭყითაო.

ანდრია დადიოდა და ჰფიქრობდა.

— რატომ ადამიანიც მანქანას არა ჰგავს, რომლის მომართვა მხოლოთ გონებას შეეძლოს თავისს ნებად? ჰფიქრობდა ანდრია...—რაღათ არის ის მეორე გაუგებარი ძალა-გრძნობა, რომელიც რევს და უშლის გონების მანქანის წესიერ წინსვლას? აი თუნდ მე, გონების მიხედვით რომ მევლო, განა აქ უნდა ვმჯდარიყავ ეხლა? არა! ვიჯდებოდი ჩემთვის, თუმცა გულგატეხილი,—ლვოვში სწავლასა და შრომაში და ვიქნებოდი თავისუფალი და უვნებელი... დრომდინ მაინც... ეხლა კი... დროგობიჩს მოვაწყდი, რომ ერთის დღით, ერთის წამით მაინც მენახა ის და ვნახე კიდეც, ვიგრძენ მკერდში ახალი ტალღა იმ გრძნობისა, რომელმაც იმდენი მწუხარება მომაყენა ერთი წვეთის სიტკბოების ნაცვლად,—და ეხლა ისევ ასე! ვაი რომ ასე მოშიხდა! ეხლა მე გაორკეცებულს ძალას ვგრძნობ ჩემში შრომისათვის და რა გამოვიდა, თუ კი ხელები შეკრული მაქვს?

სატუსაღოში სიარულის დროს, ანდრიამ რამდენჯერმე გადახედა ბოვდურს და შეატყო, რომ მთელი დრო რაღაცა მხეცური ბოროტი თვალით შემოსცქეროდა. ანდრიას როგორლაც არ ესიამოვნებოდა ამ გვარი ცქერა ფუტურო ხის ნათელით მბზინავი თვალებისა, არა ადამიანურ გამომეტყველებით.—უფრო შევიწროება იგრძნო ამ ვიწრო კედლებთ შორის, გული შიშით აუტოკდა, უნდოდა იქიდან გავარდნილიყო ცხოველ ნათელში, იმ საზიზღარი ორმოდან, რომელშიაც თითქო მავნებელი სული დაბინავებულიყო და ნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა სწოვდა თბილ სისხლს ადამიანის გულიდან. მაგრამ ანდრია არ დაჰყვა ამ შიშს,—მისი გული მეტად აღსავსე იყო სიყვარულით ხალხისადმი და მეტადრე ყველა „დამცირებულთ და შეურაცხყოფილთადმი“; მეტად ბევრი რწმუნება ჰქონდა ადამიანის გულის სიკეთისა, რომ ერთბაშად შეეტანა ეჭვი თვისსავით უბედურს ადამიანზე რაიმე ბოროტს განზრახვაში. თავისი უნებური კანკალი და შიში დაღლილობასა და დატანჯვას მიაწერა, დასძლია თავს და მიწვა მოხუცის საწოლზე, რომ ცოტათი მაინც მოესვენა. მაგრამ ერთი წამის შემდეგ, ნაკბენივით წამოვარდა საწოლიდან. მთლათ ცახცახებდა და ხან გულზე იტაცებდა ხელს, ხან თავზედა. კიდევ სცადა სიარული სატუსაღოში, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლო; დაქანცვამ თავისი გაიტანა, ანდრია დაეცა საწოლზე და მკვდარივით დაიძინა.

და ესიზმრება, რომ რაღაცა საზიზღარი, ლიპიანი ხელი თან-და თან ეხება გულზე მის ტანისამოსს, უხსნის პერანგს, უწევს განზე მკერდს,—ძვლები ირღვევიან მის შეხებით და ისიც მიიწევს წინ, სულ შიგნით, ცივი, საძაგელი. მიდის გულისკენ, ეპარება მას ფრთხილად ბადეთ გაბმულ ძარღვებში, როგორც კატა ჩიტს ხის ტოტებში. აი სულ დაუახლოვდა,—ამას ის გრძნობს სიცივით, რომელიც მას შიგნით უტრიალებს, როგორც პირი გაცივებული დანისა. მაგრა აი გულმაც იგრძნო მტერი, ატოკდა და აშფოთდა, როგორც ჩიტი გალიაში,—ჰბორგავს და აწყდება აქეთ-იქით, არ უნდა, რომ მტერს დანებდეს. მაგრამ ფარულ ხელს გაუგებარი ძალა მიიზიდავს და ისიც მიიწევს სულ წინ-წინ; უფრო ფართოდ გაშალა ხელისგული, უფრო გაპარტყა თითები და აგერ-აგერ კიდეც დაიჭერს ათრთოლებულს გულს, დაიჭერს და გასჭყლიტავს! მწარე ტკივილმა ელვასავით დაურბინა ტანში, ანდრიას გამოელვიძა და წამოვარდა ფეხზე.

— უჰ, ეს რა იყო?—წარმოსთქვა ანდრიამ ნამძინარევი თვალების ფშვნეტით და მიიხედ-მოიხედა ოთახში. იმას მოეჩვენა, რომ თითქო რაღაცა მძიმე ტვირთი მოხსნეს ეს არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა, რომელიც მას ძილის დროს გულზე აწვა. ისიც მოეჩვენა, რომ იმ დროს, როდესაც იღვიძებდა, ბოვდურის შავი, საზარელი სახე თავს დასტრიალებდა. მაგრამ ეს ყველაფერი ალბად მოჩვენება იყო, რადგან არცა-რა სიმძიმე აწვა გულზე და ბოვდურიც დამშვიდებული იჯდა თავისს კუთხეში, ტომრით შეხვეულ ფეხებით და არც კი უყურებდა ანდრიას, ერთს კუთხეს მისჩერებოდა, თითქო კედელზე დამჩნეულს ლაქებსა შინჯავსო.

— ნამდვილად „ზაპინკა“ დამეჭდეოდა გულზე,—გაიფიქრა ანდრიამ, გამოიღო ზაპინკა პერანგიდან და ისევ მიწვა საწოლზე.

ანდრია გამოაღვიძა გასაღების ჩხარუნმა და სამუშაოდან მოსულ ტუსაღების ხმაურობამ. იმათ თან შეიტანეს სუფთა ჰაერი, დაატრიალეს რაღაცა სუნი თავისუფალი ქვეყნიერებისა და ბნელს, ნაღვლიანს სატუსაღოში სიმხიარულე ჩამოვარდა. აქ კიდევ შავ-თმიანა ურია-ბიჭს დაგვის დროს ოთხი კრეიცერი ეპოვნა, რასაც ძალიან გაეხარებინა და რითიც ის, ვინ მოსთვლის, რამდენი რამის ყიდვას აპირებდა, რომ ეს ბედნიერი დღე ედღესასწაულა. სტებელსკიმ და დოროჟოველმა თითო მუჭა პაპიროსის ნამწვეები მოიტანეს. დოროჟოველმა თავისები უჩვენა ყველას და შეინახა, სტებელსკიმ კი მთელ სატუსაღო გაუნაწილა. ეს ნამწვები ერთად-ერთი საფასური იყო კანცელარიების დამგველ ტუსაღებისა და იმათაც დიდს და სახარბიელო საფასურად მიაჩნდათ.

ბოლოს ვახმისტრიც მოვიდა ფულით, დაუნიშნა თითეულ ტუსაღს თოთხმეტი კრეიცერი და გაჰგზავნა ორი ტუსაღი— მოხუცი და მიტრო, პოლიციელით, პურისა და სხვა-და-სხვა საჭირო ხორაგეულობის სასყიდლად. ანდრიასაც მისცეს თოთხმეტი კრეიცერი, იმან თავისი ოცი დაუმატა და სთხოვა იმისთვისაც ეყიდნათ ისეთი პური, როგორსაც თითონა სჭამდნენ და ხახვიცა. როდესაც ანდრია ამ ოცს კრეიცერს ჯიბიდან იღებდა, ალბათ ვერ შეამჩნია, როგორ გაუელვეს თავისს კუთხეში ბოვდურს თვალებმა და არ აშორებდა მათ ყოველ მისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობას, როგორ ზომავდა და სწონიდა მისი ქისის სიმძიმეს, როგორ აკვირდებოდა, თუ სად ინახავდა და რა სიხარბით, რა რისხვით აენთნენ ეს თვალები, როდესაც დაინახეს ამოღებული ოცი კრეიცერი, თითქო ის ოცი კრეიცერი ანდრიამ თვით ბოვდურის გულიდან ამოიღოო.

ისევ დადის ანდრია სატუსაღოში ⁄ ისევ ჰფიქრობს. ჰფიქრობს განოზე, იმის ცხოვრებაზე ქმართან, როგორც თითონ განო სწერდა წერილებში, ჰფიქრობს თავისს მარტოობაზე, იმაზე, თუ როგორ დაუძლურდა საყვარელ არსების დაკარგვით... მაგრამ არა,—უელავს თავში მეორე უფრო მხიარული ფიქრი,—მარტო არა ვარ! მე მყავს ამხანაგები, გულწრფელნი, გულ-კეთილნი, მხურვალეთ გამსჭვალულნი იმავე ლტოლვილებით, როგორითაც მე. გაჭირვებაში კიდეც დამეხმარებიან, რჩევასაც მომცემენ, კიდეც მანუგეშებენ. მაგრამ ამ ფიქრებს უეცრივ სცვლის ახალი ფიქრი, კიდევ მწარე ნაღვლიანი და მის შემდეგ—კიდევ მანუგეშებელი: განოც ხომ არ არის ჩემსთვის დაკარგული: ვუყვარვარ, როგორც უწინ, უცხოსავით არ მეკიდება, კედლად არ მიყუდებს თავისს გათხოვებას, მიწერ-მოწერა აქვს ჩემთან, რჩევას მაძლევს და მანუგეშებს ისევე გულწრფელად, როგორც უწინ; და ისიც კარგი კაცია, მოკეთე ჩემი და თანამოზიარე ჩემის შეხედულობისა... კი, მაგრამ მაინც!.. და კიდევ სწყდება მხიარული ფიქრი. ანდრია, თითქო მწარე ტკივილის გრძნობითო,—ჰკიდებს თავს და თვალთაგან გადმოსდის ორი ჩუმი, მთრთოლვარე ცრემლი, მწველი, როგორც ცეცხლი და არც ერთის წამით გულზე არ მომშვები. საჩქაროთ იწმენდს ცრემლებს და ისევ დადის სატუსაღოში, თან ცდილობს მხოლოთ ჩვეულებრივს, უფრო ახალ რამეზე იფიქროს, აი თუნდ, მაგალითად, ჭამაზე.

— საკვირველი კია სწორეთ,—ეუბნება თავისს თავსა,—მინამ ჭამაზე არა ვფიქრობდი, შიმშილი არ მიგრძვნია და ჩემი კუჭიც ჩუმათ იყო. თუმცა ცარიელი არის. ეხლა კი გაახსენეს და ესეც ბებერი ძაღლივით აღრინდა და აცმუკდა. სწორეთ ფსიხოლოგიურ დღიურშია შესატანი—„ფიქრის გავლენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიულს მოქმედებაზე". რა კარგი იქნებოდა დღიურის დაწყობა, რომ ყველაფერი ჩაიწეროს შიგა, ყოველი შთაბეჭდილება და ასე დღითი-დღე, დიდს ხანს! სულის ვითარების საინტერესო სტატისტიკა გამოვიდოდა. ჩვენ შევიტყობდით, თუ რა გრძნობით უფრო სცოცხლობს ადამიანი, რა გვარია ცხოვრება ამ ესრეთ წოდებული „ღვთის ნაპერწკალისა", რომელიც იშვიათს, განსაკუთრებულს შემთხვევაში ადის ხოლმე ისე მაღლა!

ანდრია ამ გვარ დღიურზე ფიქრმა გაართო. ყოველის მხრით დაუწყო რჩევა ამ აზრს, დაწვრილებით სწონიდა ყველაფერს, თითქო ეს არის, ეხლავ აპირებდა მის სისრულეში მოყვანას.

— ბევრი, ბევრი სვინიდისიანი და მართალი ადამიანია საჭირო, ჰფიქრობდა ანდრია,—რომ მათ გაანაწილონ ერთმანეთში უმთავრესი მოვლენანი ფსიხოლოგიურ მოქმედებისა და თითეულმა მათგანმა უპირველესად თავისი განყოფილების მოვლენანი ჩასწეროს და დანარჩენებისა კი—მხოლოთ უმთავრესნი. თუმცა, არა, ამით ვერას გაიგებდნენ, იმიტომ რომ წყეული სხვა-და-სხვაობა ნიჭისა, გარემოებისა და წუთიერი ცვლა გუნებისა—ყველაფერს აურ-დაურევდა. აი რომ შეიძლებოდეს 'რამენაირ მეხანიკურ ფსიხომეტრის გამოგონება, იმის მინაგვარი, ვუნდმა რომ გამოიგონა ინტენსიური გრძნობის საზომათ,—ფრიად საყურადღებო და საინტერესო რამ გამოვიდოდა მეცნიერებისათვის. აქამდინ ფსიხოლოგია იკვლევს მხოლოთ შთაბეჭდილებათა თვისებებს და სრულებით არ ჰფიქრობს მათს რაოდენობაზე. მაშინ როდესაც, მგონი რომ სწორეთ ამით გამოიხსნებოდა არა ერთი ფსიხოლოგიური კვანძი, რადგან ის შთაბეჭდილებანი და გრძნობანი, რომლებიც ყველაზედ ხშირად განმეორდებიან ხოლმე,—ულრმესს კვალსა სდებენ ადამიანის სულზედა. სტატისტიკას, ერთად ერთს სტატისტიკას შეუძლიან დახმარება ადამიანის ხასიათისა და ნიჭის გამოკვლევაში, როგორც უკვე დაეხმარა ის ცოტაოდნათ მაინც საზოგადოებათა წრეების ფსიხოლოგიის გამოკვლევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრებმა მეცნიერებაზე, თეორიაზე, გრძნობათა შეუხებლად, დაამშვიდეს ანდრია. გაიხსენა ახალგაზდა ამხანაგები, ფიცხები, გულწრფელი, ერთგულნი ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების იდეისა; გაახსენდა იმათი კამათი, იმათი შეერთებული ლტოლვილება, რომ შეევსოთ ნაკლი ცოდნისა, იმათი ბავშური სიხარული ყოველ ახალ ჭეშმარიტების შეგნებაზე და ისეთი შეღავათი იგრძნო, ისე გამხიარულდა, თითქო ხელახლა იმათში არისო, თითქო არც იმას და არც არავის სხვას ქვეყანაზე აღარ სთურგნიდა ეს საუკუნოებითი მტერი ადამიანის ჩამომავლობისა—იძულება! ანდრიას ფერწასული, ბედნიერი ტუჩები, მისდა უნებურად, სიმღერის სიტყვებს ჩურჩულებდნენ.

Таж не завсігди бурливе море,—тихее частиш!
Тож і в бурю не всі човни гинуть!-тимся ти потиш!
А хто знае, може в бурю іменно спасешся ти,
Море іменно тобі ся вдасть до ціли доплисти!.. *).

IX

კარებმა დაირახუნა და გაიღო. ქალაქიდგან დაბრუნდნენ ტუსაღები და მოიტანეს თან ნავაჭრი ხორაგეულობა. ასტყდა ხმაურობა. პანკომ დაარიგა პური, მარილი, თამბაქო, ხახვი. ტუსაღები მისხდნენ აქა-იქ და შეუდგნენ ჭამასა. ბოვდურს ეტყობოდა, რომ დღეს რაღაზედაც აღრენილი იყო და დაბლა ხმით სწყევლიდა პანკოს, რომ იმას ისეთი პატარა პური მისცა და შავტუხა გოჭს კი ისეთი დიდი.

—მაგისი ცხრამეტი კრეიცრისაა და შენი კი თოთხმეტისა,—არაფრათ აგდებდა ბოვდურის ლანძღვას და უხსნიდა მოხუცი.

---

*) მუდამ ხომ არა ღელავს ზღვა, ხშირად მშვიდია და ღელვის დროსაც ყველანი არ იღუპებიან, ამით დამშვიდდი! ან ვინ იცის, რომ ღელვის დროს სწორეთ შენ არ გადარჩე და სწორეთ შენ არ ეღირსო მიზნის მიღწევას!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თოთხმეტი კბილიც ჩაგვარდნია, შე მათხოვარა, შენა! — წაიბუზღუნა პასუხის მაგიერ ბოვდურმა და პურს მგელივით დაუწყო კბეჩა.

— აჰა დანა, ბოვდურ, — უთხრა მიტრომა.

— რათ მინდა დანა? იქნება შენი თავის მოსაჭრელად! — წამოაყრანტალა ბოვდურმა და მოჰკბიჩა პურს ისეთი ნაჭერი, რომ ხელში პატარა ყუა-ღა შერჩა.

ანდრიაც მოემზადა პურის საჭმელად. ძეხვი რომ მოუტანეს, ის დასჭრა თანაბარ ნაჭრებად და ყველას დაურიგა. დოროფეველმა და ბოვდურმა ერთი სიტყვითაც არ გადუხადეს მადლობა, უკანასკნელმა ხომ არც კი შეხედა, ისე გადისროლა პირში თავისი ნაჭერი, თითქო რაღაცა უფსკრულშიო.

ბოვდურის შორიდან მაყურებელი დარწმუნდებოდა, რომ ამ კაცს ძალზე მოშივნიაო, ისეთი გაუმაძღარი სიხარბით ატრიალებდა ხელში თავისს პურსა, ისე სწრაფად გადაჰყავდა პირში უშველებელი ლუკმები. სხვებს ჯერ ხელიც არ ეხლოთ თავისი პურისთვის და ბოვდურს კი ლუკმაც აღარ დარჩა. ერთს წუთს ნაღვლიანად დაჰყურებდა თავისს ცარიელ ხელებს და სახეზე ისეთი ტანჯვა გამოეხატა შიმშილისა, თითქო რამდენიმე დღეა პური გემოთ არ უნახავსო. ანდრიამ შეხედა ბოვდურს და შეეშინდა. ეგონა, რომ ბოვდურს შეუძლიან ეხლა ადამიანი შესჭამოსო, რომ აი, ეს არის ეხლავ მივარდება რომელსამე ტუსაღს და კბილით გამოჰგლეჯს იმოდენა ხორცის ნაჭერს, რამოდენა ლუკმებიც ისე უეცრად უქრებოდნენ ბოვდურს პირში.

— ეს ყოველთვის ასე მშიერი გყავთ ხოლმე? — ჰკითხა ანდრიამ მოხუცს და თან ზიზღით არიდებდა ბოვდურს პირსა.

მოხუცმა შეხედა ბოვდურს და იმანაც უცებ მოარიდა თვალი.

— ბოვდურ, რა დაგემართა? — ჰკითხა მოხუცმა. — გაცოფდი და ხალხის დაკბენა გინდა, თუ რა არის?

შემდეგ ანდრიას მიუბრუნდა და დაუმატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ეს მხოლოთ დღეს დაემართა; ბუზანკალმა თუ უკბინა. ჩვეულებრივ შეხეთქავდა ხოლმე მთელ პურს, დალევდა ნახევარ სურა წყალს და მიწვებოდა თავისს ალაგას.

— არ ვიცი, იქნება კიდეც გავცოფდი,—ბოროტად უპასუხა ბოვდურმა,—მაგრამ მშიან კი.

— იქნებ კეთილ ინებოთ, მინამ მსახური რესტორანიდან შემწვარს მოგართმევდეს!—აბრაზებდა ბოვდურს მოხუცი.

— მე ჭამა მინდა, მშიან მე! იმეორებდა დაჟინებით ბოვდური.

— გშიან და ჭამე, ვინ გიშლის?—უთხრა შავ-თმიანა ურია-ბიჭმა.

— არ მიშლი?—მიუბრუნდა იმას ბოვდური და გაუყარა თვალი პატარა პურს, ურია-ბიჭს რომ წინ ედო,—არ მიშლი? ეგ კარგია! მაშ მოიტა! და ორივე ხელით მისწვდა პურს. ურია-ბიჭმა პური ხელიდან გამოჰგლიჯა.

— მოიტა მეთქი! დაუყვირა ბოვდურმა და თვალები რაღაცა საზარელი ცეცხლით აენთნენ,—მოიტა, თორემ ან შენ და ან მე!

— ეი, ბიჭოს! ან შენ და ან მე! იქით დამეკარგე და! მე თითონა მშიან პური!—აჯავრებდა ურია-ბიჭი.

— მეცა მშიან,—უპასუხა უფრო მშვიდად ბოვდურმა,—მოიტა პური!

— გაცოფდი, თუ რა არის? რას ჩამაცივდი?—დაუყვირა ურია-ბიჭმა.—მიტროს დაეხსენი და ახლა მე მომდექი?

— მოიტა პური, მომეცი, შემიბრალე, ადამიანო!—ეხვეწებოდა ტირილის ხმით ბოვდური და თვალები უფრო და უფრო საშინელი ცეცხლით უელავდნენ.

— დაწყნარდი, ბოვდურჯან,—წყნარად უპასუხა ურია-ბიჭმა,—მომწყდი თავიდან, თუ ღმერთი გწამს!

ამის პასუხის მაგივრათ ბოვდურმა ასწია ორივ მუშტი და ურია ბიჭს ჩაქუჩივით დასცხო თავში. ცულით ფეხებ მოკვეთილივით დაეცა ბიჭი ძირს, ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა და გადმოედინა პურს, იატაკს და ბოვდურის ხელებს. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურია-ბიჭი ხმას არ იღებდა. მხოლოთ როდესაც გონს მოვიდა, წამოხტა მუხლებზე და ცოფიანივით ჩაებღუჯა ბოვდურს ორივე ხელების ფრჩხილებით ტიტველა, გასივებულ ფეხებში. ბოვდურმა ყრუთ დაიბღავლა ტკივილისაგან და გაიქნია ფეხები, მაგრამ ურია-ბიჭი ვერ მოიშორა. ერთი ხელით თმებში სწვდა ბიჭს, მეორეთი ზურგზე დაუწყო ცემა, მაგრამ ურია-ბიჭი მაინც არ უშვებდა ფეხებს და უფრო ღრმად უტარებდა ხორცში წაწვეტილ ფრჩხილებსა, მინამ ბოლოს სისხლით არ შეეღება ფრჩხილები.

ბოვდურს ისევ თმებით ეჭირა ბიჭი ხელში, რომ უცებ გადიწია უკან და ის პირქვე დასცა იატაკზე. მაგრამ არც ეხლა დასძრა კრინტი ურია-ბიჭმა, უცებ წამოავლო ხელი სისხლიან პურსა, მოუქნია და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჩასცხო მუცელში ბოვდურსა. ბოვდურმა თმებს ხელი გაუშვა და ორივე ხელები მუცელში იტაცა. იმ დროს ურია-ბიჭი ფეხზე წამოდგა პურით ხელში. პირის-ახე გულმოსულობითა და სიმწარით გალურჯებოდა და თითქმის მთლად სისხლში ჰქონდა შესვრილი; თვალებიდან ცრემლი სდიოდა; დასისხლიანებული ტუჩები შესივებოდა და კბილებს მაგრა უჭერდა. გასწორდა წელში და ხმა ამოუღებლივ ერთი კიდევ მოუქნია ბოვდურს პური.

— ღმერთი არ არის თქვენში, გააშველეთ როგორმე! ყვიროდა შიშისაგან გაშტერებული ანდრია და თან თვალს არიდებდა ამ საშინელ სანახაობას. ძნელი ასატანი იყო მისთვის ყოველი ტკივილი, მეტადრე სხვისა და ეგონა, რომ თითეული დარტყმა იმასა ხვდებოდა სხეულში.

— დიახ... სწორეთ ეგ-ღა გვაკლია!—უპასუხა მოხუცმა და თან განაგრძო მშვიდად პურის ჭამა,—საჭირო არ არის! მოუხდებათ მაგათ ძვლების დაზელა. უფრო მჩატეთ იგრძნობენ თავსა. და თუ ამასთან ცოტა მურტალი სისხლიც გამოუშვეს ერთმანეთსა, მაშინ ხომ სულ მოისვენებენ. თავი დაანებეთ. მაგათ ძაღლებივით იციან: წაიკიდებიან და მერე წაელაქუცებიან ერთმანეთსა. გაშველება კი რომ მოინდომოს ვინმემ, თუნდა დაგენაძლეოთ, რომ მაშველებლს მივარდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მეომარნი მოჭიდავენი იდგნენ მზათ დორბლ მორეულები და ელოდნენ თუ პირველი ვინ დაარტყამდა. მაგრამ ამ ცდამ მხოლოთ ერთს წამს გასტანა, შემდეგ კი თითქო ნიშანი მისცესო, ორივენი ეცნენ ერთმანეთსა. ბოვდურმა ურია-ბიჭს დაჰკრა მუშტი ხელზედ—იმას პური გაუვარდა ხელიდან, მაგრამ სამაგიეროთ ურია ბიჭმა მარცხენა ხელი შემოჰკრა პირისახეში ბოვდურსა. შემდეგ ორივენი ჩაებლაუჭნენ ერთმანეთსა და ალარა სჩანდა თუ ვინ ვისა სცემდა, აწყვეტებდა, ათრევდა, ამახინჯებდა, მინამ ბოლოს ორივენი იატაკზე არ დაეყარნენ. ერთმანეთს ხელიდან არ უშვებდნენ და ორივენი ერთათ მხეცივით გაჰყვიროდნენ:—ვინა ხართ ქრისტიანი, გიშველეთ!

ამ ყვირილზე სატუსალოში სალდათი შევარდა მათრახით ხელში. რომ დაინახა იატაკზე დასისხლიანებული მოჭიდავენი, რომლებიც ყვიროდნენ და თან ერთმანეთს ხელიდან არ უშვებდნენ—მოიბრუნა ტარით მათრახი, მისდგა ორივეს და ურტყა და ურტყა, სადაც კი მოხვდებოდა.

დაიარა მათრახის ტარმა ძვლებამდინ, ლაწუნი აუყენა დასივებულ, დაწყლულებულ სხეულსა, მაგრამ მოჭიდავენი მაინც არ უშვებდნენ ერთმანეთსა და თან უხერხულ ყასაბისგან ყელ-გამოჭრილ ღორებივით ჭყვიროდნენ. სალდათი გავეშდა და ხმა ამოუღებლივ დაუწყო მათ ფეხით ცემა ფერდებში. მხოლოდ ამ საშუალებით გააშველა როგორც იყო. გაშორდნენ ერთმანეთსა და მოსძებნეს თავ-თავისი კუთხეები, მაგრამ სალდათი მაინც თავისას არ იშლიდა.

— აი თქვე აბრანძულებო! ქურდებო! ავაზაკებო!—სისინებდა ყელში გულ-მოჩრილი სალდათი,—თქვენ აქ ჩხუბიც მომინდომეთ! დამაცადეთ, გველებო, მე თქვენ გასწავლით ჭკუასა!

— მე არას ვუშავებდი!—დაიწყო ტირილი ურია-ბიჭმა.—პურის წართმევა მოინდომა! განა მემართა მე მაგისი?

— აი შე უწმინდურო ღორო!—ღრიალებდა სალდათი და ხელ-ახლა სეტყვასავით მიაყოლა ბოვდურს ბეჭებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოვდური ჩუმად იყო მიკუნტული კუთხეში, მანამ სალდათი არ დაიღალა და თავი არ დაანება.

— დამაცა, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა პურის წართმეცა! შენი არ გეყოფა, წყეულო გაუმაძღარო?—უყვიროდა კარებისაკენ მიმავალი სალდათი.

— არ მეყოფა? — ყრუდ და ბოროტად უპასუხა ბოვდურმა.

— რაო, ხმის ამოღებასაცა ჰბედავ?—გაფიცხდა სალდათი და შორიდან მოუქნია მათრახი. ხმა ჩაიკმინდე, შე მყრალო, შენა —აბა დამაცა, თუ ეგ არა გყოფნის, მაგასაც აღარ ეღირსები. პატარა წაიმარხულე, ჩხუბის თავი აღარ გექნება! განგება ვსთხოვ ბატონ ვახმისტრს, რომ ხვალ პური აღარ მოგცენ! აბა მაშინ იკოჭავე! და თქვენც გახსოვდეთ,—მიუბრუნდა სალდათი დანარჩენებს,—რომ ამას არასფერი არ მიაწოდოთ, არც კი ასუნებინოთ! იცოდეს ამ ძაღლმა, რა არის ჩხუბის ატეხა! და თუ კიდევ დაიწყოს რამე, მაშინათვე დამიძახეთ და მე გიჩვენებთ თქვენ მაგის სეირსა!

სალდათის გასვლის შემდეგ, სატუსაღოში მძიმე და მწარი სიჩუმე ჩამოვარდა. თითქო ყველას ყელში წაუჭირესო,—პური აღარ ჩასდიოდათ. ყველანი გრძნობდნენ, რომ ის, რაც ეხლა იმათ თვალწინ მოხდა, გადამეტებული სისაძაგლე და უადამიანობა იყო.

მხოლოდ სტებელსკი იჯდა იატაკზე, სწორედ იმ ალაგას, სადაც ჩვეულებრივ იწვა ხოლმე, დინჯად შეექცევოდა თავისს პურსა და თან ძეხვის პატარ-პატარა ნაჭრებს აყოლებდა. როდესაც სატუსაღოში ყრუ სიჩუმე ჩამოვარდა, სტებელსკი მიუბრუნდა ანდრიას, გადაავლო ხელი სატუსაღოს და უთხრა:

— homo homini lupus!*)

ანდრია მომაკვდავის ფერით ადგა და ბოვდურისაკენ მიბრუნდა; ის კუთხეში იწვა მოკუნტული, აცახცახებული, დასისხლიანებული და დალურჯებული.

---

*) კაცი კაცისთვის—მგელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სურათმა ისევ მოსწყვიტა წელში ანდრია. იმას ხმის ამოღებაც ალარ შეეძლო; იდგა და იყურებოდა სახეზე ღრმა ტანჯვის გამოხატვით.

— წადი, ეგ არ გინდოდა?—უთხრა ბოვდურს მოხუცმა პანკომ და თან პურსა სჭამდა.

ბოვდური ჩუმათ იყო.

— ბოვდურ,—წარმოსთქვა ბოლოს ანდრიამ,—შენ თუ ეგრე გშიოდა, რატომ მე არ მითხარი? მე მაინც ვერ შევჭამდი ჩემს პურსა. რათ გინდოდა ჩხუბი, პურს იმდენს მოგცემ, რამდენიც შენ გინდა. და აიღო თავისი პური, მოიტეხა თავისთვის პატარა ნაჭერი და დანარჩენი ბოვდურს გაუწოდა.

— არ მინდა მე შენი პური! ხეთქე შენ თითონა? ყელზედაც დაგდგომია!—დაიბღუილა ბოვდურმა თვალ-აუღებლივ და მოწოდებული პური საწოლ ქვეშ შეუძახა. ანდრია გაშეშდა შიშისაგან და გაკვირვებისაგან და ხმა ამოუღებლივ გადგა უკან. . მიტრო კი შეძვრა საწოლ ქვეშ, გამოიღო პური, გადაწმინდა, აკოცა და ანდრიას წინ დასდო.

— მაშ სხვა რა ეშმაკი გინდა?—უთხრა გაჯავრებულმა პანკომ. რას ისვრი, სულელო, წმიდა პურს? ჭვალიც გაგდგომია მაგ ფერდებში, ეშმაკის კერძო შენა!

— ჯანაბამდინაც გქონიათ გზა,—წაიბუზღუნა ბოვდურმა,—თქვენ ყველასა და მეც თქვენთან ერთად, სულ ერთია ჩემთვისა! ესა სთქვა და ისეთნაირად დაჭკრა მუშტი იატაკსა, რომ სულ ერთიანად შეანძრია; ბოლოს მოიხვა გორგალივით და მიწვა თავის კუთხეში.

ж

დიდხანს დადიოდა ანდრია სატუსალოში, მინამ დამშვიდდებოდა. და როდესაც სულიერი ძალა დაუბრუნდა, ცდილობდა ამ დაწყევლილ გოდებისაგან და ადამიანობის უარყოფობისაგან აზრებით მაინც შორს გადაფრენილიყო. ოცნებამ გაიტაცა უკეთესს ადგილას, სადაც ყმაწვილთ, უმანკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებათ მაღლა ეჭირათ დროშა კაცობრიობისა, სადაც იწვრთნებოდნენ მძლავრი, შეიარაღებულ წყებები, რომლებიც ოდესმე—მალე!—უნდა გამოსულიყვნენ დასაცველად ადამიანის პიროვნებისა, მისი უწმიდესი უფლებებისა, მისი მუდმივი, ბუნებრივი მისწრაფებისა. გადვიდა ფიქრით იმ ადგილასაც, სადაც ერთად-ერთი ქალის გული სცემდა მისთვის, რომელიც ამ წამს იქნებ როგორ იტანჯებოდა, ამის ამ უბედურობაში ჩავარდნით, და ანდრია ფიქრით ანუგეშებდა თავისს განოს, ამხნევებდა თავისს მეგობრებს, აქეზებდა, რომ მაღლა სჭეროდათ აფრიალებული დროშა, ერთს წამსაც არ დაეშვათ ძირსა, რადგან ადამიანთა პიროვნება სატანჯველშია, იჩაგრება, ითრგუნვება ყველგან, სულ გარშემო!

ანდრია ჰფიქრობდა თავისს მისწრაფებაზე, თავისს სიყვარულზე, თავისს უბედურობაზე და ბოვდური, მისი ტკივილებით, და გაავებით სრულებით აღარ ახსოვდა.

ეჰ, ყმაწვილო, ფიცხო, თავმოყვარე არსებავ! მაგ შენს წმინდა ოცნებაში ვერც კი ჰხედავ, თუ რამდენათ თავმოყვარულნი არიან ყოველი შენი აზრი, ყოველი შენი მისწრაფებანი! აი, თუნდ შენი საქმე, თუმცა საზოგადო ძმობასა და საყოველთაო ბედნიერებისკენ არის მიმართული,—განა შენთვის იმიტომ არ არის ასეთი ტკბილი, ასეთი ძვირფასი ამ მწარე წუთების დროს, რომ ის შენი საქმეა? რომ მასში იკრიბებიან ყველა შენი აზრები, სურვილები, რწმუნებანი და მიზანი, რომ მის გამო შრომა და თითქმის ტანჯვაც შენთვის სასიამოვნოა? თუნდ ის ქალი, რომელიც შენ გიყვარს, თუმცა არაფერს არ სთხოვ, თუმც უარჰყავ, რომ შენ გეკუთვნოდეს, თუმც გინდა, რომ სხვასან ბედნიერი იყოს,—განა ის ქალი იმიტომ არ არის შენთვის ძვირფასი, რომ მასთან გაგიტარებია შენის ცხოვრების უბედნიერესი წამები, რომ ეხლაც ცეცხლს გიკიდებს მისი მხურვალე კოცნა, მისი ტკბილი, ნაზი ალერსი? ეჰ, ყმაწვილო, თავმოყვარე არსებავ! დასტოვე დროებით შენი თავი, მისი გართობა! დაუფიქრდი ყველას შენს გარშემო ყურადღებით, ძმურის სიყვარულით! იქნებ შენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით შენზე უფრო უბედური იყოს ვინმე! იქნებ ისეთები ჰპოვო, რომელთაც ის სიხარულიც არ ღირსებიათ, რომელსაც ეხლა შენს გულში გრძნობ! იქნებ ისეთები იყვნენ, რომელთაც ამ ადამიანთა მთურგვნელს ბუნაგში არასფერი თან არ მოჰყოლიათ: არც ნათელი აზრები, არც ბედნიერი მოგონებანი, არც ბრწყინვალე, თუმცა ცრუ იმედები!.. იქნებ შენს ერთს გულწრფელს, ტკბილ სიტყვას რა შეღავათი მიეცა მათთვის, იქნებ მოესპო მათ გულში ბრძოლა, ბევრად იმაზე საზარელი, როგორიც შენ გაქვს წარმოდგენილი, გაელხო მათს გულს-გარშემო დაუსრულებელი, მუდმივი მწუხარებისაგან შემდგარი ყინული! ასეთია მოქმედება დიდი მწუხარებისა, რომ ადამიანს გულს ჩაუხვევს, ისე, როგორც სიცივის დროს ყვავილები ჩაიხვევიან. და გულ ჩახვეულები, კრიჭა შეკრულნი გაგივლიან გვერდზე უბედურები, რომელთაც ხშირად რამდენიმე სიტყვით, ერთის თანაგრძნობის, ძმურის ხელის ჩამოართმევით—გაუნახევრდებოდათ თვისი მწუხარება და დარდი—გაგივლიან გვერდზე და ჩუმათ არიან... ეჰ, ხალხო, ხალხო! განა კაცის-მკვლელებო, ქურდნო და ავაზაკნო, განა ბატონნო და მონანო, განა ჯალათნო და დასჯილნო, განა მსაჯულნო და ბრალდებულნო,—საბრალო, დაჩაგრულო, გონება დახშულნო ხალხნო!...

ამ დროს ბოვდური თავისს აყროლებულ კუთხეში იწვა, დასნეულებული, დაწყლულებული სხეულით, დაუძლურებული სულით, იმედ-გამქრალი, უნუგეშო, სიხარულს მოკლებული და თავისს ფიქრებში იყო გართული. ბუნდოვან სურათებათ უტრიალებდნენ თავში თვისი მოგონებანი:

სიღარიბე სიყრმიდანვე... ყველასაგან ზიზღი, ცემა-ტყეპა... აგდება ბავშვებისგან, რომლებიც ერიდებოდნენ მას, თავისთან არ ათამაშებდნენ... უკანონოთ შობილი! მიგდებული! დიდი ჯაფა უცხო, უგულო ხალხთან... ძანძახი, ყინვები, დაქანცვა,—ეს ყველაფერი მარტო პატრონს აჯავრებს, მუშას როდი! მუშა რკინისაა, მუშა აიტანს; უნდა აიტანოს... ქირას იღებს!.. სუსტი, სნეული, დაჩაგრული, ცოტა საფასური, ცუდათ ჩაცმული... უამხანაგო, უმეგობრო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არა, მეგობარი ჰყავდა, ბორისლავში მუშაობის დროს დამეგობრდნენ. წრფელი მოკეთე, ერთგული მეგობარი, სული იყო ადამიანისა. ხა..ხა..ხა! შემშურდა კი, ამის ერთადერთი სიხარული შემშურდა,—წაჰგლიჯა საყვარელი ქალი და შეირთო!.. ყველაფერი რომ წინ არ გადასდგომოდა უბედურს, იქნებ... იქნებ უბედური—უბედური არ ყოფილიყო!

აი, ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სურათებათ, დაბლა ხმით შიგ გარეული სიტყვებით, წარმოუდგნენ ბოვდურს თვალ წინ წარსული წელიწადები. არაფერი არ იყო მათში სანუგეშო, არაფერი სასიხარულო, ისეთი რამ, რომ მათის მოგონებით სულს შესძლებოდა მოსვენება. მაგრამ აზრი შორს მიჰფრინავს, შლის წარსულს, სურათს-სურათზე, როგორც კაცი შლის წიგნის ფურცელს-ფურცელზე, რომ მალე მიაგნოს შიგ შენახულ ფულებსა.

რამ წაიყვანა ბოვდური ბორისლავში? ამისი მოგონებაც კი არ უნდოდა. ეს ისეთი მოგონებაა, რომ სისხლს უყინავს. მაგრამ მალე, მგონი, ძალიან მალე გახდება იძულებული, რომ ეს გარემოებაც გაიხსენოს. ბოვდური გაიქცა და გაქცევის გორაკიდან ერთი კიდევ გადახედა გავარვარებულ... მაგრამ ჩამავალი მზის სხივებით კი არა... შენობებს და წყევლა-კრულვა მიაყოლა.. არავის არ გამოსტეხია, თუ რომელი სოფლიდან გაიქცა, თუმცა ეს ხუთი წლის ამბავი იყო. ვინ იცის, იქნება თითონაც სოფლის სახელიც კი დაავიწყდა!

ბორისლავში ცოტა გამოცოცხლდა. სამუშაო თუმცა საძაგელი ჰქონდათ, მაგრამ პირველ ხანს მაინც კარგს ფასს აძლევდნენ. ასე რომ უწინდელზე ბევრით უკეთესი პურის ჭამა ჰქონდა. მშიერი მგელივით მივარდებოდა ხოლმე საჭმელს და სჭამდა და სჭამდა უზომოთ. რასაც იღებდა, სულ ჭამას ანდომებდა; თითქმის ტიტველა დადიოდა და ჭამას კი არ იკლებდა, რომ ერთხანათ მაინც გაძაძღარიყო. სმით პირველ ხანს არა სვამდა. მერე მიჰყო ხელი სმას, როდესაც სასმელი აღარა ჰქონდა-რა, მაშინ კი გალოთდა და ძალიანაც გალოთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორეთ ბორისლავში დაუმეგობრდა,—პირველად თავისს სიცოცხლეში,—ერთს თავისავით მარტოხელა კაცს. გულახდილი ადამიანი იყო და ოთხს წელიწადს ისე გასტანა მასთან ბოვდურმა, როგორც თავისს ღვიძლ ძმასთან. ერთად მუშაობდნენ, ერთად ცხოვრობდნენ და თითქმის არ მოშორებიან ერთმანეთსა. გაჭირვებაში ერთმანეთს ფულით ხელს უმართავდნენ და არ ეკითხებოდნენ: როდის დამიბრუნებო? თუმცა სიმართლე რომ ითქვას, ბოვდური უფრო მეტს ართმევდა, ვიდრე თითონ იძლეოდა. ეხლაც, მოლალატესა და ყალბს ეძახის, მაგრამ მაინც სიამოვნებით იხსენებს იმის მეგობრობასა. კარგი დრო იყო, მაგრამ ეშმაკი გადაეღობათ.. ნეტავი კი მეტს ხანს ყოფილიყო!

მხოლოდ ქალის მიზეზით გაიყარნენ მეგობრები. ორივეს ერთათ შეუყვარდათ ერთი საწყალი, ტანჯული მუშა-ქალი, ობოლი, როგორც თითონ ისინი, ზიზღით აღზდილი, უსამზღვრო მორჩილებას ჩვეული, რომელსაც წართმეული ჰქონდა ყოველი ნება და საკუთარი აზრი. სასწაული მოხდა მაშინ ბოვდურში. მისი მძაფრი, თვით მოყვარული, ველური ხასიათი უფრო მძაფრი და უფრო ველური შეიქნა იმ მშვიდს, წყნარს, კეთილს და მორჩილს დედაკაცთან. ბოვდურს უყვარდა ის, მაგრამ ეს სიყვარული უფრო სჩაგრავდა ქალს, ვიდრე მისი უწინდელი ცხოვრება. რამდენს ლანძღვას, რამდენს ცემას იტანდა მისგან საცოდავი! რამდენი ცრემლი დაუღვრია! მაგრამ ბოვდურს კი ერთი წინააღმდეგი სიტყვაც არ გაუგონია მისგანა! ეს ცოფსა ჰგვრიდა ბოვდურსა. ბოვდური სტანჯავდა, რომ მასში წინააღმდეგი ძალა გამოეწვია, მაშინ როდესაც ქალის ძალას მხოლოდ ჩუმი, მშვიდი და მორჩილი სიყვარული შეადგენდა. იმ მშვიდს კრავს—ეს მხეცი უყვარდა! და ეს სიყვარული აძლევდა მას ღონეს, რომ აეტანა ბოვდურის გიჟური, ჟინიანი ხასიათი და ლანძღვა-თრევის სამაგიერო ალერსით გადაეხადნა... მერე რა სახელებით იხსენიებდა! ძუკნას არ ეძახდა, ჯოჯოს—მაგრამ ის მაინც არ ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს ისე შეზიზღდა ბოვდურს მისი უსამზღვრო მორჩილება, რომ ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ უყვარდა, მაგრამ ერთხელ ბრაზ-მორეულმა საშინლათ გალახა ქალი და გააგდო კიდეცა. ქალი ბოვდურის მეგობართან მივიდა და მალე ჯვარიც დაიწერეს—ეხლა შვილიცა ჰყავთ...

— და ის ძუკნაც ბედნიერია მასთან! ბუზღუნებდა ბოვდური—ორივე დოყლაპიები! თვალიც გახეთქიათ! მოგონებითაც არ მინდა, რომ მოვიგონო!

რამდენჯერ გადასწყვიტა ბოვდურმა, რომ არ გაიხსენებდა მათს სახელს, მაგრამ თავიდან არ შორდებიან! იმიტომ რომ ბოვდურისა და თვისი ხასიათების განსხვავების ძალით ორივენი დაუკავშირდნენ ამის სულს, უვსებენ მის ნაკლს; იმიტომ რომ ბოვდურის გაყინულ გულში დღესაც ჩუტავს ნაპერწკალი მათდამი სიყვარულისა!

მერე კი ყველაფერი გათავდა... ყველაფერი აირ-დაირია. ბოვდურმა სმას მიჰყო ხელი. აი დალახვროს ღმერთმა, რა ნაირადა სვამდა! მოვიდოდა თუ არა სამუშაოდან—ღამე დადიოდა სამუშაოთ—პირ-და-პირ დუქანში შევიდოდა.—ურია, მოიტა საჭმელი! კარგი. ურია, ურია, მოიტა სასმელი! და სვამდა, მინამ ფული ჰქონდა ჯიბეში და მინამ ფეხზე შეეძლო დგომა. როდესაც ფეხს მოჰკვეთდა, დაეცემოდა სკამზე და საღამოობდინ ეძინა, მინამ არ გაალვიძებდნენ სამუშაოზე წასასვლელად ეს დიდი სარფა იყო მისთვის, ოთახი აღარ იყო საჭირო; ურია დღით დუქნიდან არ გამოაგდებდა,—განა არ უნდოდა, რომ მეორეთაც შესულიყო,—ამას გარდა, დუქნის ძალლები პირს ულოკავდნენ და აღარც პირის ბანა იყო საჭირო.

ეს ერთად-ერთი დრო იყო, რომელსაც ბოვდური ეხლა რაღაცა ლოთური სიამოვნებით იხსენებდა. ნამდვილ და თავისი სიცოცხლის სრულ ბედნიერ დროთ ის დრო მიაჩნდა, რომელსაც ის გამუდმებულ სმაში, გაბრუებული და გალექილი ატარებდა. ყველაფერი ჰქონდა,—ან,—ეშმაკმა იცის,—იქნებ კიდეც აკლდა რამე, მაგრამ ღმერთმანი იმან მაგისი არა იცოდა-რა. არავითარი აზრი, არავითარი მოგონებანი, მხოლოდ ხმაურობა და ხმაურობა, თითქო თავში წისქვილის ქვა უტრია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსო... ტრრრ-რრ! და ყველაფერი: ხალხი, სახლები, ზეცა მზე და მთელი ქვეყნიერება—სულ გარშემო ტრიალებენ! ტررررررر! და ამის მეტი არაფერი, არც დედამიწაზე, არც ზეცაში, არსად არაფერი!..

— ახ, ნეტავი ერთი კიდევ გამომაცდევინა, ერთს დღეს მაინც, თუნდ ერთს წამსა, ღმერთო ჩემო!—ამოიოხრა ბოვდურ მა.—დავიწყებას მიეცემოდა კაცი და აქ კი ხელახლა იღვიძებს ყველაფერი, მოძრაობაში მოდის!.. აი ასე რომ იყოს: ვდგები დილით და თავს ბრუ მესხმის: ტررر-رر... თვალებში მებლანდება.. ვხედავ და ვერ ვცნობ კი, ვგრძნობ და კი არ მესმის, ვცოცხლობ და ეს მე თითონ კი არ ვიცი და ასე სულ მუდამ, მუდამ! რომ არცა ვსცა და მუდამ კი მთვრალი ვიყო, რომ სრულებით სრულებით გამოვთაყვანდებოდე!

— თუ არ იქნა ასე, მაშინ რა? გავიხსენებ წარსულს და თუ ცუდი რამ ჩამიდენია, უარესს ჩავიდენ! მეტი გზა არ არის... ან რათ ვეძებო? ბოლო დროს ერთს მაინც ვცდი და კარგათაც!.. ორმოცდა ათი გულდენი, ოც კრეიცერ ნაკლებ,—ღმერთმანი ღირსია... და ან რას დავკარგავ!

— მერე ჩემი სიყმაწვილე?—დაიკარგოს! ეკლის მეტი რა გამოუვლია! თვალიც დაუდგება.

— მერე ის ორნი?...—დაიკარგნონ! თავი დამანებეს! მიღალატეს—არა, მოგონებაც არ მინდა იმათი!

— იქნებ როდისმე გეშველოს?.. არა, იმედი ნუ გაქვს!—ტყუილი ნუგეშია! თვალიც დაუდგება იმ იმედებსა!

— მერე ეგ თითონ, —იქნებ დედა ჰყავს, მამა?.. მერე, მე რა? მე არცა მყავს და არცა მყოლია!

— იქნებ... ვისმე?.. ჰმ, მეკუთვნის კი რომ ამას მივაქციო ყურადღება...—მეც რა მენაღვლება? სხვას მისთხოვდეს—რა!

— იქნებ—აბა კიდევ რა? მეტი არაფერი!.. ოჰ, რა მტკივა, როგორ მეწვის, როგორა მტეხს! აქაც, აქაც, აქაც ყველგან, მთელი ტანი!..

შუაღამე გადასულიყო. ტუსაღებს მძიმეთ ეძინათ, თითქო ტივის ხეებს დაუტანიათო. ანდრიასაც ეძინა და ვერა გრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩუმათ წარმოთქმულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს, ვერ გრძნობდა და არც იცოდა საშინელი ტანჯვა მწუხარებისაგან გამხეცებულ და უკიდურესს განწირულებამდინ მიხწეულ ადამიანისა. და ვინ იცის, იქნებ ანდრიას რომ გაეგონა ეს სიტყვები, რომ ჩაჰფიქრებოდა იმ ტანჯვას,—იქნებ ერთი სიტყვით დაემშვიდებინა და აეცილებინა მისი საზარელი შედეგი. მაგრამ ანდრიას ამ დროს ტკბილათ ეძინა მიტროს გვერდით და ძილში თავისს, და არც თუ თავისს, განოს ეხვევოდა.

XI

ისევ დღეა, ხმაურობა, წყევა-კრულვა და დაცინვა, ისევ კარების ბრახუნი, ყვირილი, მუშაობა... ისევ მიდი-მოდის სატუსალოში ანდრია, ფერ მიხდილი და ავადმყოფი უჰაეროობის გამო. ხმელი ხველა სნეულ გულს უხუთავს და თავში აზრები ერევიან. საშინელს სიმძიმესა გრძნობს ტანში, თითქო შიგ ტყვია ჩაუსხამთო. ახ, ერთი მოსვენება, თავისუფლად მიწოლა მოწმენდილ ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე, სადმე ჩრდილში! მისი სიყვარულში გართული სიზმრები კრთებიან და ტყუილად ცდილობს მათს გახსენებას უწინდელი სიცხოველით. განოს სახეც კი არ უნდა, რომ თვალწინ წარმოუდგეს და დახუჭულ თვალებ წინ მხოლოთ ველური, მახინჯი სახენი ელანდებიან, გაწეწილი თმებით, პირ-დაუბანელნი, მუქრის თვალით. ანდრია დაწვა საწოლზე პირ-აღმა თვალებ გახელილი და მიაჩერდა ჭერს; თან ცდილობდა არაფერზე არ ეფიქრნა. მაგრამ აი ჭერი ამოძრავდა და ხან პატარავდება, ხან დიდდება, ირყევა და თან-და-თან მის გაჭვარტლულ ფიცრებზე ისევ ის საზიზღარი სახენი იხატებიან და ემუქრებიან, ჩამოდიან ძირს და თავ-პირში ჩაჰყურებენ. ანდრია წამოვარდა საწოლიდან და ხელ-ახლა დაიწყო სიარული.

— ნეტა ეს რა დამემართა? ეუბნება თავისს თავსა.— თითქო მოლანდებისა არა ვიცოდი-რა აქამდინა! ეხლა რათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამციებია ასე? ნუ თუ აღელვებამ ასე მომშალა? მაგრამ ძალიანაც რომ არა ვღელავ! ჰმ... ეს ვერაფერია!

ბოვდურიც წევს თავისს კუთხეში და ჰფიქრობს. აი, როცა ფულს ხელში ვიგდებ, კარგათ უნდა შევინახო, რომ არ მიმიგნონ და არ წამართვან. ან როგორ წამართმევენ, რომ არავის არ ეცოდინება? ან თავს მოვისულელებ, ან სხვას გამოვიგონებ რასმე, სულ ერთია ჩემთვის. მოვა დრო და თან ქეიფიც მოჰყვება. ოღონდ კარგა კი დავმალო სადმე და მერე ისეთი დრო გავატარო, რომ სულ ავინაზღაურო დანაკლისი! უპირველესად—პური, კარგი, თეთრი პური,—არა, ბულკი, ბევრი, ბევრი, რომ კარგათ გავძღე. ძეხვი, ხორცი ხომ სულ თავსაყრელი! მერე კი სასმელი,—ლუდი, ღვინო ბოთლობით! სულ ბოთლობით, ბოთლობით რომ თავში სულ მუდამ მიტრიალებდეს, რომ არაფერს არ ვფიქრობდე, არაფერი არ მახსენდებოდეს! იტრიალოს ყველაფერმა, იტრიალოს, მინამ ბოლო არ მომეღება! ბოლო კი რა არის? ერთი წამი! სულაც არ მეშინიან, ოღონდ იმ დროს კი თავში მიბჟუოდეს და მიტრიალებდეს. და თუ არა, ვნახავ მაინც, საშიშია თუ არა! სულ ერთია, ერთს დღეს არა ვარ დაბადებული!

— მაგრამ ის რომ ისე ყმაწვილია, ისეთი კეთილი? მოკრძალებით აძლევს პასუხს გულის სიღმრიდან რაღაცა გაუბედავი ხმა.

— ჩემ ჭირს!—მე კი ყმაწვილი არა ვარ? უპასუხებს მეორე ხმა. ეგ აქამდინ ბედნიერი იყო, ყოველ დღე იმდენ ბედნიერებას გრძნობდა, რამდენიც მე ჩემს სიცოცხლეში არ მიგრძვნია! ეს უსამართლობაა, უნდა შევიცვალნეთ!

— იქნებ ეგრე არ იყო? ხელ ახლა წასჩურჩულებს სადღაც სიღმეში მოკრძალებული ხმა.

— რათ, რათ აგვიანებ?—ხელ ახლა მოუჭრიდა სიტყვას ხმა მაღალი, უმთავრესი აზრი.

— იქნებ დედა ჰყავს, მამა?—ჭირი მომჭამონ! იმათაც გამოსცადონ, რა არის მწუხარება! მე ისინი არცა მყვანან და არცა მყოლიან და განა მე კი ადამიანი არა ვარ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საოცარია! ხმა-მაღალი, მთავარი აზრი ისე წყენით ცდილობდა ბოვდურის დამშვიდებას და გამაგრებას მისგან ამორჩეულ განზრახვაში, მაგრამ მაინც მთელი ტანით ცახცახებდა იმ დროს, როდესაც ანდრიას გვერდზე გაჰყურებდა და თან ხელში მაგრა უჭერდა რაღასაც, რაღასაც, რომლისაც თითონვე ეშინოდა და თან კი ისე უფრთხილდებოდა, როგორც თავისს თვალის ჩინსა.

— პური მშიან,—ბუზღუნებდა ბოვდური,—ლამის შიმშილით გადვიქცე! ეს მაგან, მაგ წყეულმა ამიტეხა შიმშილი თავისი პურით! თავს კი იკატუნებს, ვითომ კარგი და კეთილი ვარო! ვერა, ძამიავ, შენი სიკეთე ვერას გიშველის, ვერ მომატყუებ!..

კარი გაიღო და სატუსაღოში შემოჰყო თავი მოხუცმა პოლიციელმა კეთილი სახით.

— ბატონო ტემერა!—წარმოსთქვა მან ალერსიანათ.

ტემერა გამოერკვა. იმას მოეჩვენა, რომ ის ხმა იმისი მამის ხმა იყო, სწორეთ ის, რომელიც ანდრიას დიდი, დიდი ხანია, სიყმაწვილეში გაუგონია.

ანდრია მივიდა კარებთან და სახეში შეაცქერდა პოლიციელს, მაგრამ ვერაფრით ვერ იცნო

— რაო, ვერა მცნობთ? აბა, დიახაც,—თქვენ ჯერ პატარა იყავით, მე რომ ტერნოპოლიდან წავედი. მე და თქვენი განსვენებული მამა მეზობლები ვიყავით და ამასთან დიდი მეგობრებიც, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მაგრამ ეს რა დაგმართვნიათ? მე ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, როდესაც მითხრეს, რომ აქ ტემერა ზის ტერნოპოლიდანაო! ნეტა ვინ ტემერა მეთქი, ვფიქრობდი. ალბათ, შვილი იქნება მეთქი! საწყალი ბიჭი! მერე აქ როგორ ჩაგსვეს, ამ ბრბოში! მე კიდეცა ვსთხოვე ბატონ ინსპექტორს და ის დამპირდა, რომ ხვალიდან საყარაულოში იჯდებით, მე ვიქნები თქვენი თავდები.

ტემერამ მხურვალე მადლობა გადაუხადა მოხუცს, მაგრამ ამ სიტყვებზე ბოვდურის სახეს კი რაღაცა შიშის შეკრთომა დაეტყო, რომ აი ეს არის ეხლა ხელიდან გაუსხლტებოდა ის, რაც მას უკვე დიდი ხანია თავისს საკუთრებად მიაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ გინდათ რამე მოგიტანოთ საჭმელი, ან სასმელი? ეკითხებოდა მოხუცი — დღეს სალდათი არ არის, იმის მაგივრად გასაღები მე მაქვს და მე მოგიტანთ. მომითმინეთ, ეხლავ მოვალ, ჯერ კანცელარიაში უნდა შევიდე.

მოხუცმა კარი მიკეტა და გასწია კანცელარიისაკენ. ანდრიას გულზე მოეშვა, გამოცოცხლდა, როდესაც ეს გულწრფელი, მეგობრული სიტყვები გაიგონა, როდესაც გაიგო, რომ აქაც ყოფილა კეთილი სული და უნდა, რომ დაეხმაროს რითიც კი შეუძლიან. როგორ გაიხარა იმის გაგონებაზე, რომ ხვალ ამ სოროდან სრულებით გადიყვანდნენ; მგონი რომ ხვალ სრულებით გაანთავისუფლებენ. სინათლე, ჰაერი, აყვავებული ცოცხალი, ბუნება, ეს ყოველ დღიური საჩუქარი ღვთისა, რომელსაც ჩვეულებრივ კაცი არ აფასებს და არ ეშინიან იმის დაკარგვისა,—რა ძვირფასი, რა წარმტაცი იყო ამ ჟამად ანდრიასთვის!

— ბატონო!—თვისი უკმეხი ხმით გაუწყვიტა აზრები ანდრიას ბოვდურმა—უბრძანეთ, არაყი მოიტანოს მთელი კვარტი, რომ ორ იჯრად გვეყოს.

— განა შეიძლება კი აქ მოტანა?—ჰკითხა ანდრიამ

— რატომაც არა, მოხუცი მოიტანს!

ანდრია თითონ არ სვამდა არაყს, მაგრამ იცოდა, რომ დანარჩენ ტუსაღებისთვის დიდი დღესასწაული იქნებოდა თითო ჭიქის დალევა. ამიტომ სთხოვა მოხუცს, რომ მოეტანა არაყი, ძეხვი და კიდევ სხვა რამე საჭმელი. მოხუცი ჯერ ყოყმანობდა მთელი კვარტის მოტანაზე, მაგრამ როდესაც ანდრიამ დაარწმუნა, რომ თითონ უგდებდა ყურს, რომ ცოტა დაელიათ,—და ან რა იქნებოდა ცხრა სულზე ერთი კვარტი არაყი—მოხუცი დასთანხმდა და სურვილი აუსრულა.

შუა დღეა. ტუსაღები მხიარული მუსაიფით შემოუსხდნენ გარს მოტანილ არაყსა და საჭმელს. თვალები სიხარულით ჰქონდათ სავსე ამ დღესასწაულის გამო, რომელსაც დიდიხანია მოკლებულნი იყვნენ. ყველანი მადლობას უხდიდნენ ანდრიას ასეთი გულკეთილობისთვის. მხოლოთ ბოვდური იჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხესავით თავისს კუთხეში და მთელი დრო ბოთლს ადევნებდა თვალსა. ბოლოს წამოვარდა ზეზე, სწვდა ბოთლსა, ჩაბღუჯა ორივე ხელი, მიიდო პირთან და მოჰყვა სმას.

ჯერ ყველანი გაოცებით შესცქეროდნენ ბოვდურს და პატარა ხანს უკან-კი მისცვივდნენ წასართმევათ. მაგრამ ბოთლი ეგრე ადვილად ვერ იხსნეს იმის ხელიდან: თითქმის ნახევარ ბოთლის დაცლა მოასწრო ბოვდურმა.

—აი დაგწყევლოს ღმერთმა, მურტალო ნაბიჭვარო!—ლანძღავდა მას პანკო.—რატომ ჯერს არ უცდი, რას ეჩრები წინ ლორივითა?

— ა—ა!—შეჰყვირა სულ-შეხუთულმა ბოვდურმა,—ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს! ეს ძველებური იყო, ბორისლავული! რა ტკბილათ დამიარა ძარღვებში და თავში კი მიტრიალებს, ტრრრ...

ბოვდური სწვდა ძეხვის ნაჭერს, გადაისროლა პირში და ბარბაცით დაეცა უკან თავისს კუთხეში.

დიდხანს ხმაურობდნენ კიდევ ტუსაღები არაყის შექცევით, დიდხანს ჰკიცხავდნენ საძაგელ ბოვდურს. ის კი იწვა თავისთვის, თითქო არც კი ესმისო მათი ლაპარაკი, თვალებს აფარფატებდა და გულგრილად გაიყურებოდა წინ.

— მე დანა მქონდა სადღაც,—უცებ გაახსენდა ანდრიას და ჯიბეში მოიძებნა,—მაგრამ, ეტყობა, სადღაც დამკარგვია! პური ვერაფრით მომიჭრია და დანაც არაფრათა ღირს, მაგრამ უიმისოთ როგორღაც არ მეხერხება.

— მოსძებნეთ კარგათ, უთხრა პანკომ,—დანა ნემსი ხომ არ არის, ოთახში სად დაიკარგება.

მაგრამ დანა არსად იყო.

— აი ჩემი იხმარეთ და მერე მოვძებნოთ კარგათა,—უთხრა მიტრომ ანდრიას.— იქნება როდესაც თქვენ გეძინათ, თივის ლეიბის ნახვრეტში ჩავარდა. ჩვენ ეგეც გვემართება ხოლმე, აი ნახეთ რა ნახვრეტებიანი ლეიბია!

— ეგეც-კი მართალია,—უთხრა პანკომ,—მერე უნდა მოიძებნოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ტუსაღები პური-ჭამის დროს ისე გაერთნენ ლაპარაკით, რომ მერე დაიძინეს და დანა აღარავის გახსენებია. დაიძინა ბოვდურმაც, მხოლოთ ანდრია, რომელსაც არაყი არ უსვამს, დადიოდა სატუსაღოში, მთლათ ჯანზე მოსული იმის სიხარულით, რომ მალე გავიდოდა ამ საძაგელი ჯურღმულოდან.

— ეხ, ნეტავი ერთი მალე და სრულებით განვთავისუფლდებოდე! — წაიჩურჩულა ანდრიამ ამოოხვრით. — შევუდგებოდით ახალს შრომას, ახალ მიმართულებას და იქნებ გამოვიდეს რამე. მაგრამ კარგათ კი უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი, უნდა შევუერთდეთ, უბრალოთ არ უნდა დაიკარგოს არც დრო და არც ფულები! სწავლაა საჭირო, ბევრის სწავლა, მხოლოთ იმისი კი არა, რითაც ტვინი ეხშობათ გიმნაზიებში. საუბედუროთ, მხოლოთ ოდნავ დაეწაფა მეცნიერებას, მაგრამ რა გამაცოცხლებელს სიოს ჰბერავს! როგორ მიილტვის სული მისკენ! ნეტა თუ რისთვის არიან მისი წინააღმდეგნი, ზიზღით უყურებენ მის შედეგსა? იმიტომ რომ მეცნიერება იმ შედეგს საბოლოვო, უეჭვო ჭეშმარიტებათ არა სთვლის? ახ, ხალხისთვის ჯერ კიდევ საჭიროა ძალა, რომელიც მას მაღლიდან უკარნახებდეს: იქმნეს ამ გვარად! საჭიროა კიდევ კანონები, რომლებიც დაამკვიდრებენ სიბრძნის თავსა და ბოლოს, რომლის იქით სხვა ყველაფერი შემცდარი და მეტი იქნება!.. არა და არა, მალე მოელება ბოლო ძალის გაბატონებას! ყოველი მხრიდან დგებიან შეგნებულნი იმ კედლის შესარყევად, რომელიც ათასი წლობით ეყუდებოდა ხალხს თვალ წინა! ნეტავი მალე, მალე მაინც იყოს უკანასკნელი შერყევა! მალე, მალე თავისუფლება — ცხოველი, როგორც დღე, ფართო, როგორც სინათლე, რომელსაც მხოლოთ ბუნება და ძმური სიყვარული მიაჩნია!

— რა არის ჩვენი ჭიანჭველური მუშაობა ამ დიადი მიზნისათვის? რა არის მისთვის ჩვენი წვრილმანი ტანჯვანი, მთელი ჩვენი სიცოცხლე? იოტა — მთასთან შედარებით! მაგრამ მთაც ხომ იოტებიდან შესდგება. მაინც სასიხარულოა, რომ იოტის ოდენათ მაინც იყო სასარგებლო დიდებული საქმის წინ-წაწევაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე, ყველა ეს ჩვენი ფიქრები, ჩვენი ლტოლვილებანი რომ მხოლოთ ერთი დიდი შეცდომა იყოს, ისეთი, როგორიც ათასობით ქარიშხალივით დასტეხია თავს კაცობრიობას? იქნებ ჩვენი შრომა არაფრად არა ღირს? იქნებ სრულებით თუ არ გაგვყავს გზა, სადაც საჭიროა, ქალაქებს ვაშენებთ უდაბურ კუნძულზე? იქნებ მომავალმა თაობამ სულ სხვა გზა აირჩოის, ჩვენ გვერდი აგვიხვიოს, როგორც ძეგლს კაცობრიობის უნაყოფო ლტოლვილებისას უსარგებლო მიზნისადმი? ოხ, ასეთი ფიქრი გულს წიწკნის, ტვინსა ღრღნის! ვინ იცის, შესაძლებელია ასეც იყოს! ამ გვარ ბოლოსაც უნდა მოველოდეთ და როგორც კი ჩავხვდებით, რომ ჩვენი გზა არ ეთანხმება საერთო განვითარების ბუნებრივ კანონებს, კეთილისა და საზოგადო ბედნიერებისადმი კაცობრიობის მუდმივ ლტოლვილებას, — მაშინათვე უკან უნდა გამოვბრუნდეთ! ოღონდ კი გავთავისუფლდე! რაც შესაძლებელია, რომ გაკეთდეს — გავაკეთებთ. მხოლოდ სვინიდისიერი, გულწრფელი და გონიერი შრომა იყოს და სხვაზე არაფერზე არ არის საჭირო ზრუნვა!..

XII

ღალამდა. ტუსაღებს სძინავთ და მძიმეთ სუნთქვენ შეგუბებულს, მყრალს ჰაერს. ხანდისხან ერთს ან მეორეს აუტყდება ხანგრძლივი, ხმელი ხველება, გვერდს იცვლის, ღრმად ამოისუნთქავს, ან ძილში შეჰკივლებს. სატუსაღო ჩამობნელებულია, იმიტომ რომ გარეთაც მოღრუბლულია, შეხუთული ჰაერია და შორიდან ჭექა-ქუხილი მოისმის.

არა სძინავს მხოლოდ ბოვდურს. მის სულში უფრო სიბნელეა, ვიდრე სატუსაღოში. დიდი ხნის ტანჯვით მოქანცული, არაყით დახშული მისი აზრები აღარ დასცურვენ, მოგონებანი აღარ იძვრიან. ზის თავისს საწოლზე და ხელში ანდრიას გრძელ პირიანი დანა უჭირავს. დრო გამოშვებით ხელს უსვამს პირზე, თითქო შინჯავსო, საკმარისად ბასრი არის თუ არა. მთელი ტანი უთრთის რაღაც შიშის კანკალით და ზედ ცივს ოფლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასხამს. ელოდება, რომ გარეთ და სატუსაღოში სრულებით მისწყდეს ხმა, მოელის შუაღამეს.

— ჰქუხს...—ბუზღუნებს ბოვდური, — ქუხილის დროს უფრო ერევა ძილი კაცსა. მეც დავიძინებდი... ახ, რა კარგია დიდი ხნით, სამუდამოთ დაძინება!.. ვიღაც კი დაიძინებს დღეს აქ ამგვარი ძილით!

ეს მოულოდნელი ფრაზა მეტად ეჩოთირა ყურში ბოვდურს, შეკრთა და ჩაჩუმდა.

— ჰმ...—დაიწყო ისევ ერთი წამის შემდეგ, — რა ოხერია ეს სიტყვები! იტყვი ერთს რაიმე სულელურ სიტყვას და კაცი მთლად გაშეშდები, თითქო დიდი რამ ჩაგიდენიაო. რომ ჰფიქრობ, გგონია არაფერიაო, შეიძლება: თვალები უსიტყვოდ ყველაფერს საშინელს ეჩვევა და ყური კი მაშინათვე აბოროგდება!...

— კარგი ერთი და, ყველაფერი სისულელეა, ოღონდ კი ფული იყოს! რომ დაფიქრდები, ღმერთმანი, რა სულელები არიან ეს ადამიანები! აი ესეც, რამდენი ფული აქვს და იცის კი მათი ხეირიანად მოხმარება? იყიდის რასმე და თითონ კი არა სჭამს! მე ეგრე არ მოვიქცეოდი! მე ერთი კარგად წავიქეიფებდი! და კიდევაც წავიქეიფებ, ჩემმა მზემ, წავიქეიფებ! აბა იქნებ დროც არის!..

ბოვდური ადგა და ყური დაუგდო. ჯერ არა ესმოდა-რა მერე კი კიბეზე შექნეს ლაპარაკი პოლიციელმა ყარაულებმა.

— მერე,—ეკითხებოდა ერთი,—ცოცხალს ველარ მოუსწრეს იმ უბედურსა!

— ვერა, იმ წამს, როდესაც მისცვივდნენ—ჯერ ისევ თბილი იყო, მაგრამ რა გამოვიდა, ყელი სულ გამოეღადრა!

— ღმერთო,—ამბობდა მეორე,— როგორც სჩანს, მეორეთ მოსვლა გვიდგება! ისეთი საძაგელი ხალხი შეიქნა, რომ ერთი მეორეს არ ინდობს! აბა ღმერთი იყო იმაში! იმისთანა ახალგაზრდას...

ამ დროს დაჰქუხა და ბოვდურს ველარ მოესმა პოლიციელის უკანასკნელი სიტყვები. შიშის ზარმა აიტანა; მთლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიკრუნჩხა, კბილს კბილზე ველარ ადებდა, პოლიციელნი თითქო მიუხვდნენ განძრახვასო, აი საცაა მოვლენ და შეჰკრავენ... ბოვდურმა ულონოთ დაუშვა ხელები. დანა გაუვარდა და იატაკზე დაეცა. ფოლადის ხმამ ქუხილზე მეტად შეაშინა. მიჯდა კუთხეში, მოიძღარბა, დახუჭა თვალები და ყურებში თითები დაიცო, რომ არავითარი გარეგნული შთაბეჭდილება არ ეგრძნო. თვისდა უნებურად ძილი მიეპარა და ერთის წამით ჩასთვლიმა.

უცებ გამოერკვა და კინალამ არ შეჰღრიალა. მოესიზმრა, რომ სისხლის მდინარეში მისტოპავდა. აი, გაუფრთხილებლობით ღრმა მორევში ჩავარდა და ჩაინთქა სისხლში. თბილი, ადუღებული სისხლი ბოროტის დაცინვით სჩქეფს მის გარშემო და ედება მთელ ტანზე, ჩასდის პირში, თვალებში, უნდა რომ თავი იხსნას, მაგრამ გრძნობს, რომ სქელი სისხლი წებოსავით გაეკრა და შეუბოჭა მთელი ტანი. აქ გამოეღვიძა ბოვდურს.

— ახ, რა საზარელი სიზმარი იყო! გულიც კი შემიხუთა, ოფლში გავიწურე! მაგრამ სიზმარი რა არის?... ქარია!... აბა, დრო ხომ არ არის?..

ბოვდური ისევ ადგა და დიდხანს უგდებდა ყურს. არა ისმოდა-რა, მძინარეთა სუნთქვის მეტი. ბოვდური დაიკუზა და იატაკზე დანას დაუწყო ძებნა, მაგრამ უცებ გველ-ნაკბენივით ასწია ხელი მაღლა.

მოხუცებულ ურიის ყელზე მოუხვდა ხელი და თითებში იგრძნო, თუ რანაირად ცოცხლად სჩქეფდა სისხლი და უცემდა ყანყრატოს ძარღვი, თითქო მისი ხელის შეხებით აჩქროლებულაო.

— შენამც გაგხეთქია გული, მურტალო ურიავ!—აბუზღუნდა ბოვდური. —ისე შემეშინდა, თითქო ქვემძრომისთვის მომეკიდნოს ხელი. ფუი, ეშმაკო!

და ხელახლა დაიკუზა, მოსძებნა და იპოვნა დანა. შემდეგ ჩუმათ, ფეხ-აკრეფით მიიპარა იმ საწოლთან, რომელზედაც ანდრიას ეძინა. ჯერ ხელი მოუფათურა, მიტროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ არა სძინავს ჩახუტებულსაო, და რომ დარწმუნდა, რომ არ ეძინა იმასთან, თამამათ მოჰკიდა წელში ხელი ანდრიას, ასწია მაღლა, როგორც ბავშვი, და უხმოთ, მსუბუქათ დასდო იატაკზე.

— ასე სჯობიან აქ,—ბურტყუნებდა თავისთვის,—ფართხალს დაიწყებს და სხვები არ დააღვიძოს.

ანდრიას მაგრა ეძინა. მხოლოთ როდესაც სველს იატაკს თავით შეეხო, შეთრთოლდა და ძილში შეჰყვირა: ვანო, მიშველე!..

ბოვდურს ეგონა, რომ ანდრიამ გაიღვიძა და საჩქაროთ დააჭირა მუხლი მკერდზე, მარცხენა ხელი ყელში წაავლო და მარჯვენათი, რაც ღონე ჰქონდა, გაუსვა დანა. ანდრია აფრთხიალდა და შეჰყვირა, მაგრამ ხმა მაღლა კი ვერა, რადგან ყელში წაჭერილი ჰქონდა. სისხლი გადმოსკდა ბოვდურის ხელებზე. ბოვდურმა მეორეთ დაუქნია დანა, რაკი იგრძნო, რომ ანდრია ძალზე ფრთხიალებდა.

— ფული სადა გაქვს? მოიტა ფული? დასჩურჩულებდა ანდრიას თავზე.

— ოხ!—კვნესოდა ანდრია,—ფული... კანცელარიაში... წამარ.....

ანდრიამ ველარ დააბოლოვა. დანის პირმა იმ წუთს გადუჭრა ყანყრატო, გადუჭრა ხორცი თვით ძვლებამდინ. სისხლი უმეტესად გადმოსკდა, სხეულის მოძრაობამ თან-და-თან იკლო და ბოლოს სრულებით შესწყდა. ანდრია ტემერა გაჰქრა..

მერე, მისი აზრები, მისი იმედებიც მასთან ერთად გაჰქრნენ? —არა! ის აზრები—კაცობრიობაა და ანდრია, მათი მასათუთებელი, იყო მხოლოთ პატარა ნაწილი კაცობრიობისა. და კაცობრიობა მხოლოთ იმით სცოცხლობს, რომ ერთი მისი ნაწილები დრო გამოშვებით იღუპებიან და მათს ადგილს იჭერენ მეორენი....

ბოვდური კი იდგა ანდრიას წინ დაჩოქილი, როგორც მეხდაცემული. ფუ - ი კანცელარიაში წაურთმევიათ,—მაშ ტყუილათ გამოსჭრა ყელი ანდრიას! თითქო ეხლა აეხილა თვალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი... ეს რა ჩაიდინა? სიცოცხლე მოუსპო ამ ყმაწვილ არსებას! რა ჯადოქარმა შეიპყრო? დიდხანს ადგა თავს ბოვდური ანდრიას უსულო გვამს, თითქო ბურუსით მოცული, უაზროთ, გაუნძრევლად, თითქო თითონაც უსულო გვამად ქცეულაო. მარჯვენა ხელს ჯერ ისევ დანა ეჭირა, მარცხენა სისხლში სცურავდა და ნორჩს, თანდათან გაცივებულ ყელს უჭერდა..

უცებ ვიღასაც ცივი ხელი შეეხო ბოვდურის მხარსა და ყრუ, ნამძინარევის ხმით შეეკითხა:—შენ აქ რას აკეთებ, ბოვდურ?

ეს იყო სტებელსკი, რომელიც ანდრიას კვნესამ გამოაღვიძა. ბოვდურმა ხმა არ გასცა; ის არცა თრთოდა, არც ეშინოდა...

— აქ რას აკეთებ? ეკითხებოდა სტებელსკი და თან მის ტიტველა მხარში ჩაბღაუჭებული ბოვდურს აჯანჯღალებდა.

— რატომ არა გძინავს?

ეტყობოდა, რომ სტებელსკის სიტყვებმა და იმის ცივი ხელის შეხებამ ცოტაოდნათ გამოიყვანა ბოვდური გაშტერებიდან. ის შეინძრა, აიღო თავი მაღლა, მძიმედ ამოიოხრა და უთხრა დამშვიდებულის, თითქმის მხიარულის კილოთი, რომელშიაც სრულებით აღარ ისმოდა წინანდელი მხეცური სასტიკობა:

— მოიცა, რა კომედიასა ნახავ!

— რა კომედიას? —ჩუმათა ჰკითხა სტებელსკიმ.

— აი ნახავ.

ბოვდური ადგა, გადააბიჯა მიცვალებულს, მივიდა კარებთან და ორივე ხელებით, ჩაქუჩებივით, დაუწყო ბრახუნი კარებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ამ ხმა-მაღალმა და მოულოდნელმა ბრახუნმა გარეთ ქარიშხალის ხმაურობას დასძლია: ყველა ტუსაღები ფეხზე წამოვარდნენ.

— რა მოხდა? რა იყო? კითხულობდნენ ყველანი შეშინებულები.

— სადა ხართ? სადა? სად არის ბატონი ტემერა?—კითხულობდა მიტრო, როდესაც ანდრია თავისს გვერდით ველარ ნახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბოვდურს არ ესმოდა ეს ხმაურობა. ის იდგა კარებთან და რაც ძალი-და-ღონე ჰქონდა, ურტყამდა მუშტებით.

— გაგიჟდი თუ?—ეკითხებოდა პანკო.—რას აბრახუნებ, რა მოხდა?

— რაღაცა კომედია თურმე არის,—უპასუხა სტებელსკიმ, —მხოლოთ არ ვიცი, რაში მდგომარეობს.

საყარაულოდან ყვირილი და წყევლა მოისმა. ეს სალდათმა გამოიღვიძა, წამოავლო ფანარს ხელი და ისე, როგორც იყო პერანგა, გაექანა კარებისკენ.

— ვინ ეშმაკი აბრახუნებს?—ყვიროდა სალდათი.—შე კისერ მოსატეხო, აბა რა გინდა?

— გააღე!—დაუყვირა ბოვდურმა და თან ისევ აბრახუნებდა.

— არ გაჩერდები, შე ეშმაკის კერძო, შენა! გავაღებ, მაგრამ იცოდე, რომ ძალიან კი მოგხვდება!

— გააღე! გესმის თუ არა?—არ იშლიდა ბოვდური ყვირილს და ისეთი მუშტი ჩაჰკრა მიჭედილ ფანჯარას, რომ პირდა-პირ კედელს მიატყორცნა.

— ერთი უყურეთ ამ პირქუშსა!—ბრაზმორეული იძახდა სალდათი. დადგა ფანარი იატაკზე და გაბრაზებულმა დაუწყო კარებს გაღება, რადგან ბოვდური არ ეშვებოდა კიდევ ბრახუნს. მაგრამ გააღო თუ არა სალდათმა ოდნავ და დაიკუზა, რომ ფანარი აეღო, ბოვდური ეცა კარებს, გააღო ყურთამდე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩასთხლიშა მუშტი სალდათს თავპირში. სალდათი უკან გადიქცა და დაეცა იატაკზე, ფანარი კი ხელიდან გაუვარდა, დაიმსხვრა და გაქრა.

— შე ძაღლო, შენა, ხომ გეუბნები, გააღე მეთქი! არ გეჩქარება? მაშ აი ესეც შენ!—შელაპარაკებდა ბოვდური და კარი გაღებული ეჭირა.

— მიშველეთ! მიშველეთ! მომკლეს!—დაიღრიალა სალდათმა. მოცვივდნენ პოლიციელნი ფანრებით.

— აი შე წყეულო, ბოვდურო! აქ რას აკეთებ? შეჰყვირეს იმათ ერთხმათ და მივარდნენ ბოვდურსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი კარგი ვაჭამე ამ ღორსა! — უპასუხა ბოვდურმა დამშვიდებით. — პატარა მარჯვედ გაინძრეს!

პოლიციელნი ეცნენ ბოვდურს, მაგრამ ის ერთის გადახტომით მიემალა მათ სატუსაღოში. პოლიციელნი გამოეკიდნენ ფანრებით. მაგრამ მოედო თუ არა სატუსაღოს იატაკს დიდი ხნის უნახავი სინათლე — პოლიციელნი სახტად დარჩნენ და უნებურად შეჰკივლეს. შუა სატუსაღოში იდო და სისხლიდან იცლებოდა ანდრიას გვამი და მის გვერდით დაჩოქილი ბოვდური ხელებს ივლებდა იმის სისხლში.

— ღმერთო ძლიერო, ეს რა ამბავია!? — გადმოსკდათ ყველას ერთბაშად გულიდან.

— ეს მე ჩავიდინე, მე, — ეუბნებოდა კრიჭა-მოჭერილი ბოვდური. — არა გჯერათ? აი დანა, ნახეთ, იმისი საკუთარია!..

— მერე რისთვის მოჰკალ, ავაზაკო? — ჰკითხა პანკომ.

მაგრამ ბოვდურმა პასუხი არ მისცა ამ კითხვაზე, თითქო არ გაუგონიაო, ან არ ესმის, რას ეკითხებიანო. ის დაჩოქილი ადგა თავს ანდრიას და ჩასცქეროდა იმის მკრთალს, სიკვდილის შემდეგაც ჯერ ისევ მშვენიერს სახეს. და საკვირველი ცვლილება ხდებოდა ბოვდურში. მისი საკუთარი პირის-ნაკვთნი თითქო სცხრებოდნენ, მშვიდდებოდნენ... თვალებმა დაჰკარგეს ფუტურო ხისნაირი ბზინვა... დალვრემილი, ავი სახის ნაოჭნი ეშლებოდნენ. თითქო ადამიანის სული ხელახლა ედგმეოდა ამ სხეულს, რომელიც აქამდინ რაღაც ეშმაკის, რაღაც მხეცის სულის ბუნაგს შეადგენდა. და უეცრად ნაკადულივით წასკდა ბოვდურს ცრემლები თვალთაგან... დაეცა თავით ანდრიას სისხლში შესვრილ სახეზე და გულმწვავად შექნა ქვითინი.

— ძმობილო ჩემო! რა გიყავი ეს! რისთვის მოგისპე სიცოცხლე! წმიდა. ნათელო სულო, მაპატივე მე მხეცსა! რა ჩავიდინე, რა ჩავიდინე! ღმერთო, ეს რა ჩავიდინე!...

ერთს წამს მთლად გონებიდან გამოსულები შესცქეროდნენ ტუსაღები და პოლიციელნი ამ ზარ დამცემ სურათს და ისმენდნენ ბოვდურის მოთქმას. მაგრამ მალე მოვიდნენ გონს ცოტაოდნად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, შეემზადე!—მიუბრუნდნენ ბოვდურსა.—აქ შენ ადგილი აღარა გაქვს. დროა ახალ სასახლეში გადაბრძანდე. ეხლა ტირილის დრო აღარ არის!

ბოვდურმა აიღო თვალები მაღლა და გულ-მოსულმა ტანჯულის სახით შეხედა იმათ.

— წყეულიმც იყავით, ჯალათნო! უთხრა ბოვდურმა.— უყურეთ, და თან ხელი დაადო ანდრიას პირ-გაპობილ ჭრილობას, ისე რომ ხელის გულით ორად ჰყოფდა,—უყურეთ, აი ეს ჩემი ნახევარია, და ეს თქვენი! ეს ჩემია, ეს თქვენი! ნუ შიშობთ, აქ ორივესას მე გადავიხდი, მაგრამ იქ კი ღმერთია, სამართლიანი, ის გაარჩევს კარგათ, რომელია ჩემი ნახევარი და რომელია თქვენი!....

რკინის ბორკილებმა დაიჩხრიალეს და ბოვდურმა უწინაალმდეგოთ შეაბოჭინა ფეხები. ამავე დროს ტუსაღები პირჯვარს იწერდნენ და ლოცვებს ამბობდნენ მიცვალებულის თავზე; მხოლოთ მიტრო სტიროდა კუთხეში. სტებელსკი იჯდა თავისს ჩვეულებრივ ადგილზე, სდუმდა, სდუმდა და ბოლოს თითქო არა თავისს ხმით წარმოსთქვა:

Quidnam domino? Diem supremum obiisti? *)

რომ ვერ მიიღო ამის პასუხი, სტებელსკი მიბრუნდა ბოვდურისკენ და მასზე თითის ჩვენებით წარმოსთქვა!

— Pereat homo, crescat humanitas! **)

მაგრამ რადგან ვერავის ვერ შეამჩნია სახეზე ვერც ქება და ვერც სამდურავი თვის ბრძნული სიტყვებისა, სტებელსკიმ კედლისკენ იქცია პირი და დაწვა დასაძინებლათ.

ნ. ეიფეანისა.

---

*) მოკვდა ბატონი?

**) დაე დაღუპოს კაცი, მხოლოთ იზარდოს კაცობრიობამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«ხალხის მტერი»

ანუ

ექიმი შტოკმანი

(ფუო-მოქმედებიანი დრამა ჰენრიხ იბსენისა*)

მოქმედება მეხუთე.

(ექიმ შტოკმანის კაბინეტი. კედლის გასწვრივ თაროებია წიგნებით და შკაფები სხა-და-სხვა კოლექციებით. უკანა კედლებში კარებია, რომელიც დერეფანში გადის; მარცხენა კარები სასტუმრო ოთახში გადის. მარჯვნივ ორი ფანჯარა—შუშებ ჩამტვრეულია. შუაში საწერი მაგიდა სდგას წიგნებით და ქაღალდებით სავსე. ოთახი არეულ-დარეულია. დილაა. ექიმი შლაფროკშია, ფეხებზე ტუფლები აცვია და თავზედ ფესი ჰხურავს. დაიკუზება და შკაფის ქვეშ ქოლგით რადაცას ეძებს, ბოლოს ქვას გამოგორებს).

ექ. შტოკმ. (სასტუმროსკენ მიბრუნდება) კატო, უყურე ერთი კიდევ ვიპოვნე!

ქ. შტოკმ. (სასტუმროდგან) კიდეი ბევრს იპოვნი, ნუ გეშინიან.

ექ. შტოკმ. (მიუმატებს მაგიდაზედ დახრილ ქვებს) ამ ქვებს, როგორც ძვირფასს რასმეს, ისე შევინახავ, ეილიფი და მორტენი ყოველდღე ნახვენ ხოლმე და როცა

*) იხ. „მოამბის“ მე-VII №-რი 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიზრდებიან, ეს მათი სამკვიდრო იქნება (წიგნების თახჩის ქვეშ ეძებს) ის, რა ჰქვიან? ეჰ დასწყევლოს ღმერთმა! —გოგო... მოსამსახურე მეშუშესთან არ წასულა ჯერა?

ქ. შტოკმ. (შემოდის) როგორ არა, იყო, მაგრამ მეშუშეს შე მოუთვლია, არ ვიცი დღეს მოვახერხებ მოსვლას, თუ არაო.

ექ. შტოკმ. აი, შენ ნახავ, კატო, ისიც კი ვერ გაჰბედავს მოსვლას.

ქ. შტოკმ. მართლა, რანდინა ამბობს, როგორც ეტყობოდა, მეზობლებისა ეშინოდაო (სასტუმროს კარებისაკენ მიბრუნდება). რა გინდა, რანდინა? კარგი, ეხლავ! (გადის და იმ წუთსვე დაბრუნდება) წერილია შენთან, ტომას.

ექ. შტოკმ. ვნახოთ (გახსნის და ჩაიკითხულობს) აა!..

ქ. შტოკმ. რა იყო! ვისგან არის?

ექ. შტოკმ. ჩვენი სახლის პატრონისაგან გახლავს. გვითვლის, სახლი დამიცალეთო.

ქ. შ ოკმ. მართლა? მე-კი რა პატიოსანი კაცი მეგონა.

ექ. შტოკმ. (წერილს გადათვალიერებს) მე თითონ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სხვაფრივ მოქცევა არ შემიძლიან, —მოქალაქეებს და საზოგადო აზრს ვერ ვუღალატებო. მე თითონ დამოკიდებული ვარ და ზოგიერთა გავლენიან პირთა წინააღმდეგობას ვერ გავბედავო.

ქ. შტოკმ. ნახე, ტომას.

ექ. შტოკმ. კარგი, კარგი, მე მშვენივრადა ვხედავ ყველაფერს. თავიდან ბოლომდის სულ ლაჩრები ყოფილან სუყველანი; ვერც ერთს მათგანს ვერ გაუბედნია ისე მოიქცეს, როგორც თითონ სურს და ის ჩაიდინოს, რასაც თავისივე გონება და გული ეუბნება. (დაგდებს წერილს მაგიდაზედ) მაგრამ ჩვენთვის ხომ სულ ერთია, კატო. ჩვენ მალე ამოვყოფთ თავს ამერიკაში და მაშინ ხომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. შტოკმ. მერე დარწმუნებული ხარ, ტომას, რომ წასვლა უსათუოდ საჭიროა?

ექ. შტოკმ. მაშ როგორ გგონია, კატო? ნუ თუ კიდევ შეიძლება ჩემი აქ დარჩენა, როდესაც თავს ლაფი დამასხეს, საჯაროთ ხალხის მტერი მიწოდეს და ფანჯრები ჩამილეწეს? აბა შეხედე, ჩემი ერთად-ერთი გამოსასვლელი ტანისამოსი ზედ შემომაგლიჯეს.

ქ. შტოკმ. ღმერთო, მერე ეგ საუკეთესოგანი იყო მთელს შენს ტანთსაცმელებში.

ექ. შტოკმ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ, როდესაც თავისუფლების და სიმართლის დასაცველად მიდიხარ, საუკეთესო ტანთსაცმელი არ უნდა ჩაიცვა. მე შარვალი კი არ მენანება, შენ ყოველთვის მოახერხებ იმის დაკერებას, სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ იმ საძაგელმა, გამხეცებულმა ხალხმა თავისს თანასწორად გამხადა და როგორც თავისს ტოლს, შემახო ხელი. აი, ამას კი ვერ დავივიწყებ ვერასოდეს!

ქ. შტოკმ. მართალია, ტომას, საზიზღრათ კი მოგექცნენ, მაგრამ განა ეგ მიზეზია, საკმარისი საბუთია, რომ ქალაქს ზურგი შეაქციო და სხვაგან გადასახლდე?

ექ. შტოკმ. შენა გგონია პლებეები სხვაგანაც ეგრევე საზიზღრები არ არიან, როგორც აქა? სცდები, ჩემო ძვირფასო, სცდები; ეგენი ყველგან და ყოველთვის ერთნი არიან. მაგრამ მაგას რა უშავს, დეე ძაღლებმა იყეფონ—ეგ კიდევ დიდი უბედურება არ არის, უბედურება ის არის, რომ აქ, ამ ქვეყანაში ყველა თავისი პარტიის ყურმოჭრილი ყმა და მონაა. სუყველას თავისი საკუთარი ჭკუა და გონება დაუხშვია და რაღაც საზოგადოების აზრს უცქერის თვალში. შესაძლებელია სხვაგანაც, სხვა ქალაქებშიაც ამაზედ კარგა არ იყოს მოწყობილი ცხოვრება; შეერთებული უმეტესობა, განათლებული საზოგადო აზრი და ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარი სისაძაგლე იქაც ისევე მეფობენ, როგორც აქა, მაგრამ იქ ცხოვრების პირობები უფრო გაფართოებულნი არიან, იქ შეიძლება კაცი მოჰკლან, მაგრამ დღითი-დღე წამებას კი არ იკადრებენ, ქედს არ მოგახრევინებენ და უღელს არ დაგადგამენ, როგორც აქა; თავისუფლებას, ამ ერთად-ერთს განძს ადამიანისას, თავისდღეში არ შეგიხუთავენ ისე, როგორც აქ, ჩვენს სამშობლოში! ამასთან, თუ გასჭირდა, იქ თავისუფლად შეგიძლიან განზედ დაიჭირო თავი (ოთახში სიარულს დაიწყებს, ჩაფიქრებული). რომ შეიძლებოდეს სადმე სამხრეთ ოკეანეში იაფ-ფასად შეიძინოს კაცმა პატარა, ადამიანისაგან ხელ-უხლებელი კუნძული, ან ისეთი უვალი ტყე, რომ ცოცხალი ადამიანი არ მოიპოვებოდეს...

ქ. შტოკმ. მერე ბავშვები, ტომას?

ექ. შტოკმ. (გაჩერდება) რა საკვირველი ადამიანი ხარ, კატო! ნუ თუ ამისთანა გახრწნილს და ყოველის მხრით დაცემულ საზოგადოებაში არჩევდი შვილების აღზრდას, ვიდრე ტყეში ან მივარდნილ კუნძულზედ? განა გუშინ ვერ დარწმუნდი, რომ მთელი ნახევარი ქალაქის მცხოვრებლებისა შეშლილნი არიან და თუ დანარჩენებს ჯერ სრულიად არ დაუკარგავთ გონება, ეგ მარტო იმიტომ, რომ ისინი სულელები არიან და სჯა არ შეუძლიანთ?

ქ. შტოკმ. რა არის, ჩემო მეგობარო, მეტის-მეტად გაუფთხილებლივ ლაპარაკობ!

ექ. შტოკმ. მერე რა არის, განა ტყულს ვამბობ? განა სიკეთეც და ბოროტებაც ერთად არა აქვთ აქაურებს გადარეული? განა სიმართლეს სიცრუეს არ ეძახიან და სიცრუეს—სიმართლესა? მაგრამ ყველაზედ საცინელი ის არის, რომ დიდი და პატარა ერთმანეთს ატყუილებენ—ჩვენც ლიბერალები ვართ და ჩვენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიბრძვით თავისუფლებისათვისაო! როგორ მოგწონს ეს, კატო, ჰა?

ქ. შტოკმ. მართალია, ეგ დიდი სისულელეა, მაგრამ... (სასტუმრო ოთახში შემოდის პეტრა) რავქნა, ასე ადრე რად დაბრუნებულხარ, პეტრა?

პეტრა. ნება-უნებურად დაბრუნდებოდი, როცა დაგითხოვდნენ ადგილიდან.

ქ. შტოკმ. ადგილიდან დაგითხოვეს?

ეკ. შტოკმ. შენცა?

პეტრა. ქ. ბუსკმა სიტყვა გადამიკრა და მე თითონ ვარჩიე, იმ წუთსვე თავი დამენებებინა ადგილისთვის.

ეკ. შტოკმ. ძალიან კარგი გიქნია, ჩემო ძვირფასო!

ქ. შტოკმ. ვინ იფიქრებდა, თუ ქ. ბუსკი მაგისთანა საძაგელი ქალი გამოდგებოდა.

პეტრა. მაგას რად ამბობ, დედავ, ბუსკი სრულიადაც არ არის საძაგელი ადამიანი. მე კარგათ შევატყე, რომ თითონვე წუხდა, როცა ამას მეუბნებოდა; მაგრამ, როგორც თითონვე სთქვა „მე ვერ გავბედავ თქვენს დატოვებასაო", აი რად დავკარგე ადგილი.

ეკ. შტოკმ. (სიცილით და ხელების ფშვნეტით). სხვანაირად მოქცევას ვერ გავბედავო, ჰა? ერთი სიტყვით, როგორც ყველანი რაღა? ოო, მშვენიერია, მშვენიერი!

ქ. შტოკმ. რა საკვირველია მერე იმის შემდეგ, რაც გუშინ მოხდა...

პეტრა. მარტო იმისთვის არა, სხვა მიზეზიც იყო. აბა თუ მიხვდები, მამა, რისთვის დამითხოვეს?

ეკ. შტოკმ. რისთვის?

პეტრა. ქ. ბუსკმა სამი თუ ოთხი წერილი მაჩვენა, რომელნიც დღეს დილით მიეღო.

ეკ. შტოკმ. რასაკვირველია, სუყველანი უსახელონი იქნებოდნენ?

პეტრა. ჰო, უსახელონი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. ხა, ხა, ხა! ხელის მოწერაც კი ვერ გაუბედნიათ! ოო, საზიზღრებო!

ბეტრა. ორ წერილში იწერებოდნენ—ერთმა ინტელიგენტმა, რომელიც ბოლოს დროს ხშირად დაიარებოდა ექიმის ოჯახშიო, გუშინ კლუბში გამოაცხადა, რომ თქვენ მასწავლებელ ქალს ისეთი მოწინავე აზრები აქვს ზოგიერთი საგნის შესახებაო, რომ...

ექ. შტოკმ. შენ, რასაკვირველია, უარს არა ჰყოფდი!

ბეტრა. უარს რად ვიტყოდი? ხომ იცი, ქ. ბუსკი თითონაც ლიბერალურ მიმართულებისაა და არც მალავს ამას, როცა მარტონი დავრჩებით ხოლმე; მაგრამ ეხლა კი, როცა მითქმა-მოთქმა დაიწყო ჩემზედ, საწყალმა ჩემი დატოვება ველარ გაბედა, თუმცა სწუხდა კი ძალიან.

ქ. შტოკმ. იმას უთქვამს, ვინც ხშირი სტუმარი ყოფილა ჩვენი! ნახე, ტომას,—აი შენი სტუმართ-მოყვარეობის შედეგი!

ექ. შტოკმ. არა, აღარ შეიძლება; აღარ შეგვიძლიან ჩვენ ამ საღორეში ცხოვრება! ჩაალაგე ყველაფერი, კატო, რაც მალე წავალთ, ის უფრო უკეთესია.

ქ. შტოკმ. დაიცა, ფეხის ხმა მესმის!.. აბა ერთი გახედე, პეტრა!

ბეტრა (კარებს გაღებს). აა, თქვენა ხართ, გორსტერ? მობრძანდით, მობრძანდით!

გორსტერი (დერეფნიდან). დილა მშვიდობისა! მე შემოვიარე, რომ გამეგო, ხომ სუყველანი კარგათა ხართ?

ექ. შტოკმ. (ხელს ჩამოართმევს) გმადლობთ! ეგ თქვენ პატიოსნებას ჰმოწმობს, გორსტერ!

ქ. შტოკმ. თქვენს ამაგს ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ. გუშინ თქვენ რომ არ გამოგეცილებინეთ...

ბეტრა. თქვენ როგორღა დაბრუნდით უკან?

გორსტერი. ძალიან მშვენიერად! მე, ჯერ ერთი—ლონე საკმარისი მაქვს და მეორეც—ის ვაჟბატონები უფრო მეტს იყეფებიან, ვიდრე ჰკბენენ კაცსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. განა, რომ საზიზღარი ლაჩრები არიან? მოდით რა განახვოთ. აი, ამ ქვებს ისროდნენ გუშინ ფანჯრებში და ამითი უნდოდათ ჩემი მოკვლა. შეხედეთ ერთი! ამოდენა ხროვაში ორი ქვა თუ მოიძებნება ცოტა მოზრდილი, თორემ დანარჩენები სულ კენჭები არიან. აქ კი, ფანჯრის ძირში იდგნენ და ღრიალებდნენ, ჰფიცულობდნენ, რომ მოგკლავთ და ზღვაში გადაგაგდებთო. მაგრამ იმას კი, რომ ვინმემ განახორციელოს თავისი სიტყვა, ამ ქალაქში ვერ ნახავ, ვერსად.

გორსტერი. ამ შემთხვევაში კი თქვენ ეგ გერჩივნათ, ექიმო.

ექ. შტოკმ. რასაკვირველია; მაგრამ მაინც საწყენია, რადგან აქედან ნათლადას ჩანს, რომ თუ საქმე როდისმე ნამდვილ ბრძოლამდინ მივიდა, ეს ნაქები შეერთებული უმეტესობა შეფრთხება და ცხვრის ფარასავით გაიფანტება. აი, ეს არის საწყენი და სავალალო; ეს მიკლავს მე სულს და გულს მიხუთავს. დასწყევლოს ღმერთმა, სისულელე-კია ჩემის მხრით, რომ კიდევ მაინც მონაწილეობას ვიღებ მაგათ ცხოვრებაში და თავს ვიწუხებ. მაგათ ხომ ხალხის მტერი მიწოდეს და მაშ კარგი, მე მართლა გადავიქცევი ხალხის მტრად.

ქ. შტოკმ. შენ მაგას ვერ იზამ, ტომას!

ექ. შტოკმ. ტყუილადა გგონია შენ ეგრე, კატო. საწყენი სიტყვა ადამიანზედ ისე მოქმედობს, როგორც ფილტვებზედ გაკაწრვა. მერე ისეთი სიტყვა! ოო, დასწყევლოს ღმერთმა, ჯერაც არ დამვიწყებია! ღრმათ ჩამესო გულში და მოსვენებას აღარ მაძლევს!..

შეტრა. რას ლაპარაკობ, მამა! შენ იმათი დაცინვა თუ შეგფერის მარტო და არა ეგრეთი თავის შეწუხება!

გორსტერი. გულს ნუ გაიტეხთ, საზოგადო აზრი კიდევ გამოიცვლება, ექიმო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. შტოკმ. რასაკვირველია; ეგ ისევე მართალია, ტომას, როგორც ისა, რომ შენ ამ ჟამად ამ ადგილზე ჰდგეხარ.

ექ. შტოკმ. შესაძლებელია. მაგრამ გამოიცვლება მაშინ, როცა გვიან-ღა იქნება. რავქნა, დეე ასრულდეს იმათი ნება! ისხდნენ ამ აყროლებულ ჭაობში და ნამდვილი პატრიოტის დაკარგვა იტირონ. როდის დაიძვრის თქვენი გემი, გორსტერ?

გორსტერი. ჰმ... სწორედ მაგაზედ მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება—იმიტომ შემოვიარე...

ექ. შტოკმ. რა, გემს ხომ არა დაემართა-რა?

გორსტერი. არა, გემს კი არაფერი დაჰმართვნია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მე იმ გემს ველარ გავყვები.

პეტრა. ნუ თუ ადგილიდან დაგითხოვეს?

გორსტერი (დიმიდით). დიალ, დამითხოვეს.

პეტრა. თქვენც დაგითხოვეს, ჰა?

ქ. შტოკმ. ჰხედავ, ტომას!

ექ. შტოკმ. და ისიც სიმართლის სახელით, არა? რომ მცოდნოდა, თუ ეგრე გათავდებოდა საქმე...

გორსტერი. თუ ღმერთი გწამთ, ნუ შესწუხდებით. ადგილს მე სხვა გემზედაც კარგათ ვიშოვნი.

ექ. შტოკმ. მერე ვინ ჩაიდინა ეგა? ვინ? ვიკმა, რომელსაც შავი ჭირის მეტი არა აკლია-რა და, რასაკვირველია, არც არავისაგან არის დამოკიდებული! ოო, დასწყევლოს ღმერთმა!...

გორსტერი. მაგას ნუ იტყვით, ბ. ექიმო! ვიკი მეტად პატიოსანი კაცია, მაგრამ რა ჰქნას, თითონვე ამბობს, მე არ დაგითხოვდით, მაგრამ ვერ გავბედავო.

ექ. შტოკმ. ჰო, რასაკვირველია, ვერ გაჰბედავდა.

გორსტერი. ეს ადვილი არ არისო, ამბობს, როცა იმ პარტიას ეკუთვნი, რომელიც...

ექ. შტოკმ. ჰა, საქმეც ეგ არის—ვიკს აშკარად გამოუხატავს, რაშიაც მდგომარეობს საქმე! პარტია ხორცის საკეპავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანას წააგავს— ის ყოველნაირ ტვინს დომხალივით გადარევს და უფორმო, უაზრო საგნათ აქცევს ხოლმე; კიდეც იმიტომაა, რომ ირგვლივ ან სულ ცალიერს თავებსა ჰხედავთ, ან არა და— რაღაც ნაგვით გამოტენილებსა.

ექ. შტოკმ. კარგი, ტომას, გეყოფა!

ბეტრა (გორსტერს მიუბრუნდება). თქვენ რომ ჩვენ არ გამოგეცილებინეთ, იქნება ეგ არც კი მოგსვლოდათ.

გორსტერი. მე სრულიადაც არა ვნანობ...

ბეტრა (ხელს გაუწოდებს). გმადლობთ, გორსტერ, გმადლობთ!

გორსტერი (ექიმს). თუ მართლა გადაწყვეტილი გაქვთ საზღვარ-გარედ წასვლა, მე სხვა ხერხი მოვიგონე...

ექ. შტოკმ. ოო, როგორც უნდა იყოს, ოღონც მოვშორდე აქაურობას.

ქ. შტოკმ. ტს! თითქოს აკაკუნებენ.

ბეტრა. ბიძა ჩემი იქნება უეჭველად.

ექ. შტოკმ. აჰა! (უძახის) მობრძანდით!

ქ. შტოკმ. ტომას, სიტყვა მომეცი, რომ...

(დერეფნიდან ბურგომისტრი შემოდის)

ბურგ. (კარებში) თქვენ, როგორცა ვხედავ, თავისუფალი არა ჰყოფილხართ—ისევ სჯობია მერე შემოვიარო.

ექ. შტოკმ. არა, არა, მოდი!

ბურგ. მოვალ კი, მაგრამ მე პირადათ შენთანა მქონდა მოსალაპარაკებელი.

ქ. შტოკმ. ჩვენ სასტუმროში გავალთ.

გორსტერი. მაშ მე წავალ და პატარა ხანს უკან ისევ შემოვივლი.

ექ. შტოკმ. არა, არა, ცოტა ხანს კიდევ დარჩით ქალებთან. ჩემთვის ზოგიერთა ცნობებია საჭირო.

გორსტერი. კარგი, მაშ მოვიცდი.

(ქ. შტოკმანისას და ბეტრას გაჰყვება სასტუმრო ოთახში. ბურგ. გაჩუმებულია და ფანჯარას ათვალიერებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. რა, სიცივისა ხომ არ გეშინიან? თუ გინდა, დაბ-ხურე ქუდი.

ბურგ. თუ ნებას მომცემ, დიდი მადლობელი ვიქნები (ქუდს დაიხურავს). მგონი, გუშინ საღამოს გავცივდი—ისე მციოდა, რომ მთელის ტანითა ვცახცახებდი.

ექ. შტოკმ. მართლა? მე-კი ძალიანა მთბილოდა-და!

ბურგ. მე ძალიანა ვსწუხვარ, რომ იმ საძაგლობის წინააღ მდეგ ზომები ვერ მივიღე თავისს დროზედ.

ექ. შტოკმ. მეტი სათქმელი არაფერი გაქვს?

ბურგ. (დიდს კონკურტს ამოიღებს) აბანოების დირექციამ დამავალა ეს დოკუმენტები გადმომეცა შენთვის.

ექ. შტოკმ. რა, ადგილიდგან დამითხოვეს?

ბურგ. დღეიდან. (კონკურტს მაგიდაზედ დასდებს) ძალიანა ვწუხვართ, მაგრამ რას იზამ, შენ რომ ადგილზედ დარ-ჩენილიყავ, ხალხი რას იტყოდა? სწორე გითხრა—ვერ გავბედეთ.

ექ. შტოკმ. (დიმიდით) ვერ გაბედეთ, ჰა? ეგ სიტყვა მე დღეს პირველად არ მესმის!

ბურგ. გთხოვ ეხლა კარგათ გაითვალისწინო შენი მდგო მარეობა. დღეის იქით, იმედი მაქვს, პრაქტიკის იმე-დი აღარ გექნება.

ექ. შტოკმ. პრაქტიკა წყალმა წაიღოს, მაგრამ ერთი ეს მით-ხარი—ეგრე რამ დაგარწმუნა, რომ პრაქტიკა სამუ-დამოთ დავკარგე ჩვენს ქალაქში?

ბურგ. მესაკუთრეთა ასოციაცია ყველა ოჯახში წერილსა ჰგზავნის, სადაც წინადადებას აძლევს—ხალხის მტრად ცნობილი ექიმი შტოკმანი, რაც უნდა გიჭირდეთ, აღარავინ მიიწვიოთო. მე დარწმუნებული ვარ, მესა-კუთრეთა ასოციაციას ვერც ერთი მოქალაქე ვერ ეტყვის უარს. უფრო კარგათ ვსთქვათ, ვერც კი გაბ-ედავს უარის თქმას.

ექ. შტოკმ. კარგი, კარგი, მაგაში მეც არა მაქვს ეჭვი, მაგ-რამ შენ რა? შენ რა გინდა ჩემგან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურგ. მე გირჩევ წახვიდე სადმე და დროებით აქაურობას მოშორდე.

ექ. შტოკმ. მაგას უშენოთაც ვაპირებდი.

ბურგ. ჰო და კარგი და მშვენიერი! ასე, ნახევარი წლის შემდეგ-კი, თუ ვინიცობაა კარგი ფიქრის შემდეგ გასტყდი და რამდენიმე სიტყვით მაინც მოიხადე ბოდიში...

ექ. შტოკმ. ადგილს დამიბრუნებთ, ჰა?

ბურგ. შესაძლებელია.

ექ. შტოკმ. მერე საზოგადების აზრი და თქვენი უმეტესობა? იმათ წინააღმდეგობას რომ ვერ გაჰბედავთ?

ბურგ. საზოგადოების აზრი კიდევ გამოიცვლება, მაგრამ პირადათ შენგან ბოდიშის მოხდა ჩვენთვის მეტად საჭიროა მაინც.

ექ. შტოკმ. მაშ წადი და ეგ იმედები ყინულზედ დასწერე! შენ გახსოვს, მელიას გაიძვერობაზედ რომ გელაპარაკებოდი?

ბურგ. მაშინ სულ სხვა საქმე იყო! მაშინ დარწმუნებული იყავი, რომ მთელს ქალაქს შენი მხარე ეჭირა.

ექ. შტოკმ. მართალია, ეხლა კიდევ მთელი ქალაქი ჩემი წინააღმდეგია (გაბრაზებული). არა, არა და არა, თუნდაც ხალხი კი არა, ჩემს წინააღმდეგ თვით ტარტაროზიც კი აღდგეს მთელი თავისი ეშმაკებით. არა სოდეს მეთქი, გეუბნები... არასოდეს!

ბურგ. ოჯახისა და წვრილშვილის პატრონს ნება არა აქვს, რომ ეგრე მოიქცეს. შენ უფლება არა გაქვს, ტომას.

ექ. შტოკმ. მე არ მაქვს უფლება? ქვეყნიერობაზედ მხოლოდ ერთი რამეა, რის უფლებაც არასოდეს არ ეძლევა არც ერთს თავისუფალ მოქალაქეს! მერე იცი, ეს რა არის?

ბურგ. არა!

ექ. შტოკმ. ჰო, რასაკვრელია, რომ არ გეცოდინება. მაგრამ მე გეტყვი—თავისუფალ კაცს უფლება არა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლორსავით წუმპეში ჰგორაობდეს და ისე იქცეოდეს, რომ მერმე თავისივე განაფურთხის ლოკვა სჭირდებოდეს.

ბურგ. ეგ ყველაფერი კარგი იქნებოდა, რომ შენს ჯიუტობას სხვა მიზეზი არა ჰქონოდა...

ექ. შტოკმ. რა მიზეზი, რას ამბობ?

ბურგ. შენ კარგათ იცი, რაზედაც გელაპარაკები! მე, როგორც უფროსი ძმა და დამჯდარი ხასიათის კაცი, გაგაფრთხილებ—შენ იმედებს ძალიან ნუ ენდობი, თორემ შეიძლება შესცდე...

ექ. შტოკმ. რა იმედებიო, რას ლაპარაკობ?

ბურგ. ახლა შენ გინდა დამარწმუნო, რომ მორტენ კილის ანდერძის არსებობაზე არაფერი იცი, ჰა?

ექ. შტოკმ. მე ვიცი, რომ ის ერთი ბეწო ფული, რაცა აქვს, ხნიერ და დაავადებულ ხელოსნებს უნდა დაურიგდეს, მაგრამ ეგ რა ჩემი საქმეა?

ბურგ. დავიწყოთ ჯერ იქიდან, რომ ის „ერთი ბეწო ფული", როგორც შენ ამბობ, კაი დიდ სიმდიდრეს შეადგენს.

ექ. შტოკმ. მაგაზედ არც მიფიქრია ჩემს დღეში და, რასაკვირველია, არც ვიცოდი.

ბურგ. ჰოო? მაშ შენ არც ის გეცოდინება, რომ უმთავრესი ნაწილი ამ სიმდიდრისა შენი შვილებისათვის არის გადადებული და, რასაკვირველია, ამ ფულის სარგებელს შენა და შენი ცოლი აიღებთ? განა მორტენს შენთვის არაფერი უთქვამს?

ექ. შტოკმ. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ არაფერი. ის კი ვიცი, რომ ყოველი ხარჯის მომატებაზედ მორტენი საშინელ ბუზღუნს დაიწყებდა ხოლმე და სულ სიღარიბეზე სჩიოდა. პეტრე, თუ ღმერთი გწამს, მართალი მითხარი—დარწმუნებული ხარ მაგაში, რასაც ამბობ?

ბურგ. ეს ნამდვილი წყაროებიდანა მაქვს შეტყობილი და, რასაკვირველია, არც ეჭვი მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. ოო, გმადლობ შენ ღმერთო! მაშ ცოლ შვილი შიმშილით არ დამეხოცებიან? მოიცა ერთი, კატოს ვახარო... (უძახის) კატო, კატო!

ბურგ. (დაიჭერს) ტს! დაიცა, ჯერ ნუ ეტყვი.

ექ. შტოკმ. (კარებს შეშალდებს) რა იყო, ტომას, რად მიძახდი?

ექ. შტოკმ. არაფერი, არაფერი, ჩემო ძვირფასო; ცოტა ხანი კიდევ დაგვტოვე მარტოთ (ექ. შტოკმანისა კარებს გაიხურავს. ექ. ოთახში სიარულს დაიწყებს) ეხლა კი ოჯახზედ ზრუნვა ხელს ვეღარ შემიშლის! ო, ღმერთო, რა ბედნიერებაა, როცა ხვალინდელის დღისა აღარ გეშინიან და შენს საქმეს თავისუფლად მიეცემი.

ბურგ. კარგი კია, მაგრამ დაიცა, ეს კითხვა სამუდამოთ ხომ არ არის გადაწყვეტილი! მორტენ კილს ხვალვე შეუძლიან ანდერძის გამოცვლა.

ექ. შტოკმ. შეძლებით კი შეუძლიან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაგას არ ჩაიდენს. მორტენ კილს ძალიან მოსწონს ჩემი შენთან და შენს პარტიასთან შეტაკება!..

ბურგ. (შეშფოთებული, ეჭვის თვალით უყურებს) ჰაა! ეხლა კი მესმის, რაშიაც ყოფილა საქმე.

ექ. შტოკმ. რა საქმე?

ბურგ. მაშ მთელი ეს ისტორია თურმე უსინდისო ქსელების გასაბმელად ყოფილა შეთხზული, ჰა? შენი სიმართლისა და ჭეშმარიტების სახელით გამკლავება აგერ თურმე სად ჰპოულობდა თავისს ძალას. მორტენ კილის ანდერძი გაფრთოვანებდა განა?

ექ. შტოკმ. (განცვიფრებული) პეტრე... შენისთანა უსინდისო და უზნეო პლებეი მე ჯერ არ შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში!

ბურგ. კმარა, დღეიდან ჩვენში გათავებულია ყველა შენი ადგილი სამუდამოთ არის შენთვის დაკარგული. ეხლა კი გვექნება შენ წინააღმდეგ იარაღი (მიდის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. ოო, სირცხვილო! სირცხვილო! (უძახის) კატო, კატო, ამ საათში მოსამსახურეს დაუძახე და უთხარი იატაკი გარეცხოს, რომ მაგის ფეხის მტვერიც კი არ იყოს ჩემ სახლში! ო, სირცხვილო, სირცხვილო!

ქ. შტოკმ. (სასტუმროდან გამოვა, კარებში სდგას) ტომას, დამშვიდდი, დამშვიდდი, გენაცვა.

ბეტრა (ისიც კარებში). მამა, პაპას შენთან შემოსვლა უნდა და შეიძლება?

ექ. შტოკმ. რასაკვირველია, შეიძლება (კარებში) მობრძანდით! (შემოდის მორტენ კილი, ექ. კარებს მიხურავს) რა იყო, რაშია საქმე? დაბრძანდით!

მორტენ კილი. არ დავჯდები. (აქეთ-იქით იეურება) რა კარგათა ხართ დღეს მოწყობილი!

ექ. შტოკმ. თქვენც ხომ ატყობთ?

მორტენ კილი. დიალ, ძალიან კარგათა ხართ მოწყობილი, ძალიან; მერე რამდენი სუფთა ჰაერია თქვენს ოთახში. უსათუოდ სინიდისიც დაუჩლუნგებელი გექნებათ დღესა.

ექ. შტოკმ. თქვენ არა სცდებით.

მორტენ კილი. ჰო, რასაკვირველია. (გულზედ ხელს იკრავს) მაგრამ იცით, ექიმო, აქ რა მაქვს მე?

ექ. შტოკმ. უსათუოდ, ისეთივე სუფთა სინიდისი, როგორც მე.

მ. კილი. ხე, ხე, ხე! არა! უფრო ძვირფასი რამ, უფრო ძვირფასი!

(ამოიდებს დიდ ბორტმანს და ქადალდებს ჩვენებს).

ექ. შტოკმ. (გაკვირვებული ეეურებს) როგორ, ჩვენი აბანოების აქციები?

მ. კილი. დღეს მათი შოვნა ძნელი არ იყო.

ექ. შტოკმ. როგორ? იყიდეთ?

მ. კილი. რაც კი ფული მქონდა, სულ ამაში დავხარჯე.

ექ. შტოკმ. არ მესმის... რად გინდოდათ მერე? ხომ იცოდით, რომ ეხლა აბანოების საქმე საშინელ ცუდ მდგომარეობაშია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კილი. ეგ თქვენზეა დამოკიდებული. თუ ისე მოიქცევით თქვენ, როგორც შეჰფერის ყველა გონიერ კაცს, აბანოების საქმე მალე გასწორდება.

ეჭ. შტოკმ. ხომ თქვენ თითონ ჰხედავთ, რომ მე ყოველ ღონესა ვხმარობ საქმის შესასწორებლად, მაგრამ მთელი ქალაქი ჭკუაზედ შეშლილა!

მ. კილი. გუშინ ამბობდით, ვითომ ეს უსუფთაობა ჩემი დაბახანიდან სწარმოებდეს. ეგ თუ მართალია, მაშ მე, ჩემი მამა, პაპა სუყველანი დამნაშავენი ვყოფილვართ წყლის მოწამლვაში და ქკეყნის დაღუპვაში მეც წილი მდებია, რასაკვირველია. თქვენ გგონიათ, მე მოვითმენ მაგ შერცხვენას?

ეჭ. შტოკმ საუბედუროთ, თქვენი გამართლება შეუძლებელია.

მ. კილი. მე ჩემი პატიოსანი სახელის დაცვა მინდა. მე კარგათ ვიცი, რომ არავის ვუყვარვარ და ზოგნი ღორსაც მიძახიან, მაგრამ მე მინდა იმათ დავუმტკიცო, რომ სცდებიან. მე პატიოსან კაცად ვიცხოვრებ და პატიოსან კაცადვე მოვკვდები!

ეჭ. შტოკმ. მერე, როგორ გინდათ თავის გამართლება?

მ. კილი. თქვენ უნდა გამამართლოთ, შტოკმან, მარტო თქვენ!

ეჭ. შტოკმ. მე?

მ. კილი. იცით, ეს აქციები რა ფულით ვიყიდე? მაგრამ თქვენ საიდან გეცოდინებათ!? მე გეტყვით: ეს აქციები იმ ფულით ვიყიდე, რომელიც ჩემ სიკვდილის შემდეგ თქვენ ცოლსა და თქვენ შვილებს უნდა მიეღოთ ანდერძით. როგორც ჰხედავთ, მე ცოტა ფული არ მომიგროვებია.

ეჭ. შტოკმ. (გაჯავრებული) მერე კატოს ფულით იყიდეთ ეგ აქციები?

მ. კილი. დიახ, მთელი ის თანხა ეხლა აქციებშია მოთავსებული. თუ არ დაიშლით და ისევ გაიმეორებთ, რომ ის რაღაც მწერებია მორტენ კილის დაბახანიდან გამოდიან წყალშია, თქვენ ცოლსა და შვილებს თქვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე დაჰლუპავთ. ამას, იმედი მაქვს, არც ერთი ჭკუათა-მყოფელი კაცი არ ჩაიდენს.

ეჭ. შტოკმ. (აღელვებული დადის ოთახში) ჰო, მაგრამ მე სწორედ ჭკუათა მყოფელი კაცი არ გახლავარ, დიაღ, მე ისეთი უგონო კაცი ვარ, რომელიც ფულის გულილისათვის არ გაისყიდება არასოდეს!

მ. კილი. არა მგონია, რომ თქვენ ისევ ეგრე უგონოთ მოიქცეთ, როცა თქვენი ცოლისა და შვილის ბედ-ილბალი თქვენზედ და თქვენ საქციელზედ იქნება დამოკიდებული.

ეჭ. შტოკმ. (მივა და მ. კილის წინ გაჩერდება) რატომ ჯერ მე არ მომელაპარაკეთ და ისე არ იყიდეთ ეგ საძაგლობა?

მ. კილი. ეხლა გვიან-ღაა მაგაზედ ლაპარაკი, რაც მოხდა, მოხდა!

ეჭ. შტოკმ. (აღელვებული დადის ოთახში) დარწმუნებული რომ არ ვიყო, კიდევ ჰო, მაგრამ რა ვქნა, რომ ერთი ბეწო ეჭვიც კი არა მაქვს!

მ. კილი (იდებს ჰორტმანს). თუ გაჯიუტდებით, ეს ქალალდები გადასაყრელი გამიხდება, რასაკვირველია.

(ჰორტმანს ჯიბეში ჩაიდებს).

ეჭ. შტოკმ. დასწყევლოს ეშმაკმა, ნუ თუ მეცნიერებას არ შეუძლიან რამე ზომა გამოიგონოს, რამე ხერხი ილონოს იმათ წინააღმდეგ?

მ. კილი. რა, გაწყვეტას უპირებთ იმ მწერებს?

ეჭ. შტოკმ. ჰო. ან არა და როგორმე მავნებლობა რომ წაერთმეოდეს.

მ. კილი. არ შეიძლება რამეთი მოსწამლოთ?

ეჭ. შტოკმ. არა, ეგ სისულელეა! მაგრამ... ხომ ყველანი ამბობენ, წყლის მოწამლვა მხოლოდ ფანტაზიაა ე ქიმისაო? მაშ დეე ეგრე იყვეს! ხომ მაინც საქვეყნოდ მეძახდნენ „ხალხის მტეროო“. მეც გავჩუმდები ეხლა და ამითი მართლა ხალხის მტრად გადავიქცევი. გუშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მათგანი მზათ იყო ნაკუწ-ნაკუწად ვექციე და გადავეგდე ზღვაში.

მ. კილი. ფანჯრებიც ჩაგიმტვრიეს!

ექ. შტოკმ. ამასთანავე ოჯახისადმი მოვალეობა... იცით, რაგითხრათ? მოდით, ჯერ კატოს მოველაპარაკები— ამისთანა შემთხვევებში კატო ძალიან გონიერი ადამიანია.

მ. კილი. კარგი და მშვენიერი! მე თქვენ გირჩევთ, რასაც ცოლი გირჩევთ, უეჭველად აასრულოთ.

ექ. შტოკმ. (მიუახლოვდება) მე მაინც მიკვირს, მაგ უგონო საქმისთვის როგორ გაიმეტეთ მაგოდენი ფული? ეხლა რომ გიყურებთ, ასე მგონია, ჩემ გამოსაცდელად თვით ეშმაკი მოსულა ადამიანის სახით მეთქი...

მ. კილი. თუ ეგრეა, მაშ მშვიდობით! მაგრამ იცოდეთ ჩემთვის გადაჭრილი სიტყვაა საჭირო—ან ჰო, ან არა, თუ „არა“ მაშინ ეს აქციები დღესვე საქველმოქმედო საზოგადოებას გადაეცემა.

ექ. შტოკმ. კატოს რაღა მერე?

მ. კილი. არც ერთი გროში! (დერეფნის კარები გიიღება და შემოდიან გოფსტადი და ასლაკსენი). აჰა, ერთი ამ ვაჟბატონებს შეხედეთ!

ექ. შტოკმ. (განცვიფრებული უყურებს) როგორ, ამათ ჩემთან მოსვლა კიდევ გაჰბედეს?

გოფსტადი. დიაღ, ჩვენ თქვენთან გიახელით.

ასლაკსენი. ცოტა რამე მოსალაპარაკებელი გვაქვს თქვენთან.

მ. კილი. (ნახევარ ხმით) ჰო თუ არა—შუადღის ორ საათამდინ.

ასლაკსენი (გადახედავს გოფსტადს და თვალით მ. კილზედ უჩვენებს). ჰხედავთ?..

(მორტენ კილი გადის).

ექ. შტოკმ. რა გნებავთ? ორი სიტყვით მითხარით.

გოფსტადი. მე მესმის, რასაკვირველია, რომ გუშინდელი ჩვენი საქციელით თქვენ არ შეგიძლიანთ კმაყოფილი იყოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. თქვენი საქციელით? დიაღ, ერთის სიტყვით, თქვენის მხრით მშვენიერი ქცევა იყო! სილაჩრე და სიმხდალე დიაცისა!.. მერე რომ არც კი გრცხვენიანთ?

გოფსტადი. ჩვენს საქციელს რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ეს კი იცოდეთ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო სხვაფრივ მოვქცეულიყავით.

ექ. შტოკმ. ვერ გაჰბედავდით, რასაკვირველია, არა?

გოფსტადი. სწორედ, თუ გნებავთ...

ასლაკსენი. მერე ვისი ბრალია, რატომ წინდაწინვე არ შეგვატყობინეთ, რაშიაც იყო საქმე? თქვე დალოცვილო, სიტყვა მაინც გადაგეკრათ ან ჩემთვის, ან გოფსტადისთვის.

ექ. შტოკმ. სიტყვა გადაგეკრაო? რაზედ უნდა გადამეკრა სიტყვა, რას ამბობთ?

ასლაკსენი (ეშმაკურად ჩაიცინებს). თქვენ მშვენივრად გესმით, ბ. ექიმო.

გოფსტადი. ეხლა მაინც რაღა დასამალია?

ექ. შტოკმ. (ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს). რას ნიშნავს ყველა ეს? გამაგებინეთ ჩქარა!

ასლაკსენი. მოითმინეთ, ჯერ ერთი ეს მითხარით—თქვენი სიმამრი დღეს მთელ ქალაქში არ დადის და აბანოების აქციებს არა ჰყიდულობს?

ექ. შტოკმ. მართალია, დღეს აქციები უყიდნია, მაგრამ...

ასლაკსენი. ეგ საქმე რომ უცხო კაცისთვის მიგენდოთ, ის უფრო უმჯობესი იქნებოდა.

გოფსტადი. გარდა ამისა, თქვენ თითონაც არ უნდა ჩარეულიყავით ამ საქმეში. ერთ კაცსაც კი არ უნდა სცოდნოდა, რომ აბანოების წინააღმდეგ თქვენა ხართ გამოსული საქმეში. ჩემთვის მოგემართათ, მე დაგარიგებდით ჯეროვანად და გასწავლიდით, როგორა კეთდება მაგისთანა საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. (გაკვირვებული იყურება. ეტყობა, თან-და-თან ჭსვდება ამ საიდუმლოს) ნუ თუ ეს შესაძლებელია?..

ასლაკსენი (დიმიდით). რასაკვირველია, რომ შესაძლებელია; მხოლოდ ეს არის, რომ მაგისთანა საქმეს დიდის სიფთხილით უნდა იწყებდეს კაცი.

გოფსტადი. ამასთანავე მარტო თავისს თავს არ უნდა ენდოს კაცი, თანამოზიარე უეჭველად უნდა ჰყავდეს. სხვა რომ არა იყოს-რა, პასუხის მგებლობა მაინც გაზიარდება.

ექ. შტოკმ. (დაბშვიდებული) ორი სიტყვით მითხარით, თქვენ რა გინდათ ეხლა ჩემგან?

ასლაკსენი. აი, გოფსტადი უფრო კარგათ აგიხსნით..

გოფსტადი. არა, — ისევ თქვენ უთხარით, ასლაკსენ..

ასლაკსენი. აი რაშია საქმე, ბ ექიმო! — ეხლა როცა გავიგეთ, რაშიაც მდგომარეობს საქმე, ჩვენ გავბედავთ და დაგითმობთ „სახალხო მოამბეს“.

ექ. შტოკმ. გაჰბედავთ, ჰა? მერე საზოგადოების აზრი? განა არ გეშინიათ, რომ თქვენს წინააღმდეგ მთელი ალიაქოთი ასტყდეს?

გოფსტადი. როგორც იქნება, მაგ ალიაქოთსაც მოვინელებთ!

ასლაკსენი. თქვენ კი დრო აღარ უნდა დაჰკარგოთ. ჩვენ აბანოებზედ იერიშს მივიტანთ და გასჭრის თუ არა ეს ხერხი, თქვენ...

ექ. შტოკმ. ჩვენ, მე და ჩემმა სიმამრმა თითქმის უფასოდ შევიძინოთ აბანოების აქციები, ჰა? ამის თქმა გინდათ განა?

გოფსტადი. რასაკვირველია; თქვენ ხომ მეცნიერების გულისთვის გინდათ ამ აბანოების ხელში ჩაგდება?

ექ. შტოკმ. ოო, რასაკვირველია; მეცნიერების გულისთვისვე მოვიწვიე ბებერი მორტენ კილი! მერე მილებს შევასწორებთ ცოტათი, მაგდენათვე ზღვის ნაპირებსაც, რასაკვირველია, ისე კი, რომ ქალაქს ერთი გრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც არ დაუჯდეს და გაიჩარხება საქმე! არა, ხომ საკმარისი იქნება ეს?

გოფსტადი. მე მგონია, საკმარისი იქნება, თუ „სახალხო მოამ ბემაც“ მხარი დაგიჭირათ.

ასლაკსენი. თავისუფალ საზოგადოებაში პრესასას დიდი მნიშვნელობა აქვს, ექიმო!

ექ. შტოკმ. მე ეჭვიც არა მაქვს; საზოგადო აზრსაც, რასაკვირველია. თქვენ, ბ. ასლაკსენ, უსათუოდ მესაკუთრეთა ასოციაციას დაუდგებით თავდებათ, არა?

ასლაკსენი. დიდის სიამოვნებით. იმათი ნდობა თავისუფლად შეგიძლიანთ.

ექ. შტოკმ. კარგი, მაგრამ... მე, ღმერთმანი, მრცხვენიან ამ საგანზედ ლაპარაკისა... კარგი იქნებოდა გავრიგებულვიყავით... თქვენ სასყიდელს ითხოვთ, რასაკვირველია?

გოფსტადი. უსასყიდლოდაც დიდის სიამოვნებით დაგიჭერდით მხარს, მაგრამ, მგონი, თქვენც მოგეხსენებათ ჩვენი გაზეთის მდგომარეობა... მე ძალიან მეწყინებოდა, რომ მისი გამოცემის შეწყვეტა სწორედ ეხლა დამჭირებოდა, როცა ამდენი პოლიტიკური კითხვებია აღძრული პრესსაში და თავისს განმარტვას თხოულობენ...

ექ. შტოკმ. რასაკვირველია, ეგ დიდი უბედურება იქნებოდა ქვეყნისა და თქვენსავით ხალხის კეთილის მსურველთათვის (გაჯავრებული). მაგრამ მე, — მტერი ვარ ხალხისა! (დადის გაშმაგებული სად არის ჩემი ჯოხი? სად არის მეთქი ჩემი ჯოხი? (ეძებს).

გოფსტადი. ნუ თუ თქვენ...

ასლაკსენი. იმედი მაქვს, თქვენ ცუდს არაფერს იკადრებთ...

ექ. შტოკმ. (მივა ახლო და გაჩერდება) მაშინ რაღას იზამთ, რომ ჩემი აქციებიდან მე ერთი გროშიც არ გადმოგიგდოთ? ნუ დაივიწყებთ ჩვენ, მდიდრებს, ფულის ფლანგვა ეგრე რიგათ არ გვიყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოფსტადი. თქვენც ნუ დაივიწყებთ, რომ აქციების საქმე ორნაირად შეიძლება აიხსნას...

ექ. შტოკმ. მართალია, თქვენ ყველაფერს იკადრებთ. მე თუ „სახალხო მოამბეს“ არ შევეწიე, თქვენ სულ სხვა ნაირად ახსნით ამ საქმეს და როგორც სანადიროთ გამოსული ძაღლები აღარ მოასვენებენ ხოლმე ბუჩქიდან ერთხელ გამოვარდნილ კურდღელს, ისე თქვენც მე არ მომასვენებთ.

გოფსტადი. ეგ ბუნების კანონი გახლავთ,— თვითარსებობისათვის პირუტყვნიც კი იბრძვიან.

ასლაკსენი. და საცა საზრდოს დაინახავენ, იქვე დაუფიქრებლივ სარგებლობენ.

ექ. შტოკმ. მაშ წადით და ეგ საზრდო სადმე სანაგვეებში და ორმოებში ეძებეთ (დადის). წადით მეთქი გეუბნებით, თორემ ეხლავე გაგაგებინებთ ვინ არის უფრო ძლიერი მხეცი ჩვენში! (წვიმის ქოდგას იბჯენის და მიუქნევს) დამეკარგენით მეთქი თვალიდან, თორემ, ღმ რთმანი, არ ვიცი რას ვიზამ.

გოფსტადი. ეს ხომ შეურაცხებაა!

ასლაკსენი. ფრთხილად, ბ. ექიმო...

ექ. შტოკმ. გადახტით ამ საათში ფანჯარაში, გადახტით მეთქი, თქვენ გეუბნებით, ბ. გოფსტად!

გოფსტადი. (დერეფნის კარებს მივარდება). ჭკუაზედ ხომ არ შეიშალეთ?..

ექ. შტოკმ. გადახტით ფანჯარაში, ბ. ასლაკსენ! გადახტით მეთქი გეუბნებით! ჩქარა! ჩქარა, თორემ!

ასლაკსენი. (სწერ მაგიდას ურბენს კარშემოდ). დაფიქრდით, რას სჩადით, ექიმო. მე სუსტი კაცი ვარ, სად შემიძლიან მაგეების ატანა! (ჩუმირის) მიშველეთ, მიშველეთ!

(ქ. შტოკმ., პეტრა და გორსტერი სასტუმრო ოთახიდან გამოცვივდებიან).

ქ. შტოკმ. ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია... ტომას, რა იყო, რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. (ქოლგას მოუქნევს) გადახტით მეთქი თქვენ გეუ ბნებით!

გოფსტადი ბ. გორსტერ, თქვენ მოწამე იყავით. ამ შეურაცხებისათვის ჩვენ არაფერი მიზეზი არ მიგვიცია. (გავარდება დერეფანში .

ასლაგსენი (მეტად აღელვებული). გზები მაინც ვიცოდე ამ ოხერ სახლში! (სასტუმრო კარებში გახტება)

ქ. შტოკმ. (ექიმს აჩერებს) დაფიქრდი, ტომას, რას სჩადი!..

ექ. შტოკმ. (ქოლგას დაუგდებს) უჰ! მაინც გამექცნენ?

ქ. შტოკმ. რაო, რა გიყვეს?

ექ. შტკომ. მერე გეტყვი. უჰ! დაიცა, სხვა საქმე მაქვს ეხლა (საწერ მაგიდასთან მივა და სადარბაზო ფურცელზედ რაღასაც დასწერს). აბა წაიკითხე, კატო, რა სწერია!

ქ. შტოკმ. მსხვილი ასოებით სამჯერ ერა – რას ნიშნავს ესა?

ექ. შტოკმ. მაგასაც მერე აგიხსნი (გაუწოდებს სადარბაზო ფურცელს) პეტრა, გადაეცი მოსამსახურეს და უთხარი, რაც შეიძლება, მალე მიურბენინოს მორტენ კილს. აბა ჩქარა! (პეტრა გამოართმევს და გადის დერეფანში).

ექ. შტოკმ. ეხლა კი გადავრჩი, მე მგონი, ჩემ შესაცდენათ მოვლენილ ეშმაკებს. ეხლა კი გავლესავ ჩემი კალმის წვერს, გავლესავ ისე, რომ მახათად იქცეს, შხამში და ნაღველში ამოვაწებ და გავუმწარებ იმათ სიცოცხლეს. მარტო წერით კი არა, საწერელს ვესვრი მე იმათ თავში, საწერელს!

ქ. შტოკმ. როდის-ღა, როცა წავალთ?

(პეტრა დაბრუნდება).

ექ. შტოკმ. რა?

პეტრა. გავგზავნე.

ექ. შტოკმ. გარგი. რაიო, როცა წავალთო? არა, აქ დავრჩები, კატო, აქ.

პეტრა. როგორ, ალარ მივდივართ?

ქ. შტოკმ. აქ, ამ ქალაქში ვრჩებით კიდევ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექ. შტოკმ. დიაღ, აქა ვრჩებით. ბრძოლის ასპარეზი აქ არის და რაკი ერთხელ გამოველი საბრძოლველად, უკან დახევა აღარ შეიძლება. აქ, ამ ქალაქშივე უნდა გავიმარჯვო მეც და ჩემთან ერთად სიმართლემაც! ტანთსაცმელს დამიკერებ თუ არა, სახლის საძებნელად წავალ—მაშ შუა ზამთარში ქუჩაში ხომ ვერ ვიცხოვრებთ?

გორსტერი. სახლის ძებნა აღარ დაგჭირდებათ, რადგან მე დიდის სიამოვნებით დაგითმობთ ჩემ სახლს.

ექ. შტოკმ. მართლა?

გორსტერი. რა გასაკვირველია? მე, ჯერ ერთი, ადგილი ბევრი მაქვს და მეორეც—თითქმის ნახევარჯერ შინ არა ვარ ხოლმე.

ქ. შტოკმ. რა კეთილი რამა ხართ, გორსტერ.

პეტრ. გმადლობთ.

ექ. შტოკმ (ხელს ჩამოართმევს). გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო მეგობარო! ეს ერთი დარდიც მოვიშორე, მაშ დღესვე შევუდგები მუშაობას. ოჰ, რომ იცოდე, კატო, რამდენი სამუშაოა აქა! კიდევ კარგი, რომ თავისუფალი დრო ბევრი მექნება—საკმსახური ხომ დავკარგე და!

ქ. შტოკმ. (ამოიხვრებს) მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ეგრე გათავდებოდა საქმე.

ექ. შტოკმ. ეხლა პრაქტიკის წართმევაც უნდათ. წამართვან, არა უშავს-რა! ღარიბებს ხომ ვერ წამართმევენ, იმ ღარიბებს, რომელთაც, არამც თუ ექიმისათვის, საჭმელი ფულიც კი არა აქვთ ხოლმე, აი სწორედ იმათა სჭირიათ ჩემი შველა და იმათ კი ვერ წამართმევენ. მე ჩემ ქადაგებას არ შევსწყვიტავ და, გეფიცებით, კიდევ ბევრჯერ მოვაგონებ ჩემ თავს.

ქ. შტოკმ. შენი ქადაგებებიდან რაც გამოდის, ხომ კარგათ დაინახე!..

ექ. შტოკმ. შენ მგონი დამცინი, კატო! მაშ როგორ გინდა? საზოგადო აზრს, შეერთებულ უმეტესობას და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკებს და ტარტაროზებს ხომ ვერ დავუთმობ ბრძოლის ველს? არა, მაგას ვერ ვიზამ, მით უმეტესად, რომ ჩემი მიზანი მეტად ცხადია, უბრალო და პატიოსანი. მე მხოლოდ ის მინდა ჩავაგონო იმ მხეცებს, რომ თავისუფალ საზოგადოების უპირველესი მტრები ლიბერალები არიან, რომ სხვა-და-სხვა პარტიების პროგრამმები ყოველ სიცოცხლით სავსე ჭეშმარიტებას და მცნებას ბოლოს უღებენ და ცხოვრებას საზიზღრად ჰქმიან. როგორა გგონიათ, ბ. გორსტერ, ამას ვერ დავამტკიცებ?

გორსტერი. შეიძლება დაუმტკიცოთ; სწორედ გითხრათ, მე არც კი მესმის ეგ კითხვები.

ექ. შტოკმ. მაშ ყური დამიგდეთ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სხვა-და-სხვა პარტიების მეთაურებისაგან განვთავისუფლდეთ, რადგან ისინი და მშიერი მგლები თითქმის არაფრით განსხვავდებიან. მგლის თვით არსებობისთვის საჭიროა, რომ მან ყოველ წელიწადს რამდენიმე თავისზედ ნაკლები და სუსტი პირუტყვი ჩაჰყლაპოს—მოიგონეთ ახლა გოფსტადი და ასლაკსენი! რამდენს ჰყლაპავენ, ასახიჩრებენ და აწვალებენ, სანამ იქამდის მიიყვანენ, რომ ან მესაკუთრეთა ასოციაციის წევრებად შეჰქმნიან ან და „სახალხო მოამბის“ ხელის მომწერლებად (მაგიდის ნაპირზედ ჩამოჯდება). აქმო, კატო. შეხედე ერთი, მზე რა მშვენივრად კაშკაშებს და ჰაერში რა სასიამო გაზაფხულის სუნი ტრიალებს...

ქ. შტოკმ. ჰო, ტომას, ყველა ეს ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მზის კაშკაშით და სუფთა ჰაერით ცხოვრება შეიძლებოდეს!

ექ შტოკმ. რა არის, რა გული გაგტეხია? მხოლოდ ეს არ არის, რომ ცოტა ხელმოჭერილი ცხოვრება დაგვჭირდება? ეს მე სრულიადაც არ მაწუხებს. მე თუ მაწუხებს რამე, მხოლოდ ის, რომ ვერ მიპოვნია ისეთი პირი, რომელსაც ჩემ შემდეგ შეეძლოს ჩემი საქმის განგრძობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრა. მაგაზედ რასა სწუხარ, მამა, —ჯერ ერთი, შენ ბევრი დრო გაქვს კიდევ და გარდა ამისა—აი, ვაჟებიც წამოგეზრდებიან... (ამ დროს ეიღიფი და მოჩრტენი სას ტუმრო ოთახიდან შემოდიან).

ქ. შტოკმ. განა დღეს დღესასწაულია რამე, რომ ეგრე ადრე მოხველით?

მოჩრტენი. არა, დღესასწაული კი არა, ამხანაგებს წავეჩხუბეთ და...

ეიღიფი. სტყუი! ისინი თითონ დაგვეცნენ საცემრად.

მოჩრტენი. ჰო და ხერლუნდმა გვითხრა, ისევ ის გირჩევნიათ, რამდენიმე დღე შინ დარჩეთო.

ექ. შტოკმ (მაგიდიდან ჩამოხტება) აა! ეხლა კი ვიცი, როგორც უნდა ამ საქმეს მოვლა! ეხლა-კი ვიცი! ბავშვებო, თქვენ სასწავლებელში აღარ წახვალთ დღეიდან?

ბავშვები. სკოლაში სულ აღარ ვივლით?

ქ. შტოკმ. რას ამბობ, ტომას, უსკოლოთ როგორ იქნება?..

ექ. შტოკმ. სულ აღარ ივლით. დღეის იქით მე თითონ გასწავლით და, რასაკვირველია, ყოველი სისულელის სწავლებას არ დაგიწყებთ ..

მოჩრტენ. ურაა!

ექ. შტოკმ. და ვეცდები თავისუფლების მოყვარული და პატიოსანი ვაჟკაცები გამოგიყვანოთ. პეტრა იმედია, მომეშველება ამ საქმეში.

პეტრა. რასაკვრელია, გიშველი.

ექ. შტოკმ. სწორეთ იმ ოთახში გავხსნი სკოლას, სადაც პირველად შემიგინეს ჩემი კაცური კაცობა და ჩემი პირადი ღირსება შემიბღალეს. სხვა შეგირდებიც უნდა ვიშოვნოთ. დასაწყისისთვის თორმეტი შეგირდი მაინც არის საჭირო.

ქ. შტოკმ. ამ ქალაქში შენ ვერას გზით ვერ იშოვნი შეგირდებს.

ექ. შტოკმ. ვნახავთ, თუ ვერ ვიშოვნი. (ბავშვებს მიუბრუნდება) თქვენ ხომ არ გეგულებათ სადმე ისე ღარიბი... ქუჩაში მაწანწალა ბავშვები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორტენი. რამდენიც გინდა. მე იმდენს ვიცნობ, რომ...

ექ. შტოკმ. კარგი. აბა მაშ ხვალისათვისვე მომიყვანე რამდენიმე. მე მინდა ჩემი ექსპერიმენტები ქოფაკი ძაღლებიდგან დავიწყო—იმათ შორის ხშირად მოიძებნებიან ხოლმე ნიჭიერნი.

მორტენი. მერე როცა გავიზრდებით და თავისუფლები გავხდებით, რა უნდა გავაკეთოთ?

ექ. შტოკმ. მგლებს უნდა შეებრძოლოთ და შორს, შორს გადარეკოთ.

(ეიდიფი განცვიფრებული იყურება; მორტენი დახტის და ურის გაიძახის).

ქ. შტოკმ. გაფთხილდი, შენ თითონ არ გაგაგდონ მგლებმა!

ექ. შტოკმ. შენ ჭკუაზედ ხომ არ შესცდი, კატო? ვინა მე გამაგდონ? როდესაც ჩემზედ მძლავრი სხვა ამ ქალაქში არავინ მოიძებნება?

ქ. შტოკმ. შენზედ მძლავრი?... მერე ისიც ეხლა!..

ექ. შტოკმ. დიაღ, მე თავისუფლად შამიძლიან ვსთქვა, რომ არამც თუ ჩვენს ქალაქში, მთელს დედამიწის ზურგზედაც კი მე ერთი ძლიერთაგანი ვარ.

მორტენი. მართლა, მამა?

ექ. შტოკმ. (ნახევარის ხმით) ტს! ჯერ კი ნურავის ეტყვით, მაგრამ მე ერთი რამე აღმოვაჩინე კიდევ.

ქ. შტოკმ. კიდევ აღმოაჩინე?

ექ. შტოკმ. დიაღ! (სუფეველას შეჭმოჭკრიბავს და საიდუმლოდ ეუბნება) აი რა აღმოვაჩინე — ყველაზე ძლიერი ქვეყნიერობაზედ ის არის, ვინც, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ჩამოეცალნენ, ბრძოლის ველს მაინც არ მიატოვებს.

ქ. შტოკმ (თავს აქნევს, იდიმება) ახ, ტომას!..

პეტრა (მამას ხელებში მოჭიდებს ხელსა). მართალია, მამავ, მართალი!..

იგ. ბოლუმორდინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთველი

და

მისი პოემა

(დასასრული*)

XI

ახლა ვიკითხოთ, ვინაა ეს ტარიელ? ვინ არიან ნესტან, თინათინ, ავთანდილ, ფრიდონ, როსტევან და ფარსადან, ეს უმთავრესი გმირნი პოემისა? ვინ არის ეს სვიანი მეფე მაღალი უხვი და ლაშქარ მრავალი ყმიანი როსტევან, რომელსაც ერთი ქალის მეტი არავინა ჰყავს, თავის სიცოცხლეშივე ადგამს გვირგვინს და აკურთხებს მეფედ? ეჭვი არაა, ეს უნდა იყოს გიორგი III თამარის მამა, რომელიც ხასიათით მეტათ წააგავს როსტევანს და რომელმაც თვით დაადგა გვირგვინი და აკურთხა მეფედ თავის ერთად ერთი ქალი შვენიერი თამარ.

ვინაა ნეტა როსტევანის ქალი თინათინ? მან მზესაც კი გადააჭარბა სიმშვენიერით. ეჭვი არაა, ეს არის თვით თამარ, რომელიც მამის სიცოცხლეშივე ავიდა სამეფო ტახტზე.

ვინაა ნეტა ფარსადან შვიდთა სამეფოს მფლობელი, მეფე „უხვი, მდიდარი, უკადრი, ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“, რომელსაც ერთი ქალის მეტი არა ჰყავს შვილი? ეს გახლავს შვიდი სამეფოს უფროსი საქართველოს მეფე იგივ გიორგი III, მისი ერთად-ერთი ქალიც თამარია,

*) იხ. „მოამბე“ № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე ნესტან-დარეჯან „მგზავსი მთვარისა, მზისაგან შვენებით არ შეფრობილი.“

მაშ როსტევან მეფე და ფარსადან ერთი და იგივე პირი ყოფილა, ე. ი. **გიორგი მეფე**; ნესტან და თინათინ ერთი და იგივე ყოფილან, ე. ი. **თამარ**. რათ დასჭირდა შოთას ამ ორი ორადის გამოყვანა და დასურათება? ეს ჯერ ჩვენთვის საიდუმლოა. ამას ვცნობთ ქვემოთ.

ვინაა ავთანდილ, ეს „საროსა მჯობი ნაზარდი, მგზავსი მზისა და მთვარისა“, ეს მეფის კარზე აზრდილი სპასპეტი, რომელსაც როსტევან კანონიერად მიათხოვებს თავის თინათინს? ეს არის გიორგი მესამის კარზედ აზრდილი ოსთა მთავრის შვილი ტანადი და შვენიერი **დავით სოსლანი**, თამარის მეორე ქმარი.

ვინაა ფრიდონ მეფე? ვინაა ნეტა ეს „ედემს ზრდილი“ შავბედიანი ტარიელ, ეს ფარსადანის, ე. ი. გიორგი მეფის **მეგვარე და ნათესავი**, რომელიც „მზეს ისე ჯობდა შვენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა“; ვინაა ეს შოთას უუსაყვარელესი გმირი, ეს ნესტანის, ე. ი. თამარის შმაგი მიჯნური, ვინაა ეს ტარიელ, რომელზედაც ფარსადან მეფე ამბობს: „ავდგები და შვილად გავზდი, თვით ჩემივე გვარი არსა“, და რომელიც შემდეგში აუჯანყდება ფარსადანს, გამაგრდება ციხეში და მოინდომებს მეფობას?— ეს ორი გმირი ჩვენთვის უცნობია; შოთა სასტიკათ მალავს მათ ვინაობას, მაგრამ თამარის დროის ქართველობა ძლიერ კარგათ იცნობდა ამ ორ გმირს, ფრიდონს და ტარიელს. ტარიელის მოქმედებამ ააშფოთა იმ დროს მთელი საქართველო და გამოიწვია დიდი კამათი და ლაპარაკი. მისმა რომანმა დაჩაგრა თამარ-დავითის ერთგულნი და გააცხარა ორგულნი. ამ უბედურათ ჩავლილმა რომანმა საშინლად ააღელვა შოთა და თამარ-დავითის **ორგულთა დამწველათ** და **ერთგულთა დასამაგრებლათ** ააკრთო ჩანგზე ციური სიმი და დაჰყოლია ზევსური სიყვარულისა.

ტარიელის ვინაობას ვერ ვტყობილობთ „ვეფხვის ტყაოსნით“; არ ვიცით, თუ რომელი ისტორიული პირია იგი, ან რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის მისი ნამდვილი სახელი. ის არაა დავით სოსლანი; ავთანდილ და ტარიელ არაა ერთი და იგივე პირი, ორადი. ამ ორ ადამიანს სულ სხვა-და სხვა როლი და სულიერი ფიზიონომია აქვს; ისინი არ გვანან ერთმანეთს, როგორც როსტევან ფარსადანს, ან თინათინ ნესტანს. ხოლო არის ერთი უცნაური მგზავსება მათ შორის: ორთავეს უყვართ თამარ, ანუ უკეთ, ერთს უყვარს თამარ ნორჩი, მეფედ კურთხევამდე, ე. ი. თამარ-ნესტანი, უყვარს დიადი გრძნობით და გატაცებით, მეორეს კი უყვარს დინჯათ და მოთმენით თამარ გვირგვინოსანი, მეფე ბრწყინვალე, ენა მზიანი, თამარ-თინათინ, რომლის ქმრადაც გახდება იგი.

მაშ თამარს სხვა და სხვა დროს ჰყოლია ორი მიჯნური და ჰქონია ორი რომანი. პირველი ძლიერი, მწვავე და ჭეშმარიტი სიყვარული თავის ნათესავთან, ტახტის მემკვიდრე შვენიერ ტარიელთან, მეორე კი შემდეგში უფრო დინჯი და მოსაზრებული სიყვარული სასახლის კარზედ აზდილ ავთანდილ-დავითთან, რომელსაც მითხოვდება იგი მეორედ. შეიძლება ეს მეორე არც იყო სიყვარული, არამედ მითხოვდა მას როგორც საზოგადოთ თხოვდება ქალი, რომ ქმარ-შვილი ჰყავდეს. შეიძლება თამარ იძულებით გათხოვდა კიდეც, რომ მემკვიდრე გასჩენოდა. ამის საბუთიც გვაქვს.

— თუ ეს აგრეა, მაშ, ეჭვი არაა, ეს ამბავი, ეს ამგვარი წარსული დასცემდა თამარს დიდებულთა და ხალხის თვალში, ააშფოთებდა გიორგი-ფარსადანს და მთელს სამღვდელოებას, საშინელ ჩირქს მოსცხებდა თამარს და დავით სოსლანს, დაჩაგრავდა მათ ერთგულთ და გაახარებდა ორგულთ; მარიალაც ვინ შეიგნებდა იმ დროს ნამდვილი სიყვარულის ძალას?! ვინ გაამართლებდა თამარს?! ამისათვის საჭირო იყო სწორეთ ისეთი გენიოსი, როგორიც შოთა; საჭირო იყო ისეთი ძლიერი ენერგია, როგორიც შეეძლო მხოლოთ რუსთველის ქნარს. კიდეც თავის სახელის აღსადგენათ უბრძანა თამარმა შოთას ექო და აემაღლებია იგი ლექსებით; კიდეც ამიტომ გამოდის შოთა თავის წინასიტყვაობაში ტარიელ-ნესტანის, ე. ი. თამარის და იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობ პირის მიჯნურობის, ე. ი. ზენაარ სიყვარულის შესანიშნავ მოსარჩლეთ, დამცველათ და ასამაღლებლათ; კიდეც ამიტომ ამეგობრებს ავთანდილ-ტარიელს, ე. ი. დავითს და იმ უცნობ პირს; ამიტომ გაიძახის შოთა თავის პოემის ბოლოში, ესე ამბავი გავლექსე თამარ-დავითის ორგულთა დამწველად და ერთგულთა დასამაგრებლადო. მაგრამ ამ მოქმედებით მას ჩაუდენია საქმე სალაყბო და საჭოჭმანები, ე. ი აუტეხია და აულაპარაკებია მთელი ქვეყანა, თუმცა იმავე დროს თავის გმირებისთვის გამოუცვლია ბინა, სახელი, მოუგონებია სპარსულიდან ვთარგმნეო და მთელი სიყვარულის დრამა აუნცვია და მოუქარგავს სულ სხვა ქარგაზე.

XII

ტარიელისა და ფრიდონის შესახებ „ვეფხვის ტყაოსანი“ ბევრს ვერას გვეუბნება; ნაცვლათ დაგვრჩენია კიდევ ორი წყარო, რითაც შესაძლოა ვცნოთ ამ ორი გმირის ვინაობა. ეს ორი წყაროა: **საქართველოს ისტორია** და **ზეპირ-თქმულება**.

ავიღოთ „ქართლის ცხოვრება“ და წავიკითხოთ: რას ვგებულობთ შიგ? ეს ძველი მატიანე გვამხელს, რომ დავით აღმაშენებლის შვილს დიმიტრი მეფეს ჰყოლია ორი ვაჟი: დავით და გიორგი. დიმიტრი მოხუცობის დროს შესულა ბერათ, ტახტზე კი ასულა ძე მისი დავით. ამას, ვგონებ, უმეფნია ექვს თვეს და გარდაცვლილა. გამეფებულა მეორე ძმა, ე. ი. გიორგი, რომელმაც, ქართლის ცხოვრების თქმით, „იბყრნა მეფობისა შარავანდედი შვიდ სამეფოთ განწესებული“.

ტახტის ნამდვილი მემკვიდრე კი ყოფილა დავითის ნორჩი ძე **დიმიტრი** ანუ **დეკნა**. მოვიდა თუ არა ასაკში, დემნამ მიიმხრო მრავალი დიდებულნი, მეტადრე ორბელიანები, და მოინდომა გამეფება, რის გამო მოახდინა აჯანყება და გამაგრდა ლორის ციხეში. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ამას ესე ვითარსა სრულყოფასა და საწუთოთა გემოთა შინა ქცევასა მიიწიფა ძმის წული მისი (ე. ი. გიორგი მეფის) დიმიტრი (ე. ი. დემნა), შვილი ძმისა მისისა უხუცესისა და განსწავლული ზნე კეთილობითა, მზგავსი სახლის შვილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმის მათ ყოველითა სიკეთითა და სწავლულობათა, სახე კეთილობათა და ჭაბუკობათა იგი იქმნა მეგზელ და გამამწარებელ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა, უშიშობა დვთისა და გარდამავლობა სჯულისა ქრისტეს მტნებათა*)... (დაუკვირდით კარგად ამ სიტყვებს), —შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ობოლთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხელთა, ერეთთა, კახთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მოსმენარ მათდა იყო. იქმნა განდგომანი, ბრძოლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი... არა წარემართა ძესა მამისა წინააღმდეგისასა და თვით ამასა წინაღმდეგსა და განდგომილსა მეფისა ღვთის მოყვარისასა და მიეცა ძლევა გიორგისავე მძლეთა მძლესა.“ **)

ქართლის ცხოვრებაშივე ვკითხულობთ, რომ დიმიტრი თავის დასით გამაგრებულა ლორის ციხეში. სხვათა შორის, მისი მომხრე ყოფილა შოთა ართაგაჩის ძე, რომელიც შეუპყრიათ ჰერეთში შეტაკების დროს. ვინ იყო ეს შოთა, რომლის სახელი შეირჩინა მატიანემ? ეჭვი არაა, იგი უნდა ყოფილიყო ვინმე გამოჩენილი პირი, ჩვენ კი სხვა არვინ ვიცით გარდა შოთა რუსთველისა სამესხეთოდან; სამცხე ანუ სამესხეთო, როგორც ზევით ვნახეთ, მიემხრო დემნას.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, მრავალი დიდებულნი განდგომიან დემნას ლორის ციხეში და მისულან გიორგისთან, ზოგიც გადმოუყვანიათ მოტყუებით. თვით შევიწროებულ დემნას მოუბამს საბელი და მოუთხოვნია ბიძის-

*) კურსივი ჩვენია ავტორი.

**) იხ. „ქართლის ცხოვრება“ გამოცემული ბროსეს მიერ, ნაწილი პირველი გვ. 272—273.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის შენდობა. რა მოუვიდა შემდეგ ამ ჭაბუკს, „ქართლის ცხოვრება“ არას გვეუბნება, საზოგადოთ ეს მატიანე ჰფარავს ბევრს საიდუმლო და სანუკარ რამეებს დიმიტრის, მამა მისის და ბიძა გიორგი III-ს შესახებ, ჰფარავს, ალბათ, სულ სხვა მოსაზრებით. ამიტომ ბევრათ უფრო ვრცლათ დემნაზე და მის მამა-ბიძაზე ვგებულობთ ვახუშტის, ვართან დიდის და განსაკუთრებით სტეფანოზ ორბელიანის ისტორიიდან, ეგრეთვე სხვა მონოგრაფებიდანაც.

„ქართლის ცხოვრება“ ამბობს შემდეგს გიორგის გამარჯვებაზე: „ურჩთა და მტერთა თვისთა არა მიაგო მისაგებელი მათისა, არამედ შენდობით და წყალობით სწვრთნა და რომელიმე ექსორია ჰყენა უცხოთა ქვეყანათა“ (იხ. გვ. 273—74). სულ წინააღმდეგი აზრის არიან სხვა ისტორიკოსნი და გადმოგვცემენ საშინელ ამბებს გიორგი III-ის სიმკაცრისას თავის ძმისწულის და ორბელიანების მიმართ. ნეტა რათ მალავს და ასხვაფერებს ამ საზიზღარ ფაქტებს „ქართლის ცხოვრება“? რათ უდგება გიორგი მეფეს და რად კიცხავს ისე სასტიკად ტახტის კანონიერ მემკვიდრე დემნას?! რა არის ამის მიზეზი? აჯანყება და ტახტის კანონიერი მოთხოვნა? არა ვგონებ... აქ სხვა რაღაც ამბებია...

XIII

ვახუშტის ისტორიის განმარტებაში დ. ბაქრაძე შენიშნავს დავით მესამის მამის დიმიტრის შესახებ:

— „ცხადია, რომ რაღაც შფოთი და არეულობა ყოფილა იმ დროს მემკვიდრეობის გამო. მომავალი საუკუნოების მატიანე ამ შემთხვევაზე გვიამბობს შემდეგს: ფარსადან გორგიჯანიძე ამტკიცებს, ვითომც დავით იყო უმცროსი შვილი დიმიტრი I-სა და რომ უპირატესობა მიეღო თავის უფროს ძმაზე გიორგიზე და მეფობა ხელში ეგდო, აჯანყდა და ამოსწყვიტა ანუ მოაწამლვინა ზოგიერთი სასახლის ხელის უფალნი და თავისი განძრახვა მცირეს ხნით სისრულეში მოიყვანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს შესაძლებელი საქმეა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დავით III-ს ექვსი თვის მეტი არ უმეფნია.“ *)

აი რას მოგვითხრობს მ. ბროსსე თავის ისტორიაში:

— „დავით მესამემ ცოტა ხანს იმეფა; ზოგი ამბობს ორი თვეო, ზოგიც ექვსი თვეო და ზოგიც ორი წელიწადიო. დავითის შემდეგ სამეფო ტახტი დარჩა მცირე წლოვან იმის შვილს დემნას, ე. ი. დიმიტრის, ხოლო სამეფო საქმეებს განაგებდა დავითის ძმა გიორგი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რეგენტობა იმ პირობით, რომ დემნა, როგორც კი სრული წლოვანი შეიქნებოდა, ბიძას დაეჯინა ტახტზე, ამას მოგვითხრობს სტეფანოზ ორბელიანი.“ **)

— მაგრამ ყველაზედ უფრო საგულისხმოა თვით სტეფანოზ ორბელიანის ცნობა ამ ამბის შესახებ; აი რას ამბობს იგი:

— „დიმიტრი მოკვდა და ტახტზედ ავიდა შვილი მისი დავით, კაცი მხნე და მეცნიერი, რომელიც მოკვდა ორი წლის შემდეგ. როცა მიიწურა სიცოცხლე დავითისა, მან იხმო ქათალიკოსი და პირველი დიდებულნი, ეგრეთვე ძმა თვისი გიორგი და შვილი დემნა. დაიდვა გვერდით ჯვარი და სახარება და დაიწყო: „საქართველოს დიდებულნო, თქვენ უწყით თუ რა რიგ იღვაწა თქვენთვის მამაჩემმან, მან აღადგინა ეს სამეფო და სიკვდილის დროს მან გადმომცა თავის სამეფო დიდის ზეიმით და მწერლობითი საბუთით (par un acte solennel et par écrit). მე კი ახლა ვუახლოვდები აღსასრულს. ჩემს ძმა გიორგის არა აქვს არავითარი უფლება განაცხადოს რაიმე სურვილი სამეფო გვირგვინზე, რომელიც გადმომცა მე ჩემმა მამამ, მე კი ვაძლევ მას ჩემს შვილს დემნას თქვენის თანადასწრებით. და შენ, ძმაო გიორგი, დაიკავე ჩემი ადგილი, ბრძანებლობდე მხედრობას მანამდე, სანამ ჩემი შვილი მოგვა ასაკში.“ ამის შემდეგ იხმო ივანე ორბელიანი (სპასალარის) და ჩააბარა მას თავისი შვილი (დემნა) და დაუფიცა როგორც იგი,

---

*) ვახუშტი: „საქართველოს ისტორია.“ გვ. 189.

**) მარი ბროსსე: „საქართველოს ისტორია,“ ნაწილი I. გვ. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ეგეღა სხვა დიდებულნი, რომ არ უღალატებენ მის შვილს და აკურთხებენ მეფედ, რომელ გაიზდება. ცოტა ხნის შემდეგ დავით გარდაიცვალა და დაიმარხა გელათში მამის გვერდით. ერთი თვის შემდეგ გიორგიმ მიიწვია ივანე ორბელიანი, დიდებულნი და ბრძანა: ჩემს ძმის წულს არ წაგვართმევ მეფობას და თანა ხმათ ჩემა ძმის ანდერძისა, ავაყვან მას სამეფო ტახტზედ".*) შემდეგ სტეფანოზისაგან ვგებულობთ, რომ გიორგი კურთხეულა მეფედ და უმეფნია დიდხანს, (ე ი 21 წელი). როცა დემნა შექმნილა სრული წლოვანი, გიორგი მეფეს არ შეუსრულებია თავისი ფიცი და ნება-ყოფლობით არ დაუთმია ტახტი კანონიერ მემკვიდრისათვის. მეფე ამ დროს ყოფილა აგარათ, სწორეთ ამ ხანებში მოსულან ივანე ორბელიანთან საქართველოს დიდებულნი დემნათუთრთ და უთქვამთ:—„ივანე, გაიხსენე შენი ფიცი და დაპირება, რომელიც მიეცი მეფე დავითს. მომწიფდა დრო დემნას მეუფეთ კურთხევისა. გიორგი სახატეშია ცოტა ხალხით; ჩვენ კი ყველანი მზათა ვართ".—„ღმერთმა დაგვიფაროს მოვკლათ იგი, ვინც კურთხეულა მეფედ, მაგრამ რომ შევასრულოთ ფიცი და დავსვათ ტახტზე დემნა, საჭიროა დავიჭიროთ გიორგი და ვაიძულოთ მას, რომ შეასრულოს თავისი ზენაარი ფიცი და წერილობით პირობა შესახებ თავის ძმისწულის დამორჩილებისა. მერე გავუშვათ და მივცეთ საცხოვრებლათ მამის მიერ დატოვებული სამკვიდრო მამული." ყველა შეთანხმდნენ ამაზედ. ეს თათბირი გაუგონია ერთ ბიჭს ძირა სართულში. გაპარულა გიორგისთან და უთქვამს ყოველივე. მეფე მაშინვე გამოქცეულა თფილისში და გაუმაგრებია იგი. ივანე ორბელიანს შეუკრებია თავის მხედრობა. მასთან მოსულან ქართლის ერისთავი, ჯავახნი, კახო შვილებით, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი და სხვანი 30.000 მხედრობით. ესენი გამაგრებულან ლორის ციხეში. მას შემორტყმია გიორგი მეფე ჯარით და ყუსაბარის სარდლობით. რამდენიმე ხნის

*) Stèphanos Orbelian: „Histoire de la Siounie" გვ. 216-217. კურსივი ჩვენია. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ზოგიერთნი გაქცეულან ციხიდან და დამორჩილებიან მეფეს. გიორგის ბანაკიდან ისრით გადმოუგდიათ წერილი ივანესთვის და ურჩევიათ, რომ დამორჩილდეს მეფეს და მოართვას ძვირფას ფეშკაშათ დემნა, მიზეზი უბედურებისა. ამაზედ ივანე გზავნის ისრითვე შემდეგ პასუხს: „ის კაცი ვინც გატეხს ფიცს სააქაო ცხოვრებისათვის და შებღალავს ღვთის კანონს დაერქმის რენეგატი (მოღალატე); იგი დაიწვის საიქიოს საუკუნო გენიაში ეშმაკებთან ერთად. არ ვარ მხდალი და უზნეო, რომ გავქელო საშინელი ფიცი! დეე მოვკვდე ერთგული ჩემის ფიცისა ჩემის ბატონიშვილისათვის და წავიდე საიქიოს, რომ მივიღო ძვირფასი განძი, რასაც ვერ წამართმევს ვერავინ!...“ ამის შემდეგ შევიწროვებული დემნა გადმოსულა ციხიდან თოკით, დამორჩილებია ბიძას და უთხოვია სიცოცხლე. შემდეგ გადმოსულა ივანეც და ჩამოურთმევია გიორგისათვის ფიცი, რომ არ ავნებდა არაფერს. აი რა გვეუბნება სტეფანოზი ამის შესახებ:

„გიორგიმ მოიტყუა ლორის ციხიდან გადმოსული ივანე ორბელიანი ფიცით, არაფერს გავნებო, დაივიწყა ფიცი, სტაცა ხელი ივანეს და დათხარა თვალები; დემნას შესახებ კი არ იკმარა მარტო თვალების დათხრა, იგი დასაჭურისა კიდეც, il le fit mutiler (ვითომ და მემკვიდრე არ ეყოლოსო, ნამდვილათ კი სულ სხვა მიზეზით).“ *) შემდეგ დემნა დაუძწყვდევიათ კლდე კარში, სადაც იგი გარდაცვლილა. ეს ფაქტია მოხსენებული ეგრეთვე დ. ბაქრაძის შენიშვნებში ვახუშტის ისტორიაში და მ. ბროსეს მიერ თავის „საქართველოს ისტორიაში.“ გარდა ამისა ჩვენ ვტყობილობთ სტეფანოზ ორბელიანისაგან, რომ გიორგი მეფეს არ უკმარია მარტო დემნას და ივანეს სასტიკი სასჯელი, მისი ბრძანებითვე მოუკლავთ ივანეს ძმა ქავთარ, შვილი მისი სუმბატ და ძმის წული ზინოი. გარდა ამისა მოუსრავს ივანეს ყველა ნათესავნი, ქალი თუ კაცი, ზოგი წყალში დარჩობით და ზოგიც კლდიდან გადაგდებით, ასე რომ

---

*) Stèphanos Orbelian: „Histoire de la Siounie“ p. 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ხსენები წაუშლია მთელს საქართველოდან. გიორგი მეფეს უბრძანებია ეგრეთვე მოეშალათ ისტორიულ წიგნებიდან ყოველივე ხსენება ორბელიანებისა და დაეწერათ ამბავი დემნას აჯანყებისა ნაძდვილი მიზეზით გამოწვეული კი არა, არამედ მოგონილი. ხოლო თამარის ტახტის ასვლის შემდეგ ივანე ორბელიანის ძმის ლიპარიტის შვილი ივანე ემირ განძაკთან გარდახვეწილი მოუყვანიათ საქართველოში დიდის თხოვნით და ფიცით, არაფერს გავნებთო, და დაუბრუნებიათ მისთვის ორბეთი. ამ ივანესაგან წარმოდგენ თურმე შემდეგი ორბელიანები. *)

XIV

აი ფრიად საგულისხმო ისტორიული მასალა! რა რიგათ უნდა ავხსნათ და გავარკვიოთ იგი? დავით აღმაშენებლის შვილს დიმიტრის ჰყოლია ორი ვაჟი: გიორგი და დავით. კანონით ტახტზე უნდა ასულიყო უფროსი შვილი, ე. ი. გიორგი, მაგრამ იგი იყო უშვილო, დავითს-კი ჰყავდა ვაჟი უმცროსი შვილი აჯანყებია მამას და გამეფებულა. დიმიტრის უცვნია კანონიერათ დავითის გამეფება, გადამდგარა ტახტიდან და შესულა ბერათ. მაგრამ დავითს დიდხანს არ უცოცხლია. სიკვდილის დროს იგი იწვევს დიდებულთ, ავედრებს მათ თავის პატარა ვაჟს დემნას, რომ აკურთხონ იგი მეფეთ, როცა მოვა ასაკში, შემდეგ აბარებს მას თავის ერთგულ სპასალარს ივანე ორბელიანს; გიორგის კი აძლევს რეგენტობას. დავით ართმევს ყველას ფიცს და კვდება. რას შვრება გიორგი? იგი ადის სამეფო ტახტზე, დებს ფიცს, თანახმათ ანდერძისა გავამეფებ დემნას, როგორც კი ასაკში მოვაო. ამ ხანებში მას გაუჩნდება ქალი თამარ, გიორგი იმაგრებს ფესვებს, იძენს მომხრეებს, იგი იმარჯვებს მრავალ ომებში, ამარცხებს მტრებს, იპყრობს სომხეთს და აძლიერებს სამეფოს. როგორც

*) St. Orbelian: Histoire de la Siounie" გვ. 216-221

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე და სარდალი იგი იჩენს დიდ მხნეობას და გამჭრიახობას. მას აღარ ეშინია ახლა არავის. იგი შეიქნა ყოვლად გავლენიანი მეფე; მას ეზრდება მემკვიდრეთ შვენიერი ქალი; გიორგის ავიწყდება ფიცი. მას არ უყვარს დემნა, როგორც შვილი თავის უზურპატორ ძმისა. მას სურს ქალის გათხოვება და გამეფება. მაგრამ ამავე დროს გაზდილა დემნა; იგი შექმნილა ფრიად შვენიერი, მცოდნე და გულადი ჭაბუკი. ბიძას კი არ სურს მისი გამეფება. მას დავიწყებია ფიცი. რაღა რჩება დემნას და ივანეს? არაფერი გარდა ამბოხისა. ისინი უნდა ამბოხებოდნენ გიორგის და აჯანყდნენ კიდეც. დემნას მიემხრენ ორბელიანები, სამესხეთო, კახეთი, ქართლის ერისთავი, სარგის მხარგრძელიძე, დიდებული ყვარყვარე, კახო, გამრეკელი, მემნა ჯაყელი, შოთა ართავაჩოს ძე, ე. ი, ჩვენის ფიქრით, შოთა რუსთველი და სხვა გამოჩენილი პირნი 30,000 მხედრობით. იყო თუ არა დემნას მომხრეთა შორის დავით სოსლანი, ისტორია ამაზედ არას გვეუბნება.

გიორგიმ შეჰკრიბა ჯარები ყუსაბარის სარდლობით, ეკვეთა მეამბოხეთ და დაამარცხა ისინი, ანუ უკეთ—დაახევინა უკან. დემნა მომხრეებით გამაგრდა ლორის ციხეში. გიორგი ვერ დაამარცხებდა დემნას და მის მხედრობას, სადაც იყვნენ ამისთანა გმირები, როგორც გამრეკელი, ორბელიანები, სარგის მხარგრძელიძე, ყვარყვარე, ჯაყელი და კახაბერი, მაგრამ ესენი, ალბათ, არ მოქმედებდნენ ხელგამოღებით და არ სურდათ დაეღვარათ ძმის სისხლი. ამათ ამჯობინეს უკან დახევა და ციხეში გამაგრება, რადგან ელოდნენ კიდევ ჯარს, (რომელიც არ მოუვიდათ), და ამ რიგათ გიორგის შეშინებას.

გიორგი კიდევ მეტი ჯარით მიადგა ციხეს. შვიდ თვეს ერტყა სალტათ, მაგრამ ვერ აიღო მაგარი ციხე. მეციხოვნეთ გამოელიათ სურსათი, დაეცნენ სულით, მოხდა შიგ გაპარვა და ღალატი, ბოლოს შევიწროებული დემნა და ივანე იძულებულ გახდნენ გადმოსულიყვნენ ციხიდან და მისულიყვენ გიორგისთან შენდობის სათხოვნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას შვრება გააფთრებული გიორგი? იგი არ იქცევა ლმობიერად, როგორც შეჰფერის სულგრძელ მეფეს; რაღაცას ძლიერ აუშფოთებია და გაუცხარებია იგი; მას დაჰკარგვია სიბრალული; იგი ქცეულა ნადირათ; რაღაც საოცარ ამბავს ამოუფხვრია მის გულში ადამიანური გრძნობა. იგი ტეხს ფიცს და სიკვდილით სჯის ივანე ორბელიანის შვილს სუმბატს, მის ძმა ქავთარს და ძმისწულ ზინოის. აბრმავებს თვით ივანეს. მაგრამ ყველაზედ უფრო სასტიკად და ულმობელად ექცევა თავის ძმისწულს დემნას. მას არამც თუ თხრის თვალებს, არამედ კიდევ უფრო საშინლათ ასახიჩრებს მას, ე. ი. **ასაჭურისებს.** ასე საშინლად დასჯილი ეს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ეს შვენიერი და გმირი ჭაბუკი მწვავე ტანჯვებით კვდება კლდე-კარის ციხეში. **ეს ამბავი იცის თამარმა ამ საშინელ სურათს მზერს დემნას მოამხრე და მეგობარი შოთა...** ამ საზარელი სურათით შფოთავს პოეტის გული. დემნას დანარჩენი მომხრენი გიორგი მეფემ ზოგი ჩაჰყარა საკანში, ზოგი ჰყო ექსორია და ზოგიც დასაჯა განპატიჟებით; ორბელიანების გვარი ხომ მოსრა მთელ საქართველოში.—რათ ჩაიდინა გიორგიმ ამგვარი სიმხეცე? რათ დასაჯა მან ასე რიგათ დემნა? განა არ შეეძლო განდევნა ან დატუსაღება? განა არ კმაროდა მისი თვალების დათხრა ან პირ-და-პირ მოკვლა? განა მიტომ დაასაჭურისა იგი, რომ მემკვიდრე არ გასჩენოდა? არა, ამ სუსტი საბაბით ვერ ავხსნით გიორგის უსაზღვრო სიმკაცრეს და ჩვენს ისტორიაში უმაგალითო საქციელს დემნას მიმართ. არა, **გიორგის ამოქმედებდა სხვა, უფრო დრმა მიზეზი, აქ იტანჯოდა მამის შელახული გრძნობა; აქ ბრაზობდა შურისძიება** და ბრმა ფანატიზმი...

XV

ვინაა ეს დემნა? ვინაა ნეტა ეს უდროოთ დაღუპული შავბედიანი ჭაბუკი? მკითხველი ჰხვდება კიდეც, რომ ესაა შოთას საყვარელი გმირი — ტარიელ, ვისთვისაც მარად სტირის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდებს პოეტი. რომ უფრო ნათლათ ვცნოთ ამათი მგზავსება, გავიყვანოთ პარალელი.—ფრიდონიც, ჩვენის ფიქრით, დემნას მომხრე სპასალარი ივანე ორბელიანია, რომელიც იყო სომხეთის დიდი მთავარი. ისტორიული დემნა და პოემის გმირიტარიელ ორივე მეფის შვილია გიორგი-ფარსადან მეფის მეგვარე, ნათესავი და ტახტის მემკვიდრე, ორივე შვენიერი და გულადი ვაჟკაცია, ორივე აუჯანყდებიან თავიანთ აღმზრდელ მეფეს, მოისურვებენ გამეფებას და გამაგრდებიან ციხეში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფარსადან გიორგი III-ეა, ნესტან კი თამარ, ამიტომ აშკარაა, რომ ტარიელ და დემნა ერთი და იგივე პირია, ვინაიდან სხვა ამ გვარი ვინმე და საქართველოს ტახტის მემკვიდრე არ იზრდებოდა გიორგი III-ის დროს.

გარდა ამ საოცარ მგზავსებისა არის ხვედრის სხვა-დასხვაობაც დემნასა და ტარიელს შორის. დემნას ასახიჩრებენ საშინლად, რის გამო კვდება წვალებით. ტარიელი კი ჰკლავს ნესტანის საქმროს, შემდეგ ეძებს თავის დაკარგულ სატრფოს, იტანჯება დიდხანს, ბოლოს ნახავს მას მეგობართა დახმარებით, შეირთავს ცოლათ და გამეფდება. ისტორიულ მატიანეს არ შეეძლო ეთქვა თუ რა კავშირი იყო თამარსა და დემნას შორის. ეს გახლდათ სასახლის საიდუმლო, საშინლათ დაცული და დაგმობილი სასულიერო პირთაგან; ხოლო გიორგი III-ის ველურ მოქმედებით ჩვენ ვხვდებით ამას. ისტორია გვამხელს ამ უბედურ სიყვარულის შედეგს.

შოთა ამღერებს ჩანგზედ თვით ამ სიყვარულს, მაგრამ ის ვერ შეეხებოდა ისტორიულ სინამდვილეს, ვერ აუწყებდა ქვეყანას დემნას საშინელ დასჯას. ეს მეტად აშკარა იქნებოდა. მისი მიზანი სულ სხვა იყო: სიყვარულის გრძნობის ამაღლება ქართველი ერის თვალში და მით თამარის სახელის ადიდება. რუსთაველი გვეუბნება მას, რასაც ვერ ვპოულობთ ისტორიულ წიგნებში, ეს წიგნები კი მას, რასაც ვერ ვგებულობთ პოემაში. ამ რიგათ ვეფხვის ტყაოსანი და ისტორიული მატიანენი ამთავრებენ ერთმანეთს.

არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ აქ პოემის ერთ ალაგზე, რომელიც ჰფენს სინათლეს ჩვენს აზრს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტანს დაუპირებენ გათხოვებას, ეძლევა ხორასნის მეფის შვილი. სასიძო მოდის დიდის ამალით. ნესტან განაძრახებს ტარიელს მოკლას ხვარაზმშა; მიჯნური ასრულებს ქალის ბრძანებას, მაგრდება ციხეში და უთვლის ფარსადან მეფეს, რომ ტახტის ერთად ერთი მემკვიდრე მე ვარო. აი, ის სიტყვებიც:

—„იცი ინდოთა სამეფო,
რაზომი სრა საჯდომია,
ერთი-ღა მე ვარ მემკვიდრე,
ყველანი თქვენ მოგხდომია,
ამოწყდა მათი ყველაი,
მამული თქვენ დაგრჩომია,
დღესადმი ტახტი უჩემო
არავის არ მონდომია.
ვერ გითნევ, თქვენმა კეთილმან,
აწ ეგე არ მართალია,
დმერთმა არ მოგცა ომა შვილი,
გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ,
დამრჩების რა ნატვალია,
სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს,
მერტყას მე ჩემი ხმალია!
შენი ქალი არად მინდა,
გაათხოვე, გამარიდე,
ინდოეთი ჩემი არის,
არვის მივცემ ჩემგან კიდე,
ვინცა ჩემსა დამეცილოს,
მისი მასცა ადმოვფხვრიდე,
სხვად მეშველსა გარეგანსა,
მამკალ ვისცა ვინატრიდე“.

ამ რიგად ტარიელი უთვლის ფარსადანს, ე. ი. გიორგი III-ეს, რომ ინდოეთის მემკვიდრე მხოლოთ მე ვარო, რადგან ყველანი ამომწყდარან და მამული თქვენ დაგრჩომია, ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ ტახტი ჩემს მეტს არავის ეკუთვნისო. შენ გყავს ერთად ერთი ქალი, მომაშორე იგი, გაათხოვე, რადგან ინდოეთი ჩემი არის და სხვას არავის დავანებებო. ეს ფაქტი აშკარად მოწმობს, რომ ამ სიტყვების მთქმელი დემნას გარდა არავინ იქნებოდა. საგულისხმოა ეგრეთვე პოემის მეორე ალაგი, როცა ფარსადან მეფე გაიგებს სასიძოს სიკვდილს ტარიელის ხელით. აი რას ამბობს იგი:

„მეფე ბრძანებს: ვიტი, ვიტი,
მეტად კარგად შემიგიან;
მას უყვარდა ჩემი ქალი,
სისხლი ველთა მოუღვრიან,
რა ნახიან ერთმანეთი,
არ შეხედვა ვერ დასთმიან.
აწ თავმან ჩემმან მას მოვკლავ
ჩემად და ვინცა მედესა,
მე ღვთისა ვუთხარ, დაუბამს
მას ეშმაკისა ბადესა,
მას ბოზ-კუროთა ასეთი
რა მისცეს, რა უქადესა,
თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო
მისად პატიჟად მზადესა.

აქედან სჩანს, რომ ფარსადან მეფე საშინლათ აუშფოთებია ნესტან-ტარიელის სიყვარულს, ეძახის ამათ ბოზ-კუროს და უქადის სიკვდილს, როგორც ნესტანს და ტარიელს, ისე თავის დას დავარს, რომელსაც აბრალებს ამათ კავშირს. აქ ფარსადან სრულიად არ გავს ინდოეთის მეფეს, რადგან ინდოეთში და საზოგადოთ აღმოსავლეთში ნათესავთა შორის კავშირი და შეუღლება ჩვეულებრივი მოვლენაა. მასთან ინდოეთის მეფე არას დროს არ იქნებოდა წინააღმდეგი, რომ თავის ქალი შეყვარებოდა ტარიელს; პირიქით, ამიტომ ის არ დაიწყებდა გარეშეთ სასიძოების ძებნას, არ მოიწვევდა ხვარაზმშას, არამედ დიდის სიხარულით მიათხოვებდა ნესტანს თავის შვილათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზდილს, ტახტის მემკვიდრეს, გმირს და შვენიერ ახალგაზდას ტარიელს და გაამეფებდა ორთავეს. სხვა რომ არა, ეს პოლიტიკურ მოსაზრებითაც უნდა ექნა, რომ არ გამოეწვია ტარიელში მტრობა და აჯანყება, რაც მოხდა კიდეც.

მაგრამ გვავიწყდება, რომ ფარსადან საქართველოს მეფე გიორგია, საქრისტიანო ფანატიზმით დაბრმავებული. მისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა დემნა-თამარის შეუღლება და ორთავეს გამეფება, რადგან ესენი იყვნენ ახლო ნათესავნი, ე. ი. ბიძაშვილები. ამ მოქმედებით ის ააშფოთებდა ეგრეთვე დიდებულთა და სამღვდელოებას. გარდა ამისა, გიორგი არ მისცემდა ქალს დემნას და არ გაამეფებდა სხვა მოსაზრებითაც. დემნა იყო მისი უზურპატორის ძმის დავითის შვილი. ამიტომ უსათუოთ იდუმლათ ეძულებოდა იგი.

ადვილათ შეიძლება, რომ გიორგი ეძებდა საქმროს ასაკში მოსულ თამარისათვის, რომ ნახა და მოიწვია კიდეც; იქნებ მართლაც მოჰკლა იგი დემნამ და ეს ფაქტი შეიქნა პირველ ნიშნათ აჯანყებისა. მით უმეტეს ვიცით, რომ თამარს მრავალი სამეფო პრინცები ეძლეოდნენ საქმროთ. შეიძლება დემნას მიერ სასიძოს მოკვლა არის სადმე მოთხრობილი და ჩვენ ვერ გვიპოვნია ჯერ ის წყარო.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ გიორგიმ იცოდა დემნა-თამარის სიყვარული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სვიანი და ლმობიერი მეფე არ ჩაიდენდა იმ გვარ სიმხეცეს და არ დასჯიდა ისე ველურათ თავის ძმისწულს, შვენიერ დემნას. ამ გვარ მოქმედებისათვის მას გაჰკიცხავდნენ დიდებულნი, მემატიანე და სამღვდელოება. მაგრამ ესენი გიორგის კი არა, თვით ბედშავ დემნას ჰგმობენ და კრულვენ. „ქართლის ცხოვრება“ პირ-და-პირ ეძახის დემნას ღვთის უშიშარს და ქრისტეს მცნების და სჯულის გარდამავალს. აქ რომ სხვა რამ არ ყოფილიყო, მარტო აჯანყებისთვის არ უწოდებდნენ მას ამ საშინელ სახელს. ნეტა რა ჩაიდინა დემნამ ამისთანა? მან მოითხოვა თავის კანონიერი უფლება, სამეფო ტახტი, რომელიც მას დაუტოვა ანდერძით თავის მამამ დავით მეფემ ქათალიკოზის და დიდებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა თანადასწრებით და ფიცით. გიორგი იყო მხოლოთ რეგენტი და დაფიცებული დემნას გამეფებაზე. და როცა გიორგიმ დაივიწყა ფიცი, გამეფდა ძალათ და შემდეგ ასაკში მოსულ დემნას არ დაუთმო ტახტი თავის ნებით, მხოლოთ ამის შემდეგ აჯანყდა დემნა, ამიტომ დემნას საქციელი იყო კანონიერი, თანაგრძნობის ღირსი და არა საგმობი და გასაკიცხი. და თუ ეს შვენიერი პრინცი დაჰგმეს, დასწყევლეს და სტანჯეს, თავის სამართლიან მოთხოვნილებისთვის კი არა, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო, რომელიც გამოვარკვიეთ ამ შრომაში.

შოთა მზერდა ყოველივე ამას. ამ დიდებულმა კაცმა ნახა თუ რა რიგ შეიქმნენ ორი შვენიერი ახალგაზდა, ორი ზენაარი სული, ეს ტახტის მემკვიდრენი, უმეცრების და ფანატიზმის საშინელი მსხვერპლნი. პოეტი მზერდა თუ რა რიგ გასთელეს და გაჰკიცხეს მათი ციური გრძნობა, მათი ღვთაებრივი სიყვარული, რა რიგ მოსცხეს მათ ბუნებრივ საქციელს საზიზღარი ჩირქი და მონათლეს ორთავე უკმეხი სახელით. ამის შემდეგ განა გიკვირთ, რომ შოთას აეკრთოს მათთვის თავის უკვდავი ჩანგი, გამოსულიყოს მათ დამცველათ, აღმოენთხიოს სიბრალულის ცრემლის ნაკადული და ეთქვას:

— „თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ-დათხეული...“
და — „მო დაჯსხდეთ ტარიელისთვის
ცრემლი გვდის შეუშრობელი.“ ?!

შემდეგ კი შოთა თუმც კარგათ ათავებს პოემას, მაგრამ სულ ბოლოს მაინც გაიძახის, რომ უქია

— „ტარიელ მისსა რუსთველ ს
მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.“

პოეტი მუდამ მტირალი და ცრემლ-შეუშრობელია ტარიელისთვის. რატომ?!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI

ჩვენ გვაფიქრებს ერთი რამ: თუ ზერე თქმული ფაქტი დემნა თამარის სიყვარულის შესახებ მართალია, რა რიგ ჩაიდინეს ამ ორმა პატიოსანმა და მაღალ-გონიერმა ახალგაზდამ ეს სჯულის წინააღმდეგი საქმე და რა რიგ შეიყვარეს ერთმანეთი? ეს თითქო დაუჯერებელია! იტყვის მკითხველი.

მაგრამ ღრმად რომ ჩაუკვირდეთ საგანს, აქ დაუჯერებელი არაფერია. ეს ამბავი ხდება მეთორმეტე საუკუნეში, იმ დროს, როცა მთელი საქართველო თუ პოლიტიკურათ არა, კულტურულათ მაინც რამდენობით აღმოსავლეთის გავლენის ქვეშაა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი ორასი და სამასი წელი იყო არაბთა ბატონობის ქვეშ. არაბ-სპარსეთში კი სრულიათ არაა უკანონოთ მიჩნეული ბიძაშვილთ შორის სამიჯნურო კავშირი და შეუღლება. ეგევე ხდება ებრაელთა შორის. თვით ქრისტეს სჯული სრულიათ არაა ამის წინააღმდეგი, ამიტომ კათოლიკეებში ბიძაშვილთ შორის შეუღლება ხშირი მოვლენაა. ამას არ ჰგმობს მათი ეკლესია. ამ გვარ კავშირს წინ აღუდგა მხოლოთ ორტოდოქსალი სამღვდელოება, ე. ი. მართლმადიდებლობა და სასტიკათ ეწინააღმდეგა მას. მიუხედავათ ამისა ჩვენი დინასტიის, ე. ი. ბაგრატიონთ გვარში არა იშვიათათ ხდებოდა ამ გვარი ნათესავური კავშირი. მეტადრე მეათე საუკუნეში ტაოს და ართანუჯის მთავართა (მამფალთა) დროს. აი ის ფაქტები, რომელნიც მოჰყავს ჩვენს ისტორიკს დ. ბაქრაძეს:

—„1 დავით მამფალი ართანუჯისა, კოსტანტინე პორფიროგენის თქმით, ირთავს ბიძაშვილს და კვდება მონაზნათ 943 წ. მისი შვილთაგანი, იმავე კოსტანტინეს ცნობით, ქალი ირთავს ბიძაშვილს ადარნასეს და ვაჟი სუმბატ ბიძაშვილსავე ბაგრატის ქალსა. (988 წ.) 2. ბაგრატ მამფალი ართანუჯისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირთავს ბიძაშვილს (+909 წ.). აშოტის ქალი ირთავს თავის ბიძას გურგენს“ და სხ. *).

ეს რას სწერს ბაგრატიონთ გვარზე ბიზანტიის იმპერატორი კოსტანტინე პორფიროგენი მეათე საუკუნეში:

„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიის კუროპალატნი (ე. ი. ბაგრატიონები) იქადიან თავიანთ შთამომავლობას ერთი დედაკაცისაგან, რომელიც აცდუნა წინასწარმეტყველმა მეფე დავითმა და ისინი თავის გვარტომობას უკავშირებენ დავითს ამ დედაკაცის მიერ შობილის შვილთაგანით და ამის გამო ხადიან თავიანთ გვარსა წინასწარმეტყველის მეფის დავითისა და ამ რიგათ თვით იმისგან შთამომავალის ღვთის მშობელისა. ეს არის მიზეზი, რომ იბერიის მთავრებს სამძიმოთ არ მიაჩნიათ, ძველის ურიების ჩვეულებისამებრ, ნათესავის შერთვა“. *)

დავით აღმაშენებელმა მოახდინა ძეგლთა დება და გაწმინდა სჯული წარძართთა გავლენისაგან. ამიერიდან სამღვდელოება სასტიკათ დევნიდა ნათესავთა შორის კავშირს, მაგრამ, როგორც არა შორეული ჩვეულება, იგი გამეორდა გიორგი მეფის სასახლეში. ორი დიადი სული შეეტკბენ, შეეჟღერენ ერთმანეთს; დემნას და თამარს შეუყვარდათ ერთმანეთი იმ ზენაარ გრძნობით, რომელზედაც ამბობს პოეტი: „ძლიერია ვით სიკვდილი“, და რომელიც ამაღლებს და ასპეტაკებს სულს, ანაზებს გრძნობებს, აფაქიზებს ზნეობას და აძლევს ადამიანს უზენაეს სიტკბოებას. ხოლო ეს ფაქტი თუ ფრიად დააღონებდა, თვარა არ უნდა გაეცეცხლებია იმ რიგათ გიორგი III და არ უნდა ჩაედინა მას ის ველური საქციელი რომ მას ქონებოდა შესაფერი შეგნება. მაგრამ გიორგი იყო ვიწრო მართმადიდებელი, ღვთის მოსავი და ფანატიზმით დაბრმავებული. ამ რიგათ დამარცხდა სამართლიანობა და ციური სიყვარული; გაიმარჯვა უმეცრებამ და სასტიკმა ფანატიზმა.

---

*) დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“, გვ. 269.

*) M. Brosset: „Additions à l'Histoire de la Géorgie“, 1851 p. 138—188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII

გათავდა საშინელი დრამა. თამარ აკურთხეს მეფედ. მალე გარდაიცვალა დედა მისი ბურდუხან დედოფალი. მას მიჰყვა ცოტა ხნის შემდეგ გიორგი მეფეც. თამარ დარჩა ობლათ. ეს მეფე-ქალი სიხარულით დასტოვებდა ტახტს, დიდებას, მოშორდებოდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და ჩაიკეტებოდა სადმე ყრუ მონასტერში უბრალო მონოზნათ და იმის სულის საოდრებელათ, მაგრამ მოვალეობა და სამშობლოს სიყვარული ამაგრებდნენ ამ სულით წამებულ ადამიანს, აძლევდნენ მხნეობას და უმსუბუქებდნენ უსაზღვრო ჯავრსა და კაეშანს. თამარ ძლევს მარად მგმინვარე გრძნობას, რჩება მეფედ და მართავს ქვეყანას გონივრულათ.

მაგრამ თამარ არაა უკვდავი. როგორც ყოველი არსი, ისიც უნდა დაემორჩილოს ერთ დროს ქრონოსის ულმო კანონს. ამას კარგათ გრძნობენ მისი ქვეშევრდომნი, ამიტომ დიდებულთა პირით ურჩევენ მას გათხოვებას. თამარ უარზედაა. მას ეძლევიან საქმროთ ირანის და მცირე აზიის დიდი სულთნები და ემირები. მას ეტრფიან და მის ხილვას ნატრობენ რუსეთის და ბიზანტიის პრინცები, მისი სიყვარულით კვდებიან კავკასიელ მთავართა შვილები. შვენიერი თამარ ისევ უარზედაა. მას არ სურს გათხოვება, მას არ უნდა ქმარი, იგი თითქო ვერ მზერს მის თაყვანისმცემელთ, იგი ცივია მათთვის, ვით ცივი მარმარი, ვით მინერვას შვენიერი ქანდაკი. რატომ? რათ არ სურს თამარს გათხოვება?! რათ არ სურს ქმარი ამ ასაკში მოსულს შვენიერ ქალს?! რაა ამის მიზეზი?! ადვილი გასაგებია. **მაზეზია მისი ტანჯული გრძნობა, მისი გმობილი და ისე რიგათ გათელილი პირველი სიყვარული.**

თამარს არ ასვენებენ. მასთან ხშირად მიდის თავად-აზნაურთა, სამღვდელოთა და გლეხ-ვაჭართა დეპუტაცია და ევედრებიან გათხოვებას. თამარის გულში ხდება საშინელი ბრძოლა. მასში იბრძვიან საოცრად ორი ძლიერი გრძნობა: მოგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობა სამშობლოს წინაშე და ჩაგრული სიყვარული. სამნიშვნელოა ეს დრამატიული მომენტი თამარის სულის კვეთებისა. ბოლოს იმარჯვებს პირველი გრძნობა, ე. ი. მოვალეობა და თამარიც ლბება. მას სიხარულით მოჰგვრიან ქმრათ ვისაც კი მოისურვებს, მაგრამ ქალი არ ძრავს ენას; იგი დიდი ვედრების შემდეგ, ემორჩილება მხოლოდ ერის სურვილს და უსიტყვოდ ძალის-ძალად მითხოვდება რუსეთის პრინცს ანდრია ბოღოლიუბსკის შვილს, ე. ი. გიორგი რუსს. ერის სიხარულს არა აქვს საზღვარი. გიორგი რუსის ბედს შენატრის ქვეყანა; მას სთვლიან უუბედნიერეს კაცად. მაგრამ ნამდვილათ კი ის ფრიად უბედურია. თამარ არ იკარებს მას. იგი უმანკოა ამ კაცთან; ის ვერ შერიგებია იმ აზრს, თუ როგორ შელახოს თავის უბიწო გრძნობა, რა რიგ შეურაცხჰყოს იმის წმინდა ხსოვნა და გაუზიაროს სარეცელი სხვა კაცს. ეს მას არ შეუძლია; ეს მეტის-მეტია... გიორგი რუსს მალე იშორებს თამარ და თითქმის ქორწილის მეორე დღეს ისტუმრებს საომრად ყარნუ ქალაქს.

გიორგი რუსს რომ გამოეჩინა მშვიდი და წყნარი ხასიათი, გამოეჩინა მეტი მორჩილება და სიყვარული ცოლისადმი, შეიძლება მოელბო თამარის გული და გამოეწვია მასში სიმპატია და თანაგრძნობა. მაგრამ ნაცვლად ამისა გიორგიმ ჩქარა ახსნა ალვირი თავის მხეცურ ენინსა და სურვილებს, მასში იჩინა თავი ჩრდილოეთის ველურმა ბუნებამ. ის შეიქნა ბახუსის და ვენერას ერთგული ქურუმი, დაერია მსახურთ და სეფე-ქალებს, გალოთდა და გაირყვნა სოდომურის სენით. დატრიალდა ბაგრატიონთა დიდებულ სასახლეში ოჯახური დრამა და უთანხმოება. თამარს შეზიზღდა თავის ზნე-დაცემული ქმარი; ორი წელი ითმინა მეფე-ქალმა გიორგი რუსის არა კაცური საქციელი, რომელიც გადასცდა ყოველსავე საზღვარს. ბოლოს თამარ განშორდა საჯაროდ გარყვნილი ქმარს, ამ „სკვითსა და ბარბაროზს“, ჩასვა გემში და გაისტუმრა ბიზანტიას. მაგრამ გიორგის ზნე-დაცემაში ცოტაოდენი წილი ედო თვით თამარს. მათი შინაური უთანხმოება და ქმრისადმი სიძულილი კარგათ იცოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე პირებმა და ამტყუნებდნენ თამარს, ამიტომ იყო, რომ ბერძნის ჯარით დაბრუნებულმა გიორგი რუსმა იშოვა ბევრი მომხრე მეტადრე დასავლეთ საქართველოში.

თამარ დარჩა ქვრივათ. კვლავ შეიქნა თხოვნა და ვედრება, კვლავ იწყეს სვლა დეპუტაციებმა სხვა და-სხვა კუთხე-წოდებიდან ბოლოს თამარ იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ამათაც. იგი მითხოვდა ვის? დასავლეთ-აღმოსავლეთის ვინმე დიდ პრინცს, სულთანს, ან ემირს კი არა, არამედ პაწია ოსეთის მთავრის შვილს მამიდა რუსუდანის შვილობილს, ობლათ დარჩენილ დავით სოსლანს. აქ თამარ ბრწყინვალე თინათინია მეფეთ ნაკურთხი; და აჰა ნარნარა თინათინმა გაუწოდა ხაქმროთ ხელი თავის ერთგულს, მომთმენს და ჩუმალ მიჯნურს დემნა-ტარიელის მეგობარს შვენიერ თვალ-ტანად ავთანდილს. ეს ხდება დაახლოვებით სამი-ოთხი წლის შემდეგ თამარის გამეფებიდან, ისე როგორც გამეფებიდან სამი თუ ოთხი წლის შემდეგ ავთანდილ ირთავს თინათინს.

თამარ-დავითმა იწყეს თანახმობით ცხოვრება, მათ გაუჩნდათ ქალ-ვაჟი; მათ დაამარცხეს მეორეთ და საბოლოოთ გიორგი რუსი. თამარმა მოახდინა მთელი რეფორმა შინაურ მართვა-გამგეობაში. მან გამოიჩინა საოცარი პოლიტიკური ნიჭი. დაცვალა მამის დროინდელი სარდლები, მინისტრები, მოხელენი და მათი ალაგი მისცა დემნას მომხრეებს, მაგ., თამარმა დაიახლოვა და დააწინაურა გამრეკელი და მხარგრძელები (მისცა სპასალარობა), კახაბერი, ჯაყელი, ყვარყვარე (მისცა ათაბაგობა), ქართლის ერისთავი და შოთა რუსთველი. ამათში ზოგს მისცა ერისთაობა, ზოგს სპასალარობა და სარდლობა, ზოგს მინისტრობა. მაგ., შოთა შეიქმნა ფინანსთა მინისტრი, ანუ მოლარეთ უხუცესი. ამ რიგათ გახდა ესენი პირველ ხარისხოვან დიდებულებათ. თამარმა მოიწვია შორს გარდახვეწილი ივანე ორბელიანი, დიდი ივანეს ძმისწული და დაუბრუნა ყმა და მამული. მასთან სურდა წაერთვა ქათალიკოსობა ფიცის გამტეხელი მიქელისათვის და დაესვა მის ნაცვლათ თედორე, რაც მოხდა კიდეც მიქელის სიკვდილის შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან მიქელის სიცოცხლეში სასულიერო კანონმა არ მისცა ამის ნება. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ნათელს ჰფენს ჩვენს აზრს დემნას შესახებ. სამნიშვნელოა ის ფაქტიც, რომ თამარმა სასტიკათ აღკრძალა ადამიანის დასჯა, მეტადრე კი დასაჭურისება და ასოს დაკვეთა.

თამარის შრომას და საქმიანობას არ ჰქონდა საზღვარი. იგი მარად მოგზაურობაში იყო. გაიყვანა არხები, ააგო ციხეკოშკები და ეკლესია-მონასტრები, ააშენა სოფლები და ქალაქები, ააგო მონასტრებთან შკოლები და კოლეგიები, გასცა ყველგან უხვი წყალობა, ხელი შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის განვითარებას. ამ რიგად გაამდიდრა და ააყვავა თავის სამშობლო. ამასთან ერთათ თამარ კიდევ უფრო მეტად მაცადინობდა სამეფოს გარე ძლიერებაზე. დიდ ნიჭიერ და გენიოს სარდლების მეოხებით თამარმა დააცხრო და დააშინა გარეშე მტრები, დაიპყრო მრავალი ქვეყნები გაზარდა თავის სამეფო შავიდან კასპიის ზღვამდე, დაიპყრო სომხითი და ნახევარი მცირეაზია, დააარსა ტრაბიზუნის იმპერია, შიშის ზარი დასცა დიდებულ ირანს, მცირე აზიის სულთნებს და მთელს უძლეველ მუსლიმს. მის წინ ქედს იხრიდნენ და მის მეგობრობას ნატრობდნენ მაღრიბი და მაშრიყი.

თამარის მხედრობა შეიქნა რაღაც უძლეველი, ზღაპრული დევ-ბუმბერაზი. მის წინ გარბოდა თვით ხალიფას უძლევი დროშა. გაძლიერდა საოცრათ ქართველი სული; გაშალა მან ლაღი ფრთები, შეიმკო დასავლეთ-აღმოსავლეთის სწავლა-განათლებით, გაიფურჩქნენ მასში შემქნელი ძალნი, რომელთა შვენიერი ნაყოფნი შეიქნენ ქართულ მწერლობა-ხელოვნების დიდებული ნაწარმოებნი; ამათ კი დღეს განცვიფრებაში მოჰყავთ მეცნიერ-არქეოლოგები და ორიანტალისტები; მათი ბადალი არ იყო მთელს ევროპაში რენესანსის ეპოქამდე, ე. ი. მეთუთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნემდე.

თამარის დროს ქართველთა რიცხვი აღემატა თითქმის ხუთ მილიონს. მრავალ საოცარ ომთა შორის ამ მეფე-ქალმა მოახდინა ორი, რომელნიც საუკუნოთ დარჩებიან საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიაში და რომელთა მგზავსი იშვიათათ ახსოვს თვით მსოფლიო ისტორიას. ამათში პირველია შამხორის ომი 1203 წელს. აქ დიდი ირანის შაჰის ამირ-ბუბაქარის აურაცხელი სპალაშქარი ეკვეთა ქართველ მხედრობას. ჰსარსთ ჯარს წინ უძღოდა ხალიფას უძლევი დროშა. მიუხედავათ ამისა თამარის შედარებით მცირე მხედრობამ საოცრათ დაამარცხა სპარსელნი. გამარჯვებულ ქართველთ აუარება დავლასთან და ტყვეებთან ერთად ჩაუვარდათ ხელთ ხალიფას დროშაც, რომელიც თამარმა მიართვა გელათში ხახულის ღვთის მშობლის ხატს შოთას მიერ იამბიკოს ზე წარწერით. მეორე დიდი ბრძოლა მოუხდათ ქართველთ 1204 წელს ბასიანს ალეპოს დიდ სულთან ნუქარდინთან, რომლის ჯარის რიცხვი მატიანეთა თქმით, აღემატა 800 ათას კაცს. ნუქარდინმა ფეხზე დააყენა მთელი აღმოსავლეთი. აქამდე უძლევი დიდი მუსლიმი გაემკლავა პაწია საქრისტიანო ერს. აქ დადგნენ პირ-და-პირ ასი ათასი ქართველი და თითქმის ერთი მილიონი მაჰმადის მორწმუნე; ეს იყო საბედისწერო დღე. ამის წინაშე თითქმის ირცხვიან ძველი ელადის მარათონის, სალამინის და პლატეის ომები, რომელთა შესახებ ისე ბევრს სწერენ ძველი და ახალი მწერლები. მაგრამ ქართველთა საარაკო სიმამაცემ და ზაქარია მხარგრძელის, დავით სოსლანის, გამრეკელის და სხვა სარდალთა ზენარმა ნიჭმა და გრძნობამ სძლიეს და გააპეს მუსლიმთ ლაშქართა ზღვა. დამარცხდა სასტიკად ამაყი ნუქარდინი და კინაღამ ტყვეთ ჩაუვარდა ქართველთ, მაგრამ ამ ხიფათისაგან იხსნა იგი ელვასავით სწრაფმა არაბულმა მერანმა *).

გავრცელდა ყოველი მხრივ თამარის დიდების და ქართველთ უძლეველობის ხმა. შეკრთა და შეშინდა საქართველოს წინაშე მთელი აღმოსავლეთი. თამარ და ქართველთ მხედრობა შეიმკენ მათ თვალში უძლეველობის შარავანდედით. ამის შემდეგ დაცხრა ამაყი ირანი და მცირე აზია, ქედი მოიხარა მთელმა მუსლიმმა. თამარს ხარკს აძლევდა და მის წინაშე

*) М. Джанашвили: „Царица Тамара“ 1900 г. зз. 100—109.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე ნობათით მოდიოდნენ ბაღდადის ხალიფა და ალეპოს სულთანი, უცხოეთის მგოსნები და ისტორიკოსნი ადიდებდნენ თამარ მეფეს. არ იქნება მეტი მოვიყვანოთ აქ არაბთა მწერლის შიხაბედინ ელკალკაშენდის აზრი თამარის შესახებ:

—„ადიდოს ალაჰმა მისი (თამარის) უდიდებულესობის სიცოცხლე, რომელიც ბრძანდება მეფე ქებული, მხნე, სულგრძელი, წმიდა, სახელოვანი, მესიის ხალხთა დიდება, ჯვაროსან ერთა საუნჯე, ქრისტეს სარწმუნოების სიამაყე, მეფე აბხაზთა (იმერთა), ქართველთა და ჯურჯანთა, მეგობარი უცხოელ მეფეთა და სულთანთა, მონარქი უძლეველი, მოუსვენარი მებრძოლი და ლომი, მყრობელი ტახტის და გვირგვინისა, მეცნიერი თავის სჯულისა, მართლ-მსაჯული თავის ქვეშევრდომთა, ლაზიკის ყველა მეფეთა უმჯობესი, ქართველთა სულთანი, ზღვათა სამეფოთა საუნჯე, რაინდთა მამულის დამცველი, რუმის და ირანის ქვეყანათა მფარველი, სირიის მეფეთა ესენცია, ყველა გვირგვინის და ტახტის მყრობელთა უმჯობესი, ქრისტიანთა გამდიდებელი, იესოს სჯულის ფუძე, მესიის გმირთა მიერ კურთხეული, წმინდა სახლის (იერუსალიმის) ამმაღლებელი, მონათლულთა სიმტკიცე, რომის პაპის მოკავშირე, მუსლიმთა მეგობარი და ყოველ მეფე სულთანთა უუმშვენიერესი მომხრე. *)

ასე და ამ რიგათ ადიდებდნენ თამარს უცხოეთის მწერლები და მტრებიც კი. განა საკვირველია, რომ საქართველოს პოეტებმა დამღერეს ამ დიდებულ მეფეზე ფერადოვანი ხოტბა და ვრცელი პოემები?!

XVIII

შინაურმა რეფორმამ, დიდებულ მოხელეთა დაცვლამ იმ თავითვე ბევრი მტრები გაუჩინეს თამარს და დავითს. იმათ კარგათ იცოდნენ თამარის წარსული და ავრცელებდნენ მასზედ

*) М. Джанашвили: „Царица Тамара“. 1900 г. зз. 17-18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურიგო ხმებს. ამით ხაროობდნენ ტახტის ორგულნი; ამით წუხდნენ მეფის ერთგულნი. ეს გარემოება ფრიად აღონებდა თამარს და მის ქმარს. აქ ბრძანება, სიმკაცრე და სასჯელი არ გამოდგებოდა და არც მიმართავდნენ ამგვარ ველურ საშუალებას ეს ორი მაღალ-გონების და ზნეობის მექონე ადამიანი. აქ საჭირო იყო ციური ქნარი და მგოსნის ზენაარი ჰანგები; საჭირო იყო ძლიერი ხმა, რომ ემხილა ქვეყნისთვის სიყვარულის ძალა და სიდიადე, რომ მით გაემსჭვალა მსმენელი დიდი და პატარა, ყმა და ბატონი; შეეპყრო მით მთელი ერის გული და სული საუკუნეთა ბრძოლაში და მით მოეწმინდა დემნა-დავით-თამარისათვის საშინელი-ჩირქი, რომელიც ისე უსამართლოდ მოსცხეს მათ მტრობამ, შურმა, ხალხის უმეცრებამ და ბრმა ფანატიზმმა.

და აჰა, გაჩნდა ამისთანა პირი, რომელსაც შეეძლო ამ მძიმე საქმის ასრულება: ეს იყო სულმნათი შოთა, დემნას, თამარის და დავითის მეგობარი და მოწამე საშინელი დრამისა. დიადი ნიჭის მექონე, ღრმა მგრძნობიერი და მაღალ გონება განათლებული ადამიანი დიდიხანია გლოვდა და მოთქვამდა ჩუმათ თავის საყვარელ დემნა-ტარიელის მწარე ხვედრს; ის წუხდა თამარის და დავითის გაკიცხვას, ის მზერდა ნესტან-თინათინის იდუმალ ცრემლებს, დიდი ხანია სურდა შოთას აეკრთო ქნარი და გაელექსა ის საშინელი დრამა, ეუწყა საყოველთაოთ სიყვარულის ძალა და ზენარება; დიახ მას სურდა ეუწყა, რომ — „მიჯნურობა არის ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“... მისი პოეტური ნიჭი, მაღალი ფილოსოფია და ენა-მზეობა ცნობილი იყო სასახლეში. ის იყო რიტორთა და მგოსან-ფილოსოფოსთა გვირგვინი; ამის შემდეგ ვილას მიმართავდნენ თამარ და დავით, თუ არა რუსთველს! და აჰა „უბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. შოთას მაღალი სული დიდი ხანია გამიჯნურებულა, ე. ი. აფრთოვანებულა ამ საშინელ ამბის გასალექსათ; ამიტომ მან აასრულა ეს მინდობილობა საოცარის ხელოვნებით. დასწერა ის, რომელიც იყო „აქამდე ამბათ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“. სულმნათმა იპყრა ხელთ ჩანგი და საოცარის ძალით ააკვნესა მასზე ღვთიური სიყვარული. იგი მოსთქვამს თავის დემნა-ტარიელს.—„მო დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი? ზრიალებს ქვეყნათ მგოსნის მკვნესარე ჩანგი. ის აქებს თამარს მწარე ცრემლებით; „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული“, ჟღერს და გოდებს პოეტის ქნარი. ის იხსენიებს პოემის ბოლოს დავით სოსლანს, ამბობს, რომ ყოველივე ესა „გავლექსე მათად საკამათებლად“ და „ორგულთა მათდა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლადო“.

შოთას მიზანია რაც შეიძლება დიდებულათ დაგვიხატოს მიჯნურობა და სიყვარული. მას სურს გაგვჭვალოს თითქო ამ სიყვარულით, სურს გვაგრძნობინოს მისი სიწმინდე და ზენარეობა, ამიტომ იმ ალაგს, საცა ტარიელი მოუთხრობს ავთანდილს თავის ამბავს, პოეტი არ ზოგავს შემქნელ ნიჭსა და ხელოვნებას. ის აქ იჩენს ადამიანის სულის შეუდარებელ ცოდნას; ის აქ ორიოდ ხაზით, ორიოდ სიტყვით უფრო მძლავრათ გვეუბნება მას, რასაც ვერ გვეტყოდა სხვა მთელი ტომებით. მაგ., რა შეედრება იმ ალაგს, სადაც ტარიელს თავის სატრფოს წარ სულის მოგონებაც კი ბნიდავს. რა ძლიერი უნდა იყოს ეს სიყვარული!...

— „მე ხუთისა წლისა ვიყავ,
დაორსულდა დედოფალი...
ესე რა სთქვა ემამან სულთქმნა,
ცრემლიო ბრძანა: „შობა ქალი“.
დაბნედასა მიეწურა,
ასმათ ასხა გულსა წყალი,
სთქვა: „მაშინვე მზესა გაგდა
აწ მედების ვისგან ალი“.

კიდევ უფრო მძლავრია მეორე ალაგი, როცა ტარიელმა პირველათ ნახა ნესტან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ასმათ თვრდასა აზიდნა,
გარედ ვსდეგ მოთვრდაგულსა,
ქალსა შევხედე, დახვარი
მეცა ცნობასა და გულსა,
მოვიდა, მივცე დურაჯნი
მთხოვა ცეცხლითა დაგულხა,
ვამე მას აქეთ სახმილსა
დაუწვავ ნიადაგულსა!
„აწ წახდეს იგი ნათელი
მზისაცა მოწუნარენი“...
მისი ვერ გაძლო ხსენება,
დაბნდა და სულ-თქმნა მწარენი!..
ეშა და ასმათი სტიროდეს
ხმას სტემდეს იგი არენი,
ჯმუნვით სთქვეს: მკლავნი ცუდქმნილან,
ვაი გმირთ მეშუქარენი.
ასმათმა წეალი დაასხა,
ცნობას მოვიდა ტარია,
დიდხანს ვერა სთქვა, სევდამან
გული შეუკრა, დარია;
დაჯდა და მწარედ სულთ-ითქვნა,
ტრკმლი მიწასა გარია;
სთქვა: „ჩემგან მისი ხსენება
ვაჭმე რა დიდი ზარია!“...

რაც უნდა თქვან, მაგრამ ჩვენ კი თამამათ აღვიარებთ, რომ სიყვარულის ძლიერება ამაზე შორს ველარ წავიდოდა! ტარიელ მზერს ქალს, მზერს საოცნებო შვენებას და სიყვარულის ლახვარი გმირავს გულს, იგი იქვე იბნიდება და ეცემა ძირს. ტარიელს სურს უთხრას ავთანდილს იმ ქალის სახელი და განაგრძოს მოთხრობა, ამ დროს მის აღზნებულ ოცნებაში იხატება იმ ქალის ღვთიური სახე, ის ტკბილი წარსული და მოგონებანი. ის ვერ უძლებს ამ მოთხრობას, მკვნესარე ხმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყევლის იმ ნათელს, რომელიც პირველად ნახა,—„აწ წახდეს იგი ნათელი, მზისაცა მოწუნარენიო“, (ოჰ, რამდენი გრძნობა იხატება ამ სიტყვებში!) და იქვე იბნიდება; მიუდის გული ამ გმირ ვაჟკაცს, რომელიც ხელით ჰკლავს ლომებს და მარტოდ ებრძვის ხატაველთა ჯარს. ტარიელს ასხმენ წყალს; მოდის ცნობაში, მაგრამ დიდხანს ვერ იღებს ხმას; სევდას შეუკრავს მისი გული და ბაგენი; ის მხოლოდ სულთქვამს მწარეთ და ღვრის ცრემლებს. ეს მომენტია სიყვარულის მწვავე პაროქსიზმი, სიყვარულის ტრანსი. ბოლოს მშვიდდება და ამოიკვნესს: „ჩემგან იმისი ხსენება ვაჰმე რა დიდი ზარია“-ო.

აქ პოეტის გენიამ კი არ დაგვიხატა, არამედ ცოცხლად დაგვანახვა და გვაგრძნობინა სიყვარულის ძალა. ნესტან-ტარიელის ტრფიალება არაა ის პლატონური გრძნობა, ის ციური, ეთეროვანი ლტოლვა, ის უმანკო იდეალური რამ, რითაც შეპყრობილი იყო დანტეს სული შვენიერ ბეატრიჩესადმი, სადაც ხორცს ძინავს და მხოლოდ სული ჰფრენს სიზმარეთის სპეტაკ სფერაში, ხარობს და ნეტარებს. არა, ნესტან-ტარიელის სიყვარულია ქვეყნიური, ბუნებრივი, რომელიც იფურჩქნება ხოლმე სამხრეთის და აღმოსავლეთის მზის სხივებზედ. ეს სიყვარული უფრო რომეო და ჯულიეტას ან პეტრარკას სიყვარულია, ერთრიგად გართხმული სულსა და ხორცში, სისხლ ამჩქეფე, ამფეთქარე, მწვავე, შარბათივით ტკბილი და ამაღლებული. აქ ერთ რიგ ხარობს და ნეტარებს, ან კვნესის და იტანჯება ხორცი და სული. ამგვარი სიყვარული შეუძლიათ იშვიათ არსებათ, დიდბუნებოვან პირთ, სულით და ხორცით ჭაბუკთ, გაურყვნელთ და მძლავრ ადამიანთ. ამისთანანი კი იყვნენ ნესტან და ტარიელ.

აი, ამგვარი სიყვარული დაგვიხატა ჩვენ შოთამ და ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ის უფრო ძლიერია, ვინემ პეტრარკა და შექსპირი, ვინემ ღვთიური ფირდუსი და ჰომიროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX

ახლა შევეხოთ პოემის მეორე ალაგს. ნესტანმა იცის ტარიელის სილამაზე, ვაჟკაცობა და სხვა ღირსებანი, იცის მისი მეფური შთაბეჭდილება. ტარიელ იბნიდება მის ნახვაზედ; ქალიც იღებს ალღოს და ხვდება, რომ ეს სიყვარულის ნაყოფია. ქალის სტიქიონიც ხომ სიყვარულია, ამბობს შამფორი, და მართლაც იფეთქებს უეცრივ ნესტანის გრძნობიერი გულიც. თანაგრძნობა და სიბრალული მალე გარდიქმნენ ზენაარ ტრფიალებად. ქალი ვერ იმაგრებს თავს, სწერს ბარათს თავის მიჯნურს, ამხნევებს და ეუბნება:

— „ნუ დიჩნევ ლომო წყლულსა,
მე შენი ვარ, ნუ მოკვდები,
მაგრამ ბნელა ტუდი მძულსა.“

შემდეგ ნესტან ველარ ისვენებს და იბარებს ტარიელს ჩუმათ, სურს მისი ხილვა, მასთან საუბარი. აიხდება წყნარათ მდიდრული ფარდები და ასმათი შეიყვანს ჩუმათ ტარიელს ქალის საიდუმლო ოთახში. ნესტან მზერს თავის აღზნებულ მიჯნურს და მის დანახვაზე მუნჯდება უეცრივ. ქალის უმანკო გულში აღიძრნენ ერთად რამდენიმე გრძნობა; ქალწულოვნება, სირცხვილი, კრძალვა, სურვილი და სატრფიალო ემოციები შეებრძოლენ ერთმანეთს, შეუხუთეს სული და დაუბეს ენა. ქალი მხოლოთ უცქერის ტკბილათ, მაგრამ იმ ცქერაში, იმ თვალებში ჰვირს ყველაფერი; შიგ მოჩქეფს ნექტარი და ნეტარება. აი რა რიგ ასწერს ტარიელ იმ შვენიერ მომენტს:

— „დიდ ხანს ვსდგეგ და არა მითხრა
სიტყვა მისსა მზანსურსა,
ოდენ ტკბილად შემოამხედის,
ვითამცა რა შინაურსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასმათ უხმო, მოიუბრეს,
ქალი მოსდგა მითხრა ყურსა:
— „აწ წადიო, გერას გითხრობს“...
მე კვლავ მიმცა ადგმან მურსა.“

რა იხატება აქ თუ არა პოეტის დიდი ხელოვნება და ადამიანის სულის ღრმა ცოდნა!

შვენიერია ის ალაგი, როცა ტარიელ ჰკლავს ლომსა და ვეფხვს, გაახსენდება თავის სატრფო და წაუვა გული, მაგრამ კიდევ უფრო მძლავრი და შვენიერია ის ალაგი, როცა ფატმან მოუთხრობს ავთანდილს ნესტანის ამბავს თუ როგორ იხსნა იგი ორის ზანგისაგან, გაოცდა მისის შვენიერებით, ჰკითხავს ვინაობას და პასუხის ნაცვლათ ტყვე-ქალი სტირის მწარეთ:

— „რა გიამბო ქება მისი,
რა სიტურფე, რა ნაზობა,
ვფიცავ რომ იგი მზეა,
არა მართებს მზესა მზობა,
ვინ გაიცდის შუქთა მისთა,
ვინცა ვინ ქნას ნახაზობა,
მე თუ დამწვავს, აჭა მზა გარ,
ადარ უნდა ამას მზობა.
ვკადრე: მითხარ, ვინ ხარ მზეო,
ანუ შვიდი ვისდა ტოტთა,
ამა ზანგთა სით მიეგანდი
შენ პატრონი ცისა ხოტთა,
მან პასუხი არა მითხრა,
მე სიტყვათა ესე ზოგთა,
ეს ნაკეცი წეარო ვნახე
ცრემლთა მისთა მოანწოთოთა“.

მეტათ მხატვრულია და პოეტური კიდევ ტყვეთ მყოფ ნესტანის მიერ ტარიელთან მიწერილი ბარათი, რომელშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზომო ტანჯვასთან ჭვირს უსაზღვრო სიყვარული აჰაბ-ის ლექსი:

— „აწ საყვარელსა მივუწერ
გულ ამოსკნეილი მტირალი;
მისმანვე ტრემლმან დაუვსის
ვის ედებოდა ვის ალი.
— ეჰ, ჩემო ესე უსტარი
არს ჩემგან მონადვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი
ნ'დველთა ამონაწები,
მე გული შენი ქადალდათ
გულსაგე ჩემსა გაწები,
გულო, შავ-გულო დაბმულხარ,
ნუ აეხსნები აწები“.

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა კიდევ მრავალი ამგვარი ალაგები, მაგრამ ვშიშობთ ფრიად შორს წაგვიყვანს. თუმცა ასე დიდებულათ გამოხატა შოთამ ამ ორი მიჯნურის სიყვარული, თუმცა პოემის პირველ ფურცლიდანვე მკითხველს იპყრობს ნესტან-ტარიელისადმი საოცარი სიმპატია, რომელიც იზრდება თან-და-თან და გადადის თაყვანებად, მაგრამ მგოსანმა მაინც არ იკმარა ეს. ის შიშობს, ვაი თუ ვერ შეიგნონ ჩემ მიერ დახატული სიყვარული და მისი სიდიადე, ვაი თუ გაჰკიცხონ ამ ორი გმირის ტრფიალებაო, ვაი თუ არ იკმაროს ამ მხატვრობამ დემნა-თამარის უბედურ რომანის გასამართლებლათ და ჩირქის მოსაშორებლათო, ამიტომ შოთამ პოემას მიაკერა წინასიტყვაობა, სადაც იგი გამოვიდა ვექილის როლში.*) აქ ის დაუფარავაო ამბობს თამარზე: „მიბრძანეს მათდა საქებრათ თქმა ლექსებისა ტკბილისა“ და „თამარს ვაქებდეთ მეფესა ს'ხლისა

*) ჩვენის ფიქრით, „ვეფხვის ტყაოსანს“ პირველადვე არ უნდა ჰქონებოდა წინასიტყვაობა და უმისოთ ყოფილა გავრცელებული; და როცა ვერ გაუგეს ამ პოემას დედა-აზრი, მიზანი და შეიქნა მითქმა-მოთქმა, ანის შემდეგ. შოთას დაუწერია ეს წინასიტყვაობაც. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლ დათხეული". აქ პოეტს პირ-და-პირ რიტორულათ გაჰყავს პარალელი სიძვასა და სიყვარულს შორის და გვამხელს თუ რა განსხვავებაა მათში ან რა არის მიჯნურობა; მაგ.

—„მიჯნურობა არის ტურფა
საფიდნეულად ძნელი გვარი,
მიჯნურობა სხვა რამეა
არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა,
შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა
გესმით ჩემი ნაუბარი!
ხამს მიჯნური ხანიერი,
არ მეძავი ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოუკარესა,
გაამრავლოს სულთქმა უში,
გული ერთსა დაჯერეს,
ჯუშტი ბიხვდეს თუნდა ქუში,
მძულს უგულოდ სიყვარული,
ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში.
ამა საქმესა მიჯნურნი
ნუ უხმობთ მიჯნურობასა,
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა,
სთმობდეს კაერისა თმობასა,
ესე მდერასა ბედითსა
გავს ვაჟთა უმაწვილობასა,
კარგი მიჯნური იგია
ვინ იქმს სოფლისა თმობასა.
არს ბირველი მიჯნურობა
არ დაჩენა, ჭირთა მალვა,
თავის წინა იგონებდეს
ნიადაგმცა ჭქონდეს ხალვა,
შორით ბნედა, შორით კდომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორით დაგვა, შორით ალვა,
ლათმოს წყრომა მეფეთაგან
მისი ჭქონდეს შიში კრძალვა.
ხამს თავისსა ხვაშიადსა
არვისთანა ამყლავნებდეს,
არ ბედითად აი ზმიდეს,
მოუვარესა აეივნებდეს,
არსით უხნდეს მიჯნურობა,
არა სადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს,
მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს."*)

აი რა დიდებულათ ახასიათებს შოთა მიჯნურობას და რა რიგად ასხვავებს მას მრუშობისაგან. ეს ალაგია იმავე დროს უუზენაესი ზნეობრივი მოძღვრება. ამ პოემას კი სამღვდელოება დევნიდა ძველად როგორც ხალხის გამრყვნელს. რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი?

ახლა ვიკითხოთ, რისთვის სწერს ყოველივე ამას პოეტი? ნეტა რა საჭიროა ესა? თუ პოემა თარგმანია, რათ უნდა ეს წინასიტყვაობა? მით უმეტეს არ იყო იგი საჭირო, თუ ეს პოემა შოთას ოცნების ნაყოფია, ან შეკრებილი ლეგენდები! აშკარაა, ამ პოემაში იფარვის სულ სხვა რამ, აქ ჭვირს ისტორიული ფაქტი, ე. ი. სასახლის დრამა და დინასტიური განხეთქილება. სწორედ ამიტომ სჭიროდა მგოსანს ეს წინასიტყვაობა, რომ უფრო გაესვა ხაზი და აეხსნა საქვეყნოდ მიჯნურობის დიადი მნიშვნელობა, თამარის ზნეობის სიფაქიზე და ზენარება. ვიმეორებ: ამ წინასიტყვაობაში რუსთველი დემნა-თამარის თავდადებული ვექილია.

ჩვენ გავათავეთ. ამ შრომის უმთავრესი მიზანია ამცნოს მკითხველს, თუ რა აზრით დასწერა შოთამ თავის უკვდავი პოემა, რა ისტორიულ ფაქტზედაა იგი აგებული, ან ვინ არიან მისი გმირები. მივაღწიეთ მიზანს თუ არა, ეს მკითხველის საქმეა.

---

*) კურსივი ჩვენია. ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით პოემის განხილვას და დაფასებას პოეზია-ფილოსოფიის მხრივ აქ ვერ შევუდგებით. ეს მოითხოვს ცალკე დიდ შრომას. ამ პოემის დიადი მნიშვნელობა უკვე გამოვთქვით თავშივე; აქ მოგვყავს მხოლოდ მარი ბროსეს აზრი: „ვერც საშინელმა განსაცდელმა, ვერც განადგურებამ და ვერც ყოველგვარმა უბედურებამ, რომელთა მეოხებით საუკუნეთა სვლაში მოისპენ აურაცხელი ეროვნული ნაწარმოებნი, ვერ წაშალეს იგი, ე. ი. შოთას პოემა, ერის მეხსიერებიდან.“ ჩვენც დავუმატებთ, რომ ვერავითარი ბარბაროსნი და ცრუმოკეთენი ვერ წაშლიან მას ერის გულიდან და გონებიდან! სანამ დარჩება ქვეყნათ ერთი ქართველიც კი, მანამ იქნება ცოცხლად მისი ციური ენა და „ვეფხვის ტყაოსანი“...

ს. ქვარიანი

წყაროები:

1. შოთა რუსთველი: „ვეფხვის ტყაოსანი“, 1863. გამოცემა პროფ. დ. ჩუბინოვისა.
2. „ქართლის ცხოვრება“, გამოცემა მ. ბროსსესი.
3. დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“.
4 ვახუშტი: „საქართველოს ისტორია“.
5. მ. ბროსსე: „საქართველოს ისტორია“.
6. „ „Addition á l'histoire de la Géorgie“.
7. „ „Jurnal Asiatique“; avril, 1830.
8. Stèphanos Orbelian: "Histoire de la Siounie“.
9. De-Morgan: „Mission scientifique au Caucase“.
10. მ. ჯანაშვილი: „შოთა რუსთველი“ 1896 წ.
11. „ „Царица Тамара“ 1900 г.
12. ანტონ ფურცელაძე: „შოთა რუსთველი და მისი ცოლი“.
13. დ. ჩუბინოვი: „О Груз. поэмѣ „Вепхвисъ-Ткаосани“.
14. აკაკი: „სამი ლექცია“ „ვეფხვის ტყაოსანზედ“, კრებული №№ V და VI, 1898 წ.
15. „ „რამდენიმე სიტყვა“, ი. ჭავჭავაძის პასუხად ვეფხვის ტყაოსნის გამო.
16. ილია ჭავჭავაძე: „ივერია“, 1887 წ. № 77.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. ალ. ხახახაშვილი: „Груз поэтъ XII в. Ш. Руставели и его поэма „Барсова кожа“.
18. „ „Очерки Груз. словесности, т. I и II.
19. Муравьевъ: „Грузія и Арменія“, 1848 г.
20. Гулакъ: „О Барсовой кожѣ Руствели“.
21. ნ. მარი: ჟურ. „თეატრი“ 1890 წ. № 12.
22. „ „Тексты и розысканія по Армяно-Грузинской филологіи“, т. IV, 1902 ґ.
23. Н. Д. „Сѣверный Вѣстникъ“, 1889 ґ. №№ 9 და 10.
24. ალ. ს—ლი: „ვეფხვის ტყაოსნის ყალბი ადგილები“. «მოამბე» № XI 1895 ґ.
25. ალ. ნანეიშვილი: „ივერია“ 1888 ґ. № 52, „ივერია“ 1890 ґ. № 14
26. დ. ყიფიანი: „Кавказъ“ 1846 ґ. № 33.
27 პლ. იოსელიანი: „Шота Руставели“.
28. Р. Кинвари: „Въ Барсовой кожѣ“.
29. М. Гюйо: „Искусство съ соціологической точки зрѣнія“, 1901 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოეთის მიმოხილვა

მაკედონიის საქმე: ახალი აჯანყება, ბერძნების სამარცხვინო ქცევა, აჯანყებულების პროგრამა, ბოლგარია და მაკედონია, ვის შერჩენია წუთი სოფელი, ავსტრია და ოსმალეთი.

ერთის თვის წინად მაკედონიაში მისუსტდა აჯანყების ცეცხლი და ბევრს ეგონა მაკედონიის საქმეც მიყრუვდებოდა, დროებით მაინც. მაგრამ ასეთი მოლოდინი არ გამართლდა. უფრო კარგ წინასწარმეტყველებად ისინი გამოდგნენ, ვინც ამტკიცებდა, რომ აჯანყება უფრო მეტის ძლიერებით იფეთქებს, როცა ხალხი მკას მორჩებაო.

მართლაც, აგვისტოს პირველ რიცხვებში (ახალის სტილით) განახლდა მაკედონელ რევოლიუციონერების მოძრაობა, რომელიც გასაოცარის სისწრაფით და სიძლიერით მოედო მთელ მხარეს.

საქმის დაწყებამდე რევოლიუციონერების ხელმძღვანელებმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნეს ოსმალეთის აღმოსავლეთ რკინის გზების გამგეობას:

„ბატონო დირექტორო! მაკედონიისა და ადრიანოპოლის ვილაეტების რევოლიუციონურ კომიტეტების მთავარ შტაბს აქვს პატივი გამოუცხადოს აღმოსავლეთ რკინის გზების დიდათ პატივცემულ გამგეობას, რომ დღეიდან აჯანყება დაიწყება ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთმა ხუთის საუკუნის განმავლობაში ქრისტიანებს არავითარი ადამიანური უფლება არ მიანიჭა და ყოველ ქრისტიანის სიცოცხლე, ქონება და სახელი მუდამ განსაცდელშია; ქრისტიანები მოთმინებიდან გამოვიდნენ და იძულებულნი არიან სისხლის მწოველ მტერს ომი გამოუცხადონ. ან თავისუფლება ან სიკვდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან აჯანყების დროს უსათუოდ დაგვჭირდება რკინის გზების აფეთქება, ამიტომ მთავარ შტაბს საჭიროდ მიაჩნია აცნობოს თქვენ დიდათ პატივცემულ გამგეობას, რომ ამას იქით ხალხი აღარ წაიყვანოს რკინის გზით.

თქვენი დიდათ პატივისმცემელნი მთავარ შტაბის წევრნი დამიან გრუევი, ბორის სარაფოვი".

სიტყვა საქმედ აქციეს მაკედონელ რევოლიუციონერებმა: დანიშნულ დროს აჯანყება დაიწყეს და საჭიროების მიხედვით რკინის გზებსაც აფეთქებდნენ და აფეთქებენ. თავ-განწირული, ნამდვილ ვაჟკაცური ქცევა მაკედონელ რევოლიუციონერებისა განსაცვიფრებელია.—ლამის არის საზელოვან ბურებს ამოუდგნენ გვერდით. თავისუფლებისათვის მებრძოლთა დასახასიათებლად მოგვყავს ერთი ფაქტი სხვა მრავალთა შორის: „გევგელიის ხიდი ამნაირად დაანგრიეს აჯანყებულებმა—ხიდს ოსმალელი ჯარის-კაცები იცავდნენ. ამ ოსმალებს თავს დაეცა სავა მიხაილოვი ას ორმოცდა ათის კაცით, მთელი ექვსი საათი იბრძოლა, მაგრამ ოსმალების განდევნა მაინც ვერ მოახერხა; მაშინ ხუთი მაკედონელი ფარულად მიეპარა ხიდს და ააფეთქა; აფეთქების დროს ხუთივე დაიღუპა".

ასეთ ფაქტს ბევრი კომენტარია არ ესაჭიროება: რაზმიდან გამოდის თავის ნებით ხუთი კაცი, მიდის ხიდის ასაფეთქებლად და წინ-და-წინვე დარწმუნებულია, რომ უკან ცოცხალი არ დაბრუნდება. „სიკვდილი ან თავისუფლება" ცალიერი სიტყვა არ ყოფილა მაკედონელ მამულიშვილისათვის.

ოსმალეთის გაბოროტებული მთავრობა არავითარ საშუალებას არ უვლის გვერდს, რომ აჯანყებულთ ბოლო მოუღოს. დიდძალ ჯარის გარდა სხვა მაჰმადიანებიც შეუერთებია, რომ რევოლიუციონერების სისხლით გაძღეს. გადამწვარ-გაოხრებულ სოფლების რიცხვი უამრავია! უიარაღო, უმწეო ხალხის გაჟლეტა ყოველდღიური მოვლენა გამხდარა: რევოლიუციონერების რაზმებს რომ ვერას აკლებენ, მშვიდობიან ხალხზე იყრიან ჯავრს და, პასუხის გება რომ თავიდან აიცილონ, საშინელ ხმებს ავრცელებენ აჯანყებულების მოქმედების შესახებ: „აჯანყებული ბოლგარები მეტად მხეცურად ექცევიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიან მაჰმადიანებს და ბრალიანსა თუ უბრალოს ყველას დაუნდობლად ხოცვენო“.

ოსმალებს დამჯერეც აღმოუჩნდა. სხვათა შორის, ინგლისის პირველ მინისტრს უთქვამს პარლამენტში—ბოლგარები (მაკედონიისა) ოსმალეთის ჯარზე უფრო უწესოდა და ურიგოდ იქცევიანო. ამის საპასუხოდ აჯანყებულ მაკედონელების დროებით მთავრობას გამოუცხადებია: „რევოლიუციონერების კონგრესის დადგენილების თანახმად, ვუცხადებთ მაკედონიის ხალხს, რომ ჩვენ მტარვალობისა და მხეცობის წინააღმდეგ ავისხით იარაღი და კაცთ-მოყვარეობისა და თავისუფლებისათვის ვიბრძვით. ვსცდილობთ ყველა მაკედონელს, ეროვნებისა და ტომის განურჩეველად, ბედი გავუუმჯობესოთ. ამიტომ ვინც კი ხონთქარის ბნელ სამეფოში იტანჯება, ყველა ძმად მიგვაჩნია: ვლახელი, ბერძენი თუ ოსმალო ისევე იტანჯებიან, როგორც ჩვენ, ბოლგარნი, და თუ ოსმალნი და ბერძენნი ჩვენს გვერდზე არ იბრძვიან, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თავიანთი საკუთარი ინტერესი არ ესმისთ. ესენი მტრებად არ მიგვაჩნია და იმათ წინააღმდეგ ბრძოლა გუნებაშიაც არ გაგვიტარებია. ჩვენი მტრები არიან—ოსმალეთის მთავრობა და ყველა ის, ვინც ჩვენზე იარაღით მოდის ან გვაბეზღებს. ვინც ჩვენის სახელით უმწეო მოხუცებს, ქალებს ან ბავშვებს რამეს დაუშავებს, უმოწყალოდ იქნება დასჯილი...

აჯანყებულთ დროებითი მთავრობა ზიზღით უარჰყოფს ოსმალეთის მთავრობის ცილისწამებას და გადაჭრით აცხადებს, რომ დღევანდლამდე აჯანყებულთ რაზმებს ერთი უდანაშაულო ოსმალისათვის, გინდ ბერძენისათვის ხელი არ უხლიათ, არცა-რა დაუშავებიათ-რა“. თვით მაკედონელ ოსმალთა დასამშვიდებლად და შესაგონებლად რევოლიუციონერების მთავარ კომიტეტმა გამოსცა ოსმალურ ენაზე და დაურიგა გავლენიან ოსმალებს შემდეგი პროკლამაცია:

„მოწყალეო ხელმწიფევ! მაკედონიის უმთავრესმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა ბრძოლა დაიწყო იმ აზრით, რომ უფრო სამართლიანი და ადამიანური მმართველობა დააწესოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკედონია ეხლანდელ მთავრობისაგან განთავისუფლოს, რადგან იგი ქრისტიანებსაც და მუსულმანებსაც ერთნაირად აწუხებს.

ბრძოლა დაიწყო კიდეც. კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია გავლენიან ოსმალებს სთხოვოს, თავიანთი თანამოძმეები დაამშვიდონ და მაკედონელ რევოლიუციონერების მტრობაზე ხელი ააღებინონ. აჯანყებულნი მშვიდობიან ოსმალებს არას დაუშავებენ, თუ თვითონ ოსმალებმა არა დაუშავეს-რა.

თუ თავისუფლება მოვიპოვეთ, მშვიდობიანი მუსულმანებიც ჩვენსავით ისარგებლებენ ამ თავისუფლებით".

ასეთი კეთილშობილი, ჰუმანური პროგრამა აქვთ მაკედონელ რევოლიუციონერებს, მაგრამ ფანატიკოს ოსმალოს ეს არ ესმის და მზად არის მაკედონელ ქრისტიანის სისხლი დალიოს.

გაბოროტებულ ოსმალოს რა მოეთხოვება, როცა ქრისტიანი ბერძენიც-კი, რომელიც გუშინ კრეტას განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ნაკლების ძალვარებითა და მტრობით არ ეკიდება თავისუფლებისათვის მებრძოლ მაკედონელს. ზიზღით გული ევსება ადამიანს, როცა ბერძნების სულმდაბალ ქცევის ამბებს ჰკითხულობს გაზეთებში. ბერძენი პროფესორებიც-კი ამხედრებულან მაკედონელ მამულიშვილების წინააღმდეგ და სცდილობენ „მეცნიერულად" დაამტკიცონ, რომ მაკედონელ სლავს უფლება არა აქვს იბრძოლოს მაკედონიის განთავისუფლებისათვისო. ისეთი ზომიერი და ფრთხილი მწერალიც-კი, როგორიც არის ანატოლ ლერუა ბოლიე, აუშფოთებია ბერძნების ქცევას.

ბერძენნიო, დაუწერია ფრანგ პუბლიცისტს, მთელის წასულის საუკუნის განმავლობაში წინ უძღოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანებს და გმირულად ებრძოდნენ ოსმალეთს. ბერძნებსა და მათ გმირებს ქება-დიდებით ამკობდნენ დიდებული პოეტები ბაირონი და ჰიუგო; ამას წინად ბერძნები კუნძულ კრეტაზე ოსმალეთის მონობისაგან განთავისუფლებას სცდილობდნენ. აი, სწორედ ეს ბერძნები ეხლა მტრულად ექცევიან თავიანთ ძმა ქრისტიანებს მაკედონიაში! ბერძნებმა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც, თავიანთ დამჩაგვრელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარე დაიჭირეს. ბერძნები გვეუბნებიან — მაკედონელი ბოლგარები ნამდვილი ბარბაროსები არიანო. ბერძნებს ავიწყდებათ, რომ იმათი მტრები სწორედ მაგასვე ამბობდნენ, როცა ბერძნები კუნძულ კრეტაზე იბრძოდნენ და გააფთრებულნი მუსულმანებსა ხოცდნენ... ბერძნების ინტერესი უნდა თხოულობდეს ვითომ, რომ მაკედონია ოსმალეთის ხელში დარჩეს, გინდაც ამისათვის ბოლგარები სულაც გაწყდნენ.

რა უნდა მოიგონ ბერძნებმა ასეთის სამარცხვინო პოლიტიკით? განა მაკედონია ბერძნული მხარე გახდება იმითი, რომ მაკედონიის განთავისუფლების საქმე შეფერხდეს? პირიქით, ქვეყანა მისია, ვინც იმდენად დაწინაურებულია, რომ თავისუფლების ფასი იცის და ამ თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა შეუძლია. საბერძნეთს ბევრად მეტი გავლენა ექნებოდა მაკედონიაში, რომ გვერდში ამოსდგომოდა ბოლგარიას და იმასთან ერთად მხარი მიეცა მაკედონიის რევოლიუციისათვის. ეხლანდელის ქცევით-კი საუკუნო მტრად გადაკიდა ეს მხარე, რაც მით უფრო საგრძნობელი იქნება საბერძნეთისათვის, რომ შეუძლებელია მაკედონელებმა მიზანს არ მიაღწიონ და ოსმალეთის მტარვალ მთავრობის უღელი თავიდან არ მოიშორონ.

აი, რას სწერს სოფიელი პროფესორი ივანე გეორგოვი მაკედონელების ორგანიზაციაზე და მათ „ლოლიკაზე".

ბერლინის კონგრესის დასრულებისათანავე ახლად დაარსებულ ბოლგარიის სამთავროში თავი მოიყარა მაკედონელების კოლონიამ, რომელიც მუდამ თავის სამშობლოზე ჰფიქრობდა. მაკედონელების ელემენტი უფრო და უფრო ძლერდებოდა ბოლგარიაში, რადგან თვით მაკედონიაში მცხოვრებთა მდგომარეობა უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. უზრუნველ ყოფით ცხოვრებამაც ვერ დაავიწყა მაკედონელ ემიგრანტებს უბედური სამშობლო: ესენი განუწყვეტლივ იმის ფიქრსა და ცდაში იყვნენ, რომ მაკედონიისათვის უკეთესი მომავალი მოემზადებინათ. ამ მიზნისათვის ბოლგარიაში დაარსდა პოლიტიკური წრეები, რომელნიც ხან მეტისა და ხან ნაკლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგიით მუშაობდნენ თავიანთ საქმის განხორციელებისათვის. ამ წრეებს ეწოდება „გარეშე ორგანიზაცია“, რადგან მისი ადგილი მაკედონიის გარედ—ბოლგარიაში იყო.

მაგრამ მალე თვით მაკედონიაში იჩინა თავი ამგვარმავე მოძრაობამ. სკოლების მიზეზით ხალხი თან და თან გათვითცნობიერდა და გაჩნდა ახალი თაობა, რომელიც მოწადინებული იყო სამშობლოს განთავისუფლების საქმე თვითონვე ეკისრნა ⁄ საკუთრის ძალ-ღონით ეშოვნა ის ადამიანური უფლებანი, ურომლისოდაც არსებობა არსებობად არ ჩაითვლება.

ის აზრი, რომ თვითონვე უნდა უშველონ თავიანთ თავს და რომ ბოლგარიის სამთავროს საქმეში ჩარევა მავნებელი იქნება მაკედონიისათვის, მეტად განმტკიცდა მაკედონელებს შორის: ევროპის სახელმწიფოები მაშინვე ეჭვს აიღებენ, რომ მოძრაობის ნამდვილი საგანი მაკედონელების მდგომარეობის გაუმჯობესობა კი არ არის, არამედ ბოლგარიის სამთავროს გადიდება და გაძლიერებაა. ამიტომაც ამ ათის წლის წინად მაკედონიაში გაჩნდა საკუთარი შინაგანი საიდუმლო ორგანიზაცია, რომელმაც ხელი მოჰკიდა მაკედონიის განთავისუფლების საქმეს და რომელიც მოქმედებდა სრულებით დამოუკიდებლად ბოლგარიაში არსებულ ორგანიზაციისაგან.

შინაგან ორგანიზაციისთვის შემუშავებულია მეტად სასტიკი წესდება, რომლის დარღვევას მეტ წილად სიკვდილით დასჯა მოჰყვებოდა. ამ ორგანიზაციაში თითქმის არ არსებობდა სხვა სასჯელი, გარდა თავის მოკვლისა და სიკვდილით დასჯისა. ასეთის სასტიკის ღონისძიებით ორგანიზაციამ მიაღწია მიზანს—თითქმის მაკედონიის ყველა ელემენტი დაემორჩილა მას და თავის ძალ-ღონეს მის განკარგულებაში აძლევდა. შემოიღეს მთელი სისტემა ხარჯის გაწერისა და აკრეფისა და ეს სისტემა ისე კარგი იყო, რომ ბევრ მოწყობილ სახელმწიფოშიც არ არსებობს. შინაგან ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო ისეთის ენერგიითა და გაბედულებით მოქმედებდა, რომ ღალატი მოისპო და თვით ის ელემენტებიც-კი დამორჩილდნენ მას, რომელნიც არსებითად წინააღმდეგნი იყვნენ მის საქმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთის მთავრობაც კი იძულებული გახდა ზოგიერთ შემთხვევაში გაეცნო არსებობა ამ ორგანიზაციისა. როდესაც, მაგალითად, რევოლიუციონერების ბრბო რომელიმე ქრისტიან სოფელში შევიდოდა და ერთხანს აქ შეინახავდა თავს, მთავრობა იმითაც კმაყოფილი იყო, თუ მცხოვრებნი რაზმს არ შეუერთდებოდნენ; რევოლიუციონერების შენახვისათვის კი სასჯელს არ მიაყენებდნენ.

შინაგანი ორგანიზაცია უფრო და უფრო ძლიერდებაო და, ამიტომ ფულიც დიდძალი იკრიბებოდა. ამიტომაც რევოლიუციონერებმა შესძლეს და მოახერხეს დიდ-ძალ სამხედრო მასალის შემოტანა და დამალვა მაკედონიაში. მუდმივი რაზმები რევოლიუციონერებისა ურიგებდნენ მცხოვრებთ იარაღს და ავარჯიშებდნენ სამხედრო საქმეში.

საჭირო შეიქმნა საკუთარ ფოსტის დაარსებაც, რომ გაადვილებულიყო სხვა-და-სხვა „რაიონებისა" და უმთავრეს კომიტეტის დამოკიდებულება, და ისე მოაწყეს ეს ფოსტის საქმე, რომ არსებულ სახელმწიფო ფოსტაზე ჩქარა უგზავნიდნენ ერთმანერთს საჭირო ცნობებსა და ბრძანებებს. მთავარ კომიტეტის სამყოფი ადგილი სასტიკ საიდუმლოებით იყო მოცული.

ფოსტასთან ერთად დააარსეს საგანგებო კომიტეტი სურსათის დამზადებისა და შენახვისა: საჭიროების დროს ეს კომიტეტი მოვალეა იქ მიიტანოს სურსათი, სადაც უბრძანებენ.

მთელი მაკედონია რაიონებად არის დაყოფილი, ყოველ რაიონს თავის უფროსი ჰყავს, რომელიც ემორჩილება მთავარ კომიტეტს. მთავარ კომიტეტისაგან შედგენილია განსაზღვრული წესები, რომლითაც ემორჩილებიან რაიონის უფროსები. სხვათა შორის, რაიონის უფროსს ნაბრძანები აქვს ერიდოს პირ-და-პირ შეტაკებას ოსმალელ ჯართან და მხოლოდ უკიდურეს საჭიროების დროს იხმაროს იარაღი. ხშირად მომხდარა, რომ რევოლიუციონერების რაზმი და ოსმალელი ჯარის-კაცები შეხვედრიან ერთმანეთს და შეუტაკებლად, სისხლის დაუღვრელად თავ-თავის გზას გასდგომიან ორივე მხრის უფროსების მოლაპარაკების შემდეგ. რევოლიუციონურ რაზმების პირველი და უმთავრესი დანიშნულება ის იყო, რომ მოემზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიათ ხალხი მომავალ ბრძოლისათვის, რომელიც, ორგანიზაციის ხელმძღვანელების შეხედულებით, ჯერ არ უნდა დაწყებულიყო: ჯერ მოძრაობა მომწიფებული არ არის და აჩქარებით, შეიძლება, საქმე შევაფერხოთო.

მაგრამ მარტო შინაგან ორგანიზაციისაგან არ იყო დამოკიდებული საქმის დაჩქარება თუ დაგვიანება. შინაგან ორგანიზაციის გარდა მაკედონელების აჯანყებას ამზადებდა ბოლგარიის სამთავროში არსებული ორგანიზაციაც. რაკი ორსავე ორგანიზაციას ერთი და იგივე ასპარეზი ჰქონდათ, მათი შეხვედრა ერთ გზაზე აუცილებელი იყო. ამიტომაც ბუნებრივად გაჩნდა საკითხი თუ როგორ უნდა შეთანხმებულიყო ეს ორი პარტია. ბოლგარიის სამთავროს ორგანიზაცია თხოულობდა მოქმედების გაერთიანებას, მაგრამ ისე კი, რომ ხელმძღვანელი ფაქტორი თვითონვე ყოფილიყო. შინაგან ორგანიზაციისათვის გაერთიანება მაინცა და მაინც საჭირო არ იყო და თუ მაინც იყო ამ ორგანიზაციაში ისეთი ტენდენცია, მხოლოდ იმიტომ, რომ საჭიროებდა ბოლგარელ აფიცრებს ხალხის სამხედრო გაწვრთნისათვის. მაგრამ გაერთიანებულ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ეს შინაგანი ორგანიზაცია უნდა დარჩენილიყო, ჯერ იმიტომ რომ ადგილობრივ გარემოებასა და პირობებს უკეთ იცნობდა, და მეორეც იმიტომ, რომ ევროპის სახელმწიფოებს არ უნდა ჰქონებოდათ საბუთი ეფიქრათ, რომ აჯანყება გამოწვეულია ბოლგარიის სამთავროს ინტრიგებით. ბოლგარიის ორგანიზაცია მაინც თავისას არ იშლიდა და ყოველ ღონეს ღონობდა მოქმედების გაერთიანებისა და მთელ მოძრაობის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებისათვის.

სწორედ ამ მიზნისათვის ბოლგრიიდან გადაიყვანეს საიდუმლოდ, შინაგან ორგანიზაციის შეუტყობინებლად, მაკედონიის საზღვარზე რამდენიმე შეიარაღებული რაზმი. მაკედონიის მთავარი კომიტეტი დიდათ წინააღმდეგი იყო ასეთ მოქმედებისა და ერთ დროს საქმე ისე გამწვავდა მათ შორის, რომ სისხლიც კი დაიღვარა.

ბოლგარიის ორგანიზაცია მოწადინებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა აჯანყება; შინაგან ორგანიზაციას კი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ნათქვამი იყო ზევით, ეს საქმე ნაადრევად მიაჩნდა და ამიტომ აჯანყების დაწყებას დიდათ ხელს უშლიდა. მაგრამ სამთავროს ორგანიზაციამ თავისი გაიტანა: გასულ გაზაფხულს ხელოვნურად გამოიწვიეს აჯანყება.

ოსმალეთის მთავრობამ ეხლა მეტი ყურადღება მიაქცია მაკედონელების მოძრაობას და დაიწყო აქ ჯარების თავის მოყრა ჯერ ცოტა ზანტად, შემდეგ კი დიდის სიჩქარით, რადგან მიხვდა, რომ ბევრად უფრო საშიში შინაგანი ორგანიზაციაც იძულებული გახდებოდა საქმეში ენერგიულად ჩარეულიყო. ოსმალეთმა ისარგებლა ზამთრით, როცა ბელგიიდან მოსული რაზმები უკანვე გაბრუნდა: უსასტიკეს, არა ადამიანურ ღონისძიებას ხმარობდა, რომ შინაგანი ორგანიზაცია დაესუსტებია და მისი სამხედრო მასალა ხელში ჩაეგდო. მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწია: მიუხედავად საშინელ, ბარბაროსულ ღონისძიებათა, ოსმალეთის მთავრობამ ვერ გაიგო ადგილები, სადაც სამხედრო მასალა ინახებოდა. სამაგიეროდ მთავრობის ასეთ სიმხეცის მიზეზით შინაგანი ორგანიზაცია იძულებული გახდა შესდგომოდა მზადებას, რომ გაზაფხულზე უიარაღოთ ხელში არ ჩავარდნოდა გამხეცებულ ოსმალოს.

გაზაფხულზე მოქმედებაც დაიწყო, მაგრამ აქაც ნაბრძანები ჰქონდათ რაზმის უფროსებს, რომ მორიდებოდნენ ოსმალელ ჯარის კაცებთან პირდაპირ შეტაკებას და ცდილიყვნენ დაკავებულ პოზიციების შერჩენას, იარაღის საწყობების დაცვას, შარა გზებისა და რკინის გზების გაოხრებას, რომ, რაც შეიძლება, დიდის ხნით გამეფებულიყო ანარხია მაკედონიაში.

რევოლიუციონერების რაზმებმა დიდის მოხერხებით შეასრულეს ასეთი დავალება. ოსმალეთის დიდი ჯარი აქამდე ვერას გამხდარა, უმთავრესი მისი საქმე გზების დაცვა გამხდარა და არა რაზმების დევნა და გაჟლეტა.

რამდენი თვეა, რომ ასამდე რაზმი მაკედონელ რევოლიუციონერებისა თავისუფლად დათარეშობს მაკედონიაში და ოსმალელ ჯარს ერთხელაც არ გაუმარჯვნია ისე, რომ ამ გამარჯვებას შესამჩნევი გავლენა ჰქონებოდეს მოძრაობაზე.

მეტი არც რევოლიუციონერებს უნდათ. ამათ კარგად იციან, რომ გაშლილ ომის ველზე ოსმალეთის დიდ ჯართან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერას გახდებიან, ამიტომაც მთელ ძალ-ღონეს იმისთვის ხმა-რობენ, რომ მაკედონიაში ანარხია და არეულ-დარეულობა გაამეფონ. რევოლიუციონერები დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი ვერ შესძლებს ამოდენა ჯარის დიდხანს შენახვას და კიდეც რომ შესძლოს, თავით ჯარის-კაცების სულიერი მდგომარეობა იმდენად დაეცემა ასეთ აუტანელ პირობებში, რომ მთავრობა იძულებული გახდება საქმე შეაჩეროს. თუნდა მოხდა სასწაული და ოსმალეთის ჯარმა არა ჩვეულებრივი გამ-ძლეობა და მხნეობა გამოიჩინა; მაკედონელი რევოლიუციო-ნერები მზად არიან განაგრძონ ეხლანდელი მოქმედება მომა-ვალ გაზაფხულშიაც. მართალია, მაკედონელებს არ უნდოდათ ჯერ იარაღის ასხმა, მაგრამ რაკი აისხეს, მანამ არ მოიხსნიან, სანამ ევროპის სახელმწიფოების ჯარის-კაცები მაკედონიის ტერიტორიაზე არ შემოვლენ.

ამათ კარგად იციან აღმოსავლეთ კითხვის ისტორია, რომ ოსმალეთისა და სახელმწიფოების ცალიერ დაპირებას დასჯერდ-ნენ: მათთვის ცხადზე უცხადესია, რომ, რაკი მაკედონიაში მშვიდობიანობა დამყარდება, რეფორმის ნასახსაც ვერ ეღირ-სება ტანჯული ხალხი; ამიტომაც არის, რომ ამ მშვიდობია-ნობის დამყარებას ყოველის საშუალებით ეწინააღმდეგებიან. ქაღალდზე დაწერილი რეფორმა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მაკედონელებს იარაღს ვერ დააყრევინებს.

თუ ევროპის დიპლომატიას ეს დაუსრულებელი ანარხიაც ვერ გამოიყვანს მის ეხლანდელ უმოქმედო მდგომარეობიდან, რევოლიუციონერები მიჰმართვენ უფრო საშინელსა და შემ-ზარავ ღონისძიებათ. თუ როგორი იქნება ასეთი ღონის-ძიებანი, ცხადად დაგვანახვა სალონიკის კატასტროფამ, რო-მელმაც ასეთი საშინელი და საზარელი შთაბეჭდილება მოახ-დინა მთელ განათლებულ საზოგადოებაში. მართალია, ყოვე-ლის მხრიდან სასტიკად გაჰკიცხეს ბრძოლის ასეთი იარაღი, მაგრამ ეს ვერ დაუშლის რევოლიუციონერებს განაგრძონ თა-ვიანთ პლანის სისრულეში მოყვანა. ამათაც თავისი საგანგებო ლოღიკა აქვთ და ეს ლოღიკა ეუბნება მათ, რომ ევროპამ თუ სან-სტეფანოში განთავისუფლებული მაკედონია ბერლი-ნის კონგრესზე ისევ დაუბრუნა ოსმალეთის უღელს, რომლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუტანლობა თვით კონგრესზე იყო აღიარებული, ეს ევროპაა პასუხის მგებელი იმ საშინელებათა გამო, რომელიც მაკედონიას აუტანია ამდენი ხნის განმავლობაში.

მეოთხედი საუკუნეა ევროპა ხედავს მაკედონიის აუწერელ უბედურებას და თითიც კი არ გაუნძრევია, რომ ეს მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესებულიყო. ამიტომ მაკედონიის ხალხს ბრალს ვერავინ დასდებს, რომ თავის საშველად ასეთ საშინელ ღონისძიებას ჰკიდებს ხელს. თუ ევროპის სახელმწიფოებმა, თავიანთ ინტერესების მიხედვით, განთავისუფლებული ხალხი ისევ მტარვალის ხელში ჩააგდეს და არა გააკეთეს-რა, რომ მათ თვალწინ უმოწყალოდ არ იჟლიტებოდნენ ამოდენა მაკედონელები, ეხლა მათ უფლება არა აქვთ განცვიფრდნენ, რომ სასოწარკვეთილი ხალხი ასეთ გზას დაადგა.

სალონიკის კატასტროფითა და სხვა ამგვარივე მოსალოდნელ ღონისძიებით რევოლიუციონერები თვალსაჩინოდ ჰხდიან ევროპისათვის, თუ რა დიდი ცოდვა იდო მან კისერზე ბერლინის კონგრესის დროს.

და ის ხალხი, რომელმაც დაამტკიცა, რომ სიკვდილი და თავის განწირვა არაფრად მიაჩნია, ოღონდ თავის კეთილშობილ მიზანს მიაღწიოს, ადვილად მონახავს ისეთ ღონისძიებას, რომ საგრძნობლად შეეხოს, ვინც მის საშინელ მდგომარეობის პასუხის გება იდო თავზე, და მოაგონოს ამდენის ხნით მივიწყებული მოვალეობა.

ეს წუთი სოფელი იშვიათად თუ ვისმე შერჩენია. მაგრამ იშვიათია, რომ ისე დაცემულიყოს და დაგლახაკებულიყოს რომელიმე სახელმწიფო, როგორც ეს ოსმალეთს მოუვიდა.

იყო დრო, როცა ბრწყინვალე პორტა თავის სწორად არავის სთვლიდა და ევროპის ძლიერ სახელმწიფოების წარმომადგენელთ ისეთის ზიზღითა და დამცირებით ეპყრობოდა, როგორც ძველ დროში გალაღებული ბატონი თავის მონას. თუ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკა არ მოსწონდა დიდებულ სულთანს, ამ სახელმწიფოს წარმომადგენელი დიდათ კმაყოფილი და გახარებული იყო, თუ ცემას ან საპატიმროს გადარჩებოდა. და ევროპის ძლიერი სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ ეთმინათ ასეთი დამოკიდებულება ოსმალეთის ძლიერ სულთანთან, რადგან ეს სულთანი მართლა ძლიერი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოსმალეთი მართლა პირველი სამხედრო ძალა იყო მაშინდელ სახელმწიფოებ შორის და არა მარტო ჯარის-კაცთა რაოდენობით, არამედ გაწრთვნით, დისციპლინით და ორგანიზაციითაც. იმპერატორ კარლოს მეხუთემ, რომლის სამფლობელოებში მზე არ ჩადიოდა, დიდის გაჭირვებით ძლივს 30 ათას კაცს მოუყარა თავი, მაშინ როდესაც მის თანამედროე სულთან სელიმანს ას და ორასი ათასობით ჰყავდა შესანიშნავი ჯარის-კაცები. ეხლა კარლოსის მემკვიდრეც არ არის ისე ძლური და უმწეო მადრიდში, როგორც ოსმალეთის სულთანი კონსტანტინეპოლში, სადაც მისი ბატონობა მხოლოდ მოსალოდნელ მემკვიდრეთა მეტოქეობისა და ცილაობის შედეგია. წარსული ბრწყინვალე მდგომარეობა უზრუნველ ვერ ჰყოფს ვერავის მომავალ დაცემისაგან. მხოლოდ ის სახელმწიფო შეირჩენს ძალასა და ძლიერებას, რომელსაც საკუთარი სახელმწიფო იდეა აქვს და რომელიც შეირჩენს ამ იდეას, მიუხედავათ მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებისა და ამ სახელმწიფოების განზრახვებისა“.

თუ რამდენად ძლიერი და დიდ მნიშვნელოვანი იყო ოსმალეთის იმპერიის დაარსება ბიზანტიის ნანგრევებზე, მარტო იქიდანაც სჩანს, რომ ავსტრიის სამეფოს დაარსების უმთავრესი მიზეზი სწორედ ოსმალები იყვნენ. ავსტრიის გერმანელების, ჩეხიის და ჰუნგრეთის შეერთება გამოიწვია ოსმალთა შიშმა. და ასეთი დამოკიდებულება ავსტრიისა და ოსმალეთის ბედისა უკანასკნელ დროამდე გაგრძელდა: „რაც უფრო წინ მოდიოდნენ ოსმალები და ვენას საზღვრის სიმაგრის ხასიათი ეძლეოდა, მით უფრო მჭიდრო იყო კავშირი სამეფოს სულ განსხვავებულ ნაწილებ შორის. ავსტრია იზრდებოდა და ძლიერდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად საშიში ხდებოდნენ ოსმალები. მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა ოსმალთა ძლიერება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა, ავსტრიის საერთაშორისო მდგომარეობაც უძლიერესი იყო.

თან-და-თან ოსმალთა ძლიერება ეცემოდა და ამას მოჰყვა ლოლიკური შედეგი ავსტრიის სამეფოსათვისაც: ავსტრიაც სუსტდებოდა და მის ნაწილებ შორის არსებული მჭიდრო კავშირი ირღვეოდა.

ბიბლიოთეკა

რედაქტორი
ალ. ჭეიშვილ

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი